უწყვეტად გაგრძელდება მოსახლეობისთვის ქრონიკული დაავადებების მართვის მედიკამენტების მიწოდება. დაინერგება მედიკამენტების (მათ შორის, ინოვაციური მედიკამენტების) შესყიდვის ეფექტიანი მექანიზმები, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს მედიკამენტების ჩამონათვალი და მოსარგებლების ჯგუფები არა მხოლოდ საპენსიო, არამედ უფრო დაბალი ასაკობრივი ჯგუფიდან და ამ გზით შემცირდეს ქრონიკული დაავადებების გართულებებთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური ტვირთი.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და რეაგირების შესაძლებლობების, ჯანმრთელობის რისკების შემცირებისა და ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განვითარდება გენომური ზედამხედველობა, მათ შორის, ანტიმიკრობულ რეზისტენტობაზე. გატარდება მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიებები, მათ შორის, იმუნოხაჯის პროგრამის მდგრადობით. გაიზრდება პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება და ეფექტიანობა. გაფართოვდება მოსახლეობისთვის საგანმანათლებლო კამპანიები კიბოს სკრინინგის თაობაზე. გაფართოვდება საშვილოსნოს ყელის კიბოზე სკრინინგის ახალი მეთოდით განხორციელების კომპონენტი. განხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობა ჩეხეთის მთავრობასთან ონკოლოგიური დარგის გაძლიერების მიზნით, რაც ითვალისწინებს ქართველი სპეციალისტების გადამზადებას, ასევე საქართველოში კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვას. ამავდროულად, უცხოეთის წამყვან კლინიკებთან ქართველი ექიმების თანამშრომლობის ხელშეწყობით, ქვეყანაში დაინერგება ონკოლოგიური დაავადებების მართვის უახლესი მეთოდები.

დაავადების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გზით, C ჰეპატიტის ელიმინაციის მისაღწევად გაგრძელდება „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა“. გაიზრდება B ჰეპატიტის პრევენციისა და მკურნალობის პროგრამით მოცულ ბენეფიციართა რაოდენობა. გაგრძელდება B და C ვირუსული ჰეპატიტების პრევენციის, ტესტირებისა და მკურნალობის სარგებლის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობაში, სამედიცინო პერსონალსა და მაღალი რისკის ჯგუფებში. ტუბერკულოზით დაავადებული პირების, მათ შორის, M/XDR-TB შემთხვევების გამოვლენის გაუმჯობესებისთვის, განხორციელდება ტუბერკულოზის გაფართოებული სისტემატური სკრინინგი მაღალი რისკის მქონე და მოწყვლად მოსახლეობაში.

გაგრძელდება მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში, გაიზრდება შესაბამისი პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება და ეფექტიანობა. პრიორიტეტული იქნება იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა საჭიროებების დაფარვა დიალიზის, ტრანსპლანტაციისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება მზარდი და მდგრადი ფინანსური რესურსით. ამოქმედდება ფსიქიკური ჯანმრთელობის რეგისტრი, რაც შესაძლებლობას იძლევა, უკეთ შეფასდეს საჭიროებები და გაუმჯობესდეს ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების დაფინანსების მეთოდოლოგია. დაიწყება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრების რეაბილიტაცია. გაგრძელდება საოჯახო ტიპის სახლების შექმნა იმ პირებისთვის, რომლებიც არ საჭიროებენ ინტენსიურ ფსიქიატრიულ მკურნალობას და არ შეუძლიათ საკუთარ ოჯახებში ცხოვრება. გაგრძელდება პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაცია და იქ დასაქმებული პერსონალის გადამზადება. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა და მოზარდთა მდგომარეობის მართვის, მკურნალობისა და მზრუნველობის კუთხით, დაინერგება ტელეფსიქიატრიის სერვისები და დისტანციური კონსულტაციები, რაც ხელს შეუწყობს ფსიქიატრიულ სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაიწყება საინფორმაციო კამპანიები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მიმართ საზოგადოების სტიგმის შესამცირებლად. შემუშავდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში უფლებებთან დაკავშირებული გასაჩივრებისა და მათზე რეაგირების მექანიზმები.

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა და დემოგრაფიული პოლიტიკა, რისთვისაც გაუმჯობესდება რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა. დაიხვეწება სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის მარეგულირებელი მექანიზმები, განახლდება სანებართვო პირობებისა და მაღალ რისკს დაქვემდებარებული სამედიცინო საქმიანობების არსებული სტანდარტები, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ახალი სტანდარტები.

სამომავლო რეფორმების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება ფარმაცევტული სფეროს რეგულირების მექანიზმების დახვეწა. გაგრძელდება რეფერენტული ფასებისა და ინოვაციურ მედიკამენტებზე მწარმოებლებთან პირდაპირი შესყიდვის (მართული შესვლის შეთანხმება) მექანიზმების გამოყენება. უფრო მეტი ადამიანისთვის გაიზრდება ხელმისაწვდომობა უახლესი თაობის მედიკამენტების კიდევ უფრო გაფართოებულ ნუსხაზე. გაგრძელდება თანამშრომლობა ფარმაცევტულ კომპანიებთან, რათა მათ უზრუნველყონ ბენეფიციარებისთვის სუბსიდირებული მედიკამენტების შეუფერხებელი მიწოდება. განხორციელდება ღონისძიებები სუბსიდირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისთვის. გაგრძელდება წამლის ხარისხის ლაბორატორიის გაფართოების ხელშეწყობა მედიკამენტების ხარისხისა და უვნებლობის კონტროლის ეროვნული შესაძლებლობების გასაზრდელად. მაღალტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ინიცირებული იქნება „სამედიცინო მოწყობილობების შესახებ“ კანონის პროექტი. მედიკამენტების არარაციონალურ გამოყენებასა და პოლიფარმაციის პრაქტიკაზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის სისტემის გაძლიერებისთვის, კვლავ გაგრძელდება ელექტრონული რეცეპტების სისტემის გაფართოება ეროვნულ დონეზე. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით დიდი ძალისხმევა იქნება მიმართული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მედიკამენტების არარაციონალურ, ჭარბ გამოყენებასა და თვითმკურნალობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

ხელი შეეწყობა ჯანმრთელობის დაცვის ადამიანური რესურსების გაძლიერებასა და უწყვეტ განვითარებას, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. დიპლომირებული მედიკოსებისთვის გაიზრდება დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურის) პროგრამებზე ხელმისაწვდომობა. გაუმჯობესდება პროგრამების ფარგლებში

მიწოდებული განათლების ხარისხი. ამოქმედდება ეფექტიანი სწავლება-სწავლისა და შეფასების მექანიზმები მომავალი ექიმების პროფესიული უნარების გაძლიერებისთვის. ხელი შეეწყობა დეფიციტურ და პრიორიტეტულ სპეციალობებს და ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო პერსონალის თანაბარ განაწილებას. ხელი შეეწყობა სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართვას.

ექთნებისა და მეან-ექთნების მონაცემთა მართვის გაუმჯობესებული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, შეიქმნება ექთნებისა და მეან-ექთნების ერთიანი რეესტრი, რომელიც სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, დაგეგმოს ექთნებისა და მეან-ექთნების პროფესიული განვითარების მდგრადი განვითარების პოლიტიკა. მომზადდება საექთნო ადამიანური რესურსის განვითარების მრავალწლიანი სტრატეგია. ექიმების უწყვეტი პროფესიული განვითარების (უპგ) მიზნით, კვლავ გაგრძელდება მისი ინტეგრაცია სელექტიური კონტრაქტირების/სანებართვო პირობების მოთხოვნებში. 2024 წელს საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა ექთნებისა და მეან-ექთნების სპეციალობები და მათი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით მოხდება ყველა ექთნისა და მეან-ექთნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ავტორიზაცია და განხორციელდება მათი სერტიფიცირება. ექთნებისა და მეან-ექთნებისთვის შეიქმნება დიპლომისშემდგომი განათლების, სამაგისტრო და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამები, რაც მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება. განისაზღვრება ექთნებისა და მეან-ექთნების პროფესიული კომპეტენციები, მათი სამუშაოს მოცულობა და აღწერილობა, შეიქმნება ექთნების პროფესიული უნარების გაუმჯობესების ინსტრუმენტები, რაც აისახება მათ მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხზე. გაგრძელდება მუშაობა ექთნის საგანმანათლებლო პროგრამებზე ფინანსური ხელმისაწვდომობისა და შრომითი ანაზღაურების გაუმჯობესების მიმართულებით.

განხორციელდება სოლიდარობის ფონდის განვითარებისა და საჭირო თანხების მოზიდვის ღონისძიებები. ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამის პარალელურად, ქვეყანაში შეიქმნება ბავშვთა ონკოლოგიის კლინიკური ბაზა და მომზადდებიან შესაბამისი სპეციალისტები.

სოციალური დაცვის მდგრადი, სამართლიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. საქართველოს მთავრობა გააგრძელებს სოციალური დაცვის ისეთი მიმართულებების განვითარებას, რომლებიც შესაძლებელს გახდის უფრო მეტი სოციალური დახმარების მიმართვას ყველაზე უფრო მოწყვლად, განსაკუთრებით, ბავშვიანი ოჯახებისკენ. სხვადასხვა სოციალური დახმარების პარალელურად გაგრძელდება დასაქმებისა და მხარდაჭერი სოციალური მომსახურებების განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს სოციალური დაცვის ჰოლისტური ინტერვენციების განხორციელებას. მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი აქტიური შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობაა, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია.

მოქნილი და ეფექტიანი მომსახურების სისტემის შექმნის მიზნით, მომდევნო წლებში საქართველოს მთავრობა მოქალაქეთათვის უზრუნველყოფს „ერთიანი ფანჯრის პრინციპის“ განვითარებას სხვადასხვა მომსახურების (სოციალური დაცვა, დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა) მისაღებად. დაგეგმილია თბილისისა და რეგიონული სერვისცენტრების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები, ახალი ელექტრონული სისტემების დანერგვა და თანამშრომლების გადამზადება, რათა ჩამოყალიბდეს მოქალაქეთათვის სოციალური მომსახურების მიწოდების თანამედროვე სტანდარტების სისტემა.

შრომისა და დასაქმების სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით, შემუშავდება და

დამტკიცდება შრომისა და დასაქმების ეროვნული სტრატეგია, რომლის განხორციელებაც დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთანავე, გაგრძელდება დასაქმების ხელშეწყობა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკითა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებით/განხორციელებით. ასევე გაგრძელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ინსტიტუციური განვითარება, რომლის ფარგლებშიც გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, კონსულტანტებისა და სპეციალისტების კვალიფიკაცია, დაიხვეწება მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და გაძლიერდება სააგენტოს კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა. აღნიშნული, თავის მხრივ, დადებითად აისახება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შრომის კულტურის ამაღლებისა და აგრეთვე შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს შრომითი ნორმების შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, გაგრძელდება შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება.

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირებას და ევროკავშირის წევრ და სხვა მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებს ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

გაგრძელდება სოციალურად დაუცველთა მხარდაჭერა ღია შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, შემუშავდება უმუშევრობის მხარდამჭერი სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის, უმუშევრობის დაზღვევა და მისი დანერგვისთვის საჭირო სამოქმედო გეგმა. მუშაობა გაგრძელდება შრომითი უფლებების დაცვის გარანტიების დასაახლოებლად საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან.

მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება ახალგაზრდების დასაქმების მხარდამჭერი შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ინსტრუმენტების განვითარებაზე.

გაგრძელდება სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, მათთვის კონსულტაციის გაწევა, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის, ქალთა დასაქმების ხელშეწყობა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების განვითარებით. გაგრძელდება სამუშაოს მაძიებელთა შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში მომზადება, პროფესიული გადამზადება ან/და სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებითა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებით მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა, მათ შორის, ქალთა მონაწილეობის უპირატესობის გათვალისწინებით.

დაიხვეწება და გაუმჯობესდება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებსა და ინკლუზიაზე უფრო მეტად ორიენტირების მიზნით. ამასთანავე, გაგრძელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კომიტეტის საქმიანობა ინკლუზიური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნისთვის.

გაგრძელდება სოციალური დაცვის პროგრამებითა და სერვისებით უწყვეტად უზრუნველყოფა სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობაში გაღარიბების რისკების შემცირებისთვის. შენარჩუნდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ბიუჯეტის ზრდის და ახალი, მხარდამჭერი პროგრამების დანერგვის ტენდენცია და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და ოჯახების გაძლიერება; გაგრძელდება პროგრამით გათვალისწინებული

მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობა; მომსახურების მიმწოდებელთა ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობითა და შესაბამისი მომსახურებების განვითარებით, უზრუნველყოფილი იქნება ბავშვების მიტოვების შემთხვევების შემცირება.

ხელი შეეწყობა ზრდასრულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დიდი ზომის პანსიონატების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებას ახალი ალტერნატიული მომსახურებების განვითარებით. გაიზრდება არსებული სოციალური მომსახურებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდება ორი ახალი მომსახურება – „შინ მოვლა“ და „პერსონალური ასისტენტი“. დეცენტრალიზაციის პოლიტიკის მიმართულებით განხორციელდება სოციალური მომსახურებების პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირება მუნიციპალიტეტებზე. გაგრძელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს ინტენსიური მუშაობა სოციალური დაცვის, დასაქმებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, ინკლუზიური პოლიტიკის განვითარების მიზნით.

ინტენსიურად და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის ჩართულობით გაგრძელდება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრაში ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

გაგრძელდება მუშაობა საცხოვრისის კონცეფციაზე ქვეყანაში ერთიანი საცხოვრისის პოლიტიკის განვითარების მიზნით. უწყვეტად გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისთვის საარსებო შემწეობის, „სოციალური პაკეტის“, დევენილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

დაინერგება ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების განახლებული მეთოდოლოგია, რათა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამამ უკეთ და უფრო სამართლიანად მოახდინოს შესაბამისი საჭიროების მქონე ოჯახების/შინამეურნეობების იდენტიფიცირება და კიდევ უფრო მეტად უპასუხოს შინამეურნეობების, განსაკუთრებით, ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს და შეამციროს გადარბების რისკი.

გაგრძელდება პენსიის ოდენობის ზრდა ინდექსაციის შესაბამისად, პენსიონერთა/სახელმწიფო კომპენსაციის მიღება ფინანსური გარანტიების უზრუნველსაყოფად. 2025 წლის 1 იანვრიდან, 70 წლისა და 70 წელზე მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია განისაზღვრება 450 ლარის ოდენობით, ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში 540 ლარს გაუტოლდება, ხოლო 70 წლამდე პირთა პენსია განისაზღვრება 350 ლარის ოდენობით და ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში მიაღწევს 420 ლარს. ამასთანავე, მომავალი წლების განმავლობაში დაგეგმილია ინდექსაციის მიღმა, ეკონომიკური ზრდის შესაბამისად, პენსიის დამატებით გაზრდა და საპენსიო სისტემაში ინოვაციური მიდგომების დანერგვა, რათა სოციალურმა სისტემამ უფრო ეფექტიანად უპასუხოს სოციალურ გამოწვევებს. გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/„სოციალური პაკეტის“ 20 პროცენტის ოდენობით, ასევე დანამატების დაფინანსება სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ აბონენტებს (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს) აუნაზღაურდებათ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ/სთ-ისა) ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის/ბავშვთათვის გათვალისწინებული საჭიროებების დაკმაყოფილებისა და სოციალური ინკლუზიის მიღწევის მიზნით, გაგრძელდება სოციალური პაკეტის ოდენობის ზრდა ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკური

პარამეტრების გათვალისწინებით.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, უწყვეტად გაგრძელდება ოჯახების მხარდაჭერა ყოველთვიური ფულადი ბენეფიტებით და განვითარდება ოჯახის მხარდამჭერი ახალი სერვისები, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე ქალთა დასაქმების ხელშეწყობისთვის. განახლება ქალთა შრომით უფლებებთან დაკავშირებული ნორმები, მათ შორის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისთვის გათვალისწინებული რეგულაციები და ასევე თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანასწორი ანაზღაურების საკითხი, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერული თანასწორობა შრომით ბაზარზე და განვითარდეს ოჯახზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა.

გაუმჯობესდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური და საცხოვრებელი პირობები. მომდევნო წლებში დასრულდება ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, რის შემდეგაც, დამატებით – 6 000 დევნილი ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით და დაიხურება დევნილთა ყველა კოლექტიური განსახლების ცენტრი, მათი ტექნიკური მდგომარეობის მიუხედავად. ხელი შეეწყობა დევნილთა დასაქმებას დასაქმების მხარდამჭერი სხვადასხვა სახის პროგრამების განვითარებით.

გაგრძელდება ეკომიგრანტების განსახლების პროგრამა. სტიქიით დაზარალებული 1 000-ზე მეტი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებელი ფართობით უსაფრთხო გარემოში. 2025 წელს 1 000 უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებელი ფართობით. აღნიშნული პროგრამა გაგრძელდება მომდევნო წლებშიც და პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებული, საჭიროების მქონე ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი პირობებით.

საქართველოს მთავრობის ხედვა დასაქმების პოლიტიკის მიმართულებით მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, შრომის ბაზრის სტრუქტურის გაუმჯობესებას, მოქალაქეების ღირსეული შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფასა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

1.1

### **მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 27 02)**

მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის წინაშე მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;

საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატებისა და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; სახელმწიფო პენსიის ოდენობის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირობებით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის შესაბამისად გაანგარიშება; სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების დადგენილი წესისა და პირობების

შესაბამისად გაცემა;

შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/„სოციალური პაკეტის“ 20 პროცენტის ოდენობით; დანამატების დაფინანსება სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება;

აღმიაწილი ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში გაშვების მიზნებისთვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა; მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხანდაზმულებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის ხელშეწყობა.

1.1.1

**მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 02 01)**

საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (მაღოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატებისა და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;

მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება;

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე პენსიების ინდექსაცია;

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გადაანგარიშება;

მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული გასაცემლების საბანკო მომსახურება.

1.1.2

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 02)**

მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების

ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად გაცემა;

შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა 120 000-ის ტოლია ან 120 000-ზე ნაკლებია და რომლებშიც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ) ყოველთვიური დახმარების გაცემა;

უსახლკარო/მძიმე პირობებში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფა;

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისა და შშმ ბავშვებისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის „სოციალური პაკეტის“ გაზრდილი ოდენობით გაცემა, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე.

1.1.3

**სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 27 02 03)**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის წინაშე მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია;

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება;

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესისა და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა და არსებული სერვისების მხარდაჭერა და გაძლიერება.

1.1.4

**სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 27 02 04)**

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი შეღავათების დაფინანსება: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის – დანამატი პენსიის 20 პროცენტის ოდენობით, „სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის – დანამატი „სოციალური პაკეტის“ 20 პროცენტის ოდენობით, დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით);

აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება.

1.1.5

**სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 02 05)**

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა;;

მსხვერპლთა თავშესაფრით, დროებითი სადღეღამისო საცხოვრისითა და დღის

მომსახურებით უზრუნველყოფა, აგრეთვე, ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარების/რეაბილიტაციის, სამედიცინო მომსახურებისა ან/და ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, იურიდიული მხარდაჭერა;

ხანდაზმულებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მათი მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება/ორგანიზება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით, სადღეღამისო მომსახურებით უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესების მხარდაჭერა.

1.2

### **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03)**

მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისთვის მზადყოფნისა და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;

გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველ პირთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანების შედეგად განვითარებული მდგომარეობის რეაბილიტაცია;

მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა; ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა აივ ინფექცია/შიდსი, ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; B ჰეპატიტის მართვა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო, სარეაბილიტაციო და სავალდებულო მკურნალობის სერვისებით უზრუნველყოფა;

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების ანაზღაურება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემით;

მედიკამენტებზე რეფერენტული ფასის (სარეალიზაციო ფასის ზედა ზღვარი) დადგენა;

პირველადი ჯანდაცვის განახლებული მოდელის დანერგვა, რომელიც სრულად მორგებული იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებებსა და მოლოდინებზე, თითოეული მოქალაქე

მიიღებს პრევენციული, სკრინინგის, დიაგნოსტიკური და სამკურნალო სერვისების ფართო სპექტრს;

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სათემო ამბულატორიული, მობილური გუნდებით, სტაციონარული მომსახურებებით და საცხოვრისით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგი (18 წლამდე ასაკი); თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და ტკივილის მართვის მიზნით მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა, მედიკამენტებით (მ.შ ინოვაციური) და მაღალტექნოლოგიური კვლევებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა;

ინდივიდუალური რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა;

საქართველოს მოქალაქეების ორგანოთა (ძვლის ტვინისა და ღვიძლის) ტრანსპლანტაციით უზრუნველყოფა;

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა;

დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროგრამების ეტაპობრივად სახელმწიფოს ვალდებულებებში ასახვა;

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისთვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება, დიპლომისშემდგომი განათლების რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.

1.2.1

**მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03 01)**

მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურების, ქიმიოთერაპიის, ჰორმონოთერაპიისა და სხივური თერაპიის, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება;

ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველ პირთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა;

ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება;

დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა.

1.2.2

**საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03 02)**

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მე-3 მიზნის ფარგლებში დაგეგმილი ინდიკატორების შესრულების ხელშეწყობა; გლობალური ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის – აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების 2030 წლისთვის შემცირება და, შესაბამისად, მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მე-3 მიზნის 3.3.1 ინდიკატორთან მისადაგებელი ეროვნული ამოცანის მთავარი სამიზნის მიღწევა – 2030 წლისთვის აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების ერთი მესამედით (1 000 მოსახლეზე 0.125-მდე) შემცირება, რაც 2017 წლიდან 2026 წლის ჩათვლით შესაძლებელია გლობალური ფონდის ვალდებულებების სახელმწიფოს მიერ ჩანაცვლების პროცესის ჰარმონიული მიმდინარეობით.

1.2.2.1

**დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 27 03 02 01)**

დაავადებათა ადრეული გამოვლენის გაუმჯობესება და ამის საშუალებით შორსწასული ფორმების გავრცელების შეზღუდვა;

ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული კიბოს სკრინინგი და პროსტატის კიბოს მართვა (ძუძუს კიბოს სკრინინგი – 40 წლიდან 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – 25 წლიდან 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი – 50 წლიდან 70 წლის ჩათვლით ორივე სქესის პირებში, 50 წლიდან 70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცების სპეციფიკურ ანტიგენზე გამოკვლევა პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით);

1 წლიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი ხარისხისა და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა;

ეპილექსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა;

დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგი, დღენაკლულთა სიბრმავის პროფილაქტიკა;

ბავშვთა სისხლში ტყვიის ბიომონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება.

1.2.2.2

**იმუნოზაცია (პროგრამული კოდი 27 03 02 02)**

მოსახლეობის დაცვისა და შესაბამისი მარაგების შექმნის მიზნით ვაქცინების (მათ შორის, B ჰეპატიტით ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფების B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის, აგრეთვე სამედიცინო პერსონალის, სამედიცინო ჩვენების მქონე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებული კონტინგენტის, დიალიზზე მყოფი პირების, ჰემოფილით დაავადებული პირების, ინიექციური ნარკოტიკების მომხმარებელი პირების, მსმ პირების, აივ ინფექციით/შიდსით და C ჰეპატიტით დაავადებული პირების, სამედიცინო პროფილის სასწავლებლების სტუდენტების, სხვა აუცრელი კონტინგენტის ვაქცინაციისთვის, ქრონიკული დაავადების (ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, დიაბეტი, ფქოდი, ასთმა და სუნთქვის უკმარისობის სხვა ფორმები) მქონე 65 წლის და 65 წელზე მეტი ასაკის პირებისა და თავშესაფრების ბენეფიციარების პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის) და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა;

სპეციფიკური (ბოტულიზმის, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო და სხვა) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა;

ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა;

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა;

ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით, ცენტრალური დონიდან რეგიონების/მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებამდე;

წითელას მასობრივი გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების (მათ შორის, ეპიდჩვენებით მიმდინარე სხვა არაგეგმური ვაქცინაციის) ფარგლებში მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოება;

გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაციისადმი დაქვემდებარებული პირების აცრა;

„ცივი ჯაჭვის“ მოწყობილობების/ინვენტარის შესყიდვა და მონტაჟი.

1.2.2.3

#### **ეპიდზედამხედველობა (პროგრამული კოდი 27 03 02 03)**

რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სამსახურების მიერ ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირება;

მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების სამოქმედო არეალში ეპიდზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელება;

კოლოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებითა და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული და ვირუსული (მალარია, ლეიშმანიოზი, დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო და სხვა) დაავადებებისა და ალიმენტური პარაზიტული (პროტოზოოზები, ჰელმინთოზები) ინფექციების პრევენცია და კონტროლი; ნოზოკომიურ ინფექციებზე ეპიდზედამხედველობა და მათი კონტროლი;

ვირუსული დიარეების კვლევა ქვეყანაში შერჩეულ საყრდენ ბაზაში (ინფექციური პროფილის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს 0-დან 14 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს), ჰოსპიტალიზებულ 0-დან 14 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვთა ფეკალური სინჯების ლაბორატორიული კვლევა როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე;

B და C ჰეპატიტებზე ეპიდზედამხედველობა;

გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე, მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე (მათ შორის, კორონავირუსზე) რეაგირება.

1.2.2.4

#### **უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 27 03 02 04)**

დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტებზე, აივ ინფექციაზე/შიდსზე (EIA/Elisa მეთოდით) და სიფილისზე (TPHA ან EIA მეთოდით);

ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა იმ სისხლის ბანკებში, რომლებსაც აქვთ საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია;

სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება, მათ შორის, სისხლის დონორის მსოფლიო

დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა;

დონორთა სისხლის ცენტრალიზებული კვლევა NAT (ნუკლეინის მჟავას ტესტირების) მეთოდოლოგიის საფუძველზე იმ სისხლის ბანკებში, რომლებსაც აქვთ საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია.

1.2.2.5

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 03 02 05)**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა;

სხვადასხვა ტიპის საწარმოში დასაქმებულ პირთა პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, კერძოდ: დასაქმებულთა პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით და გამოვლენილ პროფესიულ დაავადებათა დიაგნოზების მონაცემთა ბაზაში აგრეგირება; კონკრეტული საწარმოსთვის სამუშაო ადგილებზე არსებული პროფესიული რისკების ინვენტარიზაცია და შეფასება; პროფესიული რისკფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების რეკომენდაციების შემუშავება; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემისა და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობის განსაზღვრა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით; საწარმოს ადმინისტრაციისა და დასაქმებულთათვის პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხების სწავლება; ქვეყნის მასშტაბით კონკრეტულ საწარმოებში არსებული პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუკისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა/განახლება.

1.2.2.6

**ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 06)**

ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობით);

ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება;

ტუბერკულოზის სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მათ შორის, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი მედიკამენტებით მკურნალობა და მკურნალობის მონიტორინგი);

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის, პირველი რიგისა და მეორე რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება;

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ამბულატორიულ მკურნალობაში ჩართული პაციენტების დამყოლობის გაუმჯობესება;

ტუბერკულოზით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის და ინფექციის გავრცელების შემცირება.

1.2.2.7

**აივ ინფექციის/შიდსის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 07)**

აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ეს პროგრამა არ ითვალისწინებს მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდას);

აივ ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება (მათ შორის, ჰოსპიტალიზებული და პირველად ჯანმრთელობის დაცვაში ინტეგრირებულ სკრინინგში ჩართული პაციენტების ნებაყოფლობითი ტესტირება);

აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა;

აივ ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგისა და მეორე რიგის მედიკამენტების შესყიდვა;

ამ პროგრამის სერვისების უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მაღალი რისკის ჯგუფების სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა (სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სიფილისი, ქლამიდია, გონორეა და ტრიქომონიაზი) დიაგნოსტიკა და მკურნალობა; აივ ინფექციის/შიდსის პრევენცია ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებლებში (ნიმ), მსმ პირებში, ტრანსგენდერ პირებსა და კომერციულ სექსმუშაკ ქალებში; აივ ინფექციაზე/შიდსზე და C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი პირებისგან საკვლევი მასალის აღება და ტრანსპორტირება კონფიდენციალურობის პასუხისმგებელ დაწესებულებაში ან/და უშუალოდ ტესტირება ჯინექსპერტმეთოდით, მათ შორის, C ჰეპატიტზე მდგრადი ვირუსული რეაქციის – SVR 12/SVR 24-ის და მაღალი რისკის ბენეფიციართა შორის რეინფექციის დასადგენად);

აივ ინფექციის/შიდსის მართვის ღონისძიების ფარგლებში ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელების შედეგად შესრულდება მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მე-3 მიზნის 3.3.1 ინდიკატორი – 2030 წლისთვის აივ ინფექციით/შიდსით ინფიცირების შემთხვევების 1 000 მოსახლეზე 0.125-მდე შემცირება; მოხდება მისი შემცირების ხელშეწყობა; მდგრადი განვითარების მიზნების მე-3 მიზნის 3.3.1 ინდიკატორის შესასრულებლად მომზადდება საქართველოს 2026–2028 წლების აივ ინფექციის/შიდსის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, აივ ინფექციის/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება და მომსახურების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. სახელმწიფო ეტაპობრივად ანაცვლებს გლობალური ფონდის ღონისძიებებს.

1.2.2.8

#### **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 02 08)**

ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და

ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით:

ანტენატალური მეთვალყურეობა;

გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა;

ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ ინფექციის/შიდსის და ათაშანგის სკრინინგი;

ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიაზე,

მუკოვისციდოზზე, გალაქტოზემიაზე, ადრენოგენიტალურ სინდრომსა და

ბიოტინიდაზას დეფიციტზე;  
ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა.

1.2.2.9

**ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 27 03 02 09)**

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა;

ნარკომანიით დაავადებულ პირთა სავალდებულო მკურნალობა და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება;

ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება.

1.2.2.10

**ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 03 02 10)**

ჯანმრთელობის ქცევითი რისკფაქტორებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებული პრევენციული სერვისების შესახებ სამიზნე მოსახლეობის ინფორმირება;

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა; საზოგადოების განათლების ამაღლება ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე, მათ შორის: თამბაქოს მოხმარების პრევენცია, რეგულარული ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა, მარილის მოხმარების შემცირების მნიშვნელობა და არტერიული ჰიპერტენზიის პრევენცია, ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების პრევენცია;

თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი (მათ შორის, უკანონო ვაჭრობის მონიტორინგი) და მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება; თამბაქოსთვის თავის დანებების მსურველთათვის პროფესიული სერვისის – სატელეფონო კონსულტაციის გაწევა;

ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და კვალიფიციური დახმარება პროფესიული სერვისის – სატელეფონო ფსიქოლოგიური მომსახურების მეშვეობით;

ნივთიერებადამოკიდებულებისა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენცია;

B და C ჰეპატიტების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება და ელიმინაციის პროგრამაში მოსახლეობის ჩართვის ხელშეწყობა;

კიბოს სკრინინგის პროგრამებისა და მისი პრევენციის ღონისძიებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა; ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება (რუტინული იმუნიზაციის შესახებ მნიშვნელობა);

მოსახლეობაში ცნობიერების დონის ამაღლება სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მნიშვნელობის შესახებ და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება;

პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო პერსონალისთვის სხვადასხვა საკითხზე (მათ შორის, კიბოს სკრინინგის მნიშვნელობაზე, კომუნიკაციაზე, ორგანიზებული სკრინინგის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საკითხებზე) ტრენინგების ჩატარება.

1.2.2.11

**ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 11)**

B და C ჰეპატიტებზე სკრინინგული კვლევა;

B და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის, მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა;

B და C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფა;

B და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა მკურნალობაში ჩართვა;

B და C ჰეპატიტების სამკურნალო მედიკამენტების ლოჯისტიკა.

1.2.2.12

**საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 03 02 12)**

რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სამსახურების მიერ ეპიდზედამხედველობის განხორციელება;

სამედიცინო სტატისტიკური სისტემის წარმოება;

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულების ხელშეწყობა.

1.2.3

**მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 27 03 03)**

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა;

დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და ტკივილის მართვის მიზნით მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით (მ.შ. ინოვაციური) და მაღალტექნოლოგიური კვლევებით უზრუნველყოფა;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა;

რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა;

საქართველოს მოქალაქეების ორგანოთა (მკლის ტვინისა და ღვიძლის) ტრანსპლანტაციით უზრუნველყოფა.

1.2.3.1

**ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 03 01)**

მოსახლეობისთვის ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;

ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;

ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია;

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;

ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და ასერტული მკურნალობის ხელშეწყობა.

1.2.3.2

**დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 03 02)**

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება;

სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების გაწევა;

შაქრიანი დიაბეტითა და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

შაქრიანი დიაბეტითა და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.

1.2.3.3

**ორგანოთა ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 27 03 03 03)**

ონკოჰემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისთვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისთვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული პირებისა).

1.2.3.4

**დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 27 03 03 04)**

პაციენტთა ჰემოდიალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა;

ჰემოდიალიზისა და პერიტონეული დიალიზისთვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება;

თირკმლის ტრანსპლანტაცია;

ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.5

**ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 27 03 03 05)**

ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა;

ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა;

ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.6

**იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 27 03 03 06)**

იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება;

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება;

ჰემოფილიითა და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრეობითი პათოლოგიებით

დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;

იმვიათი დაავადებების (ჰემოფილია, ფენილკეტონურია, მუკოვისციდოზი, მემკვიდრეობითი ჰიპოგამაგლობულინემია (ბრუტონის დაავადება), ზრდის ჰორმონის დეფიციტი, ტერნერის სინდრომი, იუვენილური ართრიტი, დიდი თალასემია და თანდაყოლილი დიზერიტოპოეტური ანემია (II ტიპი), ფილტვების იდიოპათიკური ფიბროზი, სპინალური კუნთოვანი ატროფია, დიუშენის კუნთოვანი დისტროფია, აქონდროპლაზია) მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.7

**პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 03 03 07)**

სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;

სოფლად პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება (მათ შორის, ამბულატორიული მომსახურებისთვის აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთისა და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა);

სპეციალურ დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;

სოფლის მოსახლეობისთვის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე).

1.2.3.8

**რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 27 03 03 08)**

სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო სიტუაციის, კონფლიქტის რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა;

მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;

ფილტვის ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა რეაბილიტაციის უზრუნველყოფა;

18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქისთვის (დაახლოებით 10 ბენეფიციარის, გარდა ქ. თბილისის შესაბამისი მომსახურებისთვის განსაზღვრული მოსარგებლეებისა) თანდაყოლილი გულის მანკის ქირურგიული მკურნალობა (რომელთა ჩატარებაც მიმდინარე ეტაპზე საქართველოში ვერ ხერხდება) ჟენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, თანამედროვე მაღალტექნოლოგიური აპარატურის გამოყენებით და შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალის ჩართულობით.

1.2.4

**დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 27 03 04)**

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ამ მუნიციპალიტეტებისთვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში პირთა მომზადებით;

დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

პროფესიული რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.

1.2.5

**სახელმწიფო კლინიკების მართვა (პროგრამული კოდი 27 03 05)**

სახელმწიფო საკუთრებაში/მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მართვა, გაძლიერება და განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც სტრუქტურული, ასევე, სამედიცინო სერვისების თვალსაზრისით. მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება.

1.3

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01)**

მოსახლეობის შრომისა და დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია;

დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებულ პირთა (ეკომიგრანტთა) სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტების მომზადება; სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი;

სამკურნალო საშუალებების ხარისხსა და მიმოქცევაზე და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა;

საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება;

სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების გასაუმჯობესებლად სერვისების განვითარება/სრულყოფა;

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა და დახმარება/მხარდაჭერა;

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ბავშვთა მოვლა-პატრონობა გრძელვადიან პერიოდში;

საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა;

ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების მართვა;

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა; იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი საიმედო და ეფექტიანი მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა;

კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისთვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზება და პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისთვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით;

საქართველოში შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, მათ შორის, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი შრომითი ნორმების გამოყენება და მათ აღსრულებაზე ზედამხედველობა. დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიმართულებით შესაბამისი აქტივობების განხორციელება;

საქართველოში მოქმედი ობიექტების/სამუშაო ადგილების ინსპექტირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის ფარგლებში;

შრომის ბაზარზე, საქართველოს შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა;

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შრომის კულტურის ამაღლების, აგრეთვე შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით საქართველოს შრომითი ნორმების შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით.

1.3.1 **ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01 01)**

მოსახლეობის შრომისა და დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია;

დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, აგრეთვე საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება.

1.3.2 **სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 27 01 02)**

სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი;

სამკურნალო საშუალებების ხარისხსა და მიმოქცევაზე და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა.

1.3.3 **დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 27 01 03)**

საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება

1.3.4 **სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 04)**

მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მისი ხელშეწყობა;

მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების დახვეწა და მისი ხარისხის ამაღლება, უფრო მოქნილი, მარტივი, სწრაფი და მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმების დანერგვა.

1.3.5 **სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 05)**

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისთვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა;

მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება/მხარდაჭერა და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხანდაზმულებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის ხელშეწყობა.

1.3.6 **საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 06)**

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობისთვის ყოველდღიურ 24-საათიან რეჟიმში, აგრეთვე სხვადასხვა სახის კატასტროფის, მათ შორის, ეპიდემიის, პანდემიის, საომარი მდგომარეობის დროს შექმნილი საგანგებო სიტუაციისას სწრაფი და ხარისხიანი გადაუდებელი/სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და რეფერალური დახმარების გაწევისა და მოსახლეობისთვის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა/კოორდინაცია;

პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო ან/და სატრენინგო მომსახურების მიწოდების ადმინისტრირება;

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და

გადაუდებელი დახმარების მართვა.

1.3.7

**დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 01 07)**

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებულ პირთა (ეკომიგრანტთა) მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათ შორის, საარსებო წყაროების შექმნით;

უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების ადმინისტრირება;

საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა.

1.3.8

**დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (პროგრამული კოდი 27 01 08)**

ქვეყანაში შრომისა და დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მექანიზმების მართვა;

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა;

ცირკულარული შრომითი მიგრაციის ფარგლებში დაბრუნებული შრომითი მიგრანტების ადგილობრივ შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობა;

დამსაქმებლებისა და სამუშაო ძალის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ორგანიზების ხელშეწყობა.

1.3.9

**ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 09)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მისი ხელშეწყობა;

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების გასაუმჯობესებლად სერვისების განვითარება/სრულყოფა.

1.3.10

**ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01 10)**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი საიმედო და ეფექტიანი მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა.

1.3.11

**მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა და მართვა (პროგრამული კოდი 27 01 11)**

კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისთვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზება და პრიორიტეტული

სოციალური საჭიროებებისთვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით.

1.3.12

**შრომის პირობების ინსპექტირება (პროგრამული კოდი 27 01 12)**

საქართველოში შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, მათ შორის, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი შრომითი ნორმების გამოყენებასა და აღსრულებაზე ზედამხედველობა. დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოში მოქმედი ობიექტების/სამუშაო ადგილების ინსპექტირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის ფარგლებში;

შრომის ბაზარზე, საქართველოს შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა;

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შრომის კულტურის ამაღლება შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით. საქართველოს შრომითი ნორმების შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით.

1.3.13

**ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 13)**

„ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით ცენტრალური სისხლის დაწესებულებისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება, მათ შორის: დონორთა მოზიდვა და შერჩევა; სისხლისა და მისი კომპონენტების შეგროვება, ცენტრალური ტესტირების ლაბორატორიაში ტესტირება, დამუშავება, შენახვა, განაწილება და ტრანსფუზიის მიზნით გაცემა.

1.4

**სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 27 04)**

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, რეაბილიტაცია, აღჭურვა და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

1.5

**დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 27 05)**

ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებით/განხორციელებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა;

სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, მათთვის კონსულტაციის გაწევა, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის, ქალთა, დასაქმების ხელშეწყობა;

სამუშაოს მაძიებელთა შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება ან/და სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებითა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებით მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ამ გზით სამუშაოს

მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა, მათ შორის, ქალთა მონაწილეობის უპირატესობის გათვალისწინებით;

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ორგანიზების წესის შესაბამისად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის მართვა და დაფინანსების უზრუნველყოფა;

1.6

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 05)**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობისა და შრომისუუნარობის შემთხვევების შემცირება;

სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების გაწევისა და მათი ევაკუაციის ორგანიზება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კონტროლი;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

2

**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება. რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის ორგანიზება „ტოტალურ თავდაცვას“ ეფუძნება.

მომდევნო წლებში საქართველოს მთავრობა გააგრძელებს „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის ინტენსიურ დანერგვას, რაც მოიცავს:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონცეპტუალური ბაზის გადახედვას/განახლებას; აღნიშნულის ფარგლებში 2025 წლიდან განახლდება თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი; განხორციელდება „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021–2025“ და „თავდაცვის ძალები 2030“ დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შეფასება; ამ შეფასებისა და თანამედროვე სამხედრო-საბრძოლო მოქმედებების ანალიზის საფუძველზე განახლდება გრძელვადიანი განვითარების გეგმები;
- გრძელვადიანი განვითარების დოკუმენტების შემუშავების პროცესში, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ინტეგრირების შემდგომ ინსტიტუციონალიზაციას;
- კარგი მმართველობის პრინციპების შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტროში რისკის მართვის სისტემის შემდგომ განვითარებას;
- სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას საქართველოს თავდაცვის ძალების მზადყოფნის დონის გასაუმჯობესებლად/შესანარჩუნებლად;
- ძალთა გამაძლიერებლების განვითარებას;
- წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის, რეზერვისა და მოხალისეთა სისტემების შემდგომ განვითარებას;
- ეროვნული უწყებათაშორისი სწავლებებისა და წვრთნების ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობს უწყებათაშორისი კოორდინაციის მაღალი დონის შენარჩუნებას თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებსა და სამოქალაქო უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის;
- ეროვნული მასშტაბის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მხარდაჭერი შესაძლებლობების განვითარებას;
- ეროვნული წინააღმდეგობის სისტემის ჩამოყალიბებას;

• მრავალეროვნულ სწავლებებში მონაწილეობასა და თავდაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას/განვითარებას.

ურთიერთობების გადატვირთვასთან ერთად გაგრძელდება ნაყოფიერი სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. GDRP პროგრამის წარმატებით განხორციელებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და შეკავების შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივას (GDDEI), რომლის ურთიერთგაგების მემორანდუმს 2021 წლის 18 ოქტომბერს მოეწერა ხელი. შესაბამისად, მომდევნო წლებში ყურადღება გამახვილდება ამ ინიციატივის განხორციელებაზე. GDDEI მიმართულია ქვეყნის შეკავების, ძალთა გენერირების, ტერიტორიული თავდაცვის, წინააღმდეგობისა და მედეგობის შესაძლებლობების გაძლიერებისკენ. იგი ხელს უწყობს ნატოსთან თავსებადობის გაზრდას, ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებასა და საქართველოს თავდაცვის ძალების მოდერნიზაციის პროცესის დაჩქარებას.

მომდევნო წლებში გაგრძელდება მართვისა და კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემების, ჯავშანსაწინააღმდეგო, საჰაერო თავდაცვის, არტილერიის, დაზვერვის, საინჟინრო და სატრანსპორტო კომპონენტების შესაძლებლობების გაძლიერება; კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების შემდგომი განვითარება; პარტნიორი ქვეყნების აქტიური მხარდაჭერით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კიბერსარდლობის ჩამოყალიბებას; გაგრძელდება მუშაობა სპეციალური ოპერაციების სარდლობის შესაძლებლობების განვითარებაზე ახალი სტრუქტურის ფარგლებში; დასრულდება სპეციალური ოპერაციების სარდლობის ინფრასტრუქტურის განვითარება მუხრანში; გაგრძელდება ტერიტორიული თავდაცვის სისტემის განვითარება; ყურადღება გამახვილდება საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებსა და პროცესებთან დაკავშირებით; გარდა ამისა, გაგრძელდება აქტივობა საქართველოს თავდაცვის ძალებში სამსახურისა და ჯარის პოპულარიზაციის მიზნით.

დაიხვეწება სამხედრო განათლების სისტემისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომელთა ფარგლებში გვარეობებზე მორგებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების გასაზრდელად გაგრძელდება საერთო საჯარისო ცენტრის განვითარება, ერთ სივრცეში ინტეგრირებული სკოლების სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწით გაუმჯობესდება საქართველოს თავდაცვის ძალებში არსებული ყველა ძირითადი სამხედრო საადრიცხო სპეციალისტის მომზადება და გადამზადება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაზაზე გაგრძელდება განათლებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესება. ამასთანავე, განხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისა და მის ბაზაზე არსებული პროფესიული განვითარების პროგრამების შესწავლა/ანალიზი მათი შემდგომი განვითარების მიზნით. გარდა ამისა, განვითარდება საწყისი სამხედრო განათლების მიღების შესაძლებლობები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის, გაგრძელდება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში.

გაგრძელდება ნატოს სტანდარტებთან თავსებადი საწვრთნელი და მხარდამჭერი სისტემების განვითარება, რაც თვისებრივად გააძლიერებს საქართველოს მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესაძლებლობებს. აღნიშნულის შედეგად საქართველო კიდევ უფრო განავითარებს არსებულ შესაძლებლობას, ნატოსთან თავსებადი საწვრთნელი ინფრასტრუქტურით მაღალ დონეზე უმასპინძლოს პარტნიორ ქვეყნებს.

საქართველო, როგორც ასპირანტი ქვეყანა, გააგრძელებს ალიანსში ინტეგრაციის ძირითადი ინსტრუმენტების (ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტი (SNGP), წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს კომისია, ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამა – ITPP) ეფექტიანად გამოყენებას; აქტიურად გაგრძელდება ნატო-

საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში განსაზღვრული ინიციატივების განხორციელება, შემუშავებული განვითარების გეგმების იმპლემენტაცია, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარებას, მედეგობის განმტკიცებასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას.

გაგრძელდება წვევამდელთა გაწვევის, რეზერვისა და მობილიზაციის სისტემების დახვეწის პროცესი. 2025 წლიდან წვევამდელები სამხედრო სამსახურს გაივლიან მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადა შემცირებულია/დიფერენცირებულია. ამასთანავე, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური ფაქტობრივად გახდება რეზერვის სამსახურის დაკომპლექტების ძირითადი წყარო.

გაგრძელდება სპეციალისტთა რეზერვის პროგრამის განვითარების მიმართულებით მუშაობა და ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონების რეზერვისტებით (აქტიური რეზერვით) დაკომპლექტება.

თანამედროვე სამხედრო ტენდენციებისა და საჭიროებების შესაბამისად გაგრძელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ ბაზაზე სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის წარმოება. „დელტას“ საწარმოო შესაძლებლობების ძირეული ანალიზის ფარგლებში იდენტიფიცირდება წარმატებული და მზარდი პოტენციალის მქონე საწარმოო მიმართულებები და ჩამოყალიბდება მათი თანამიმდევრული განვითარების გრძელვადიანი ხედვა. ყურადღება გამახვილდება წარმოების სერტიფიცირებაზე, რეგიონულ და ევროპულ სამხედრო-სამეცნიერო ბაზრებზე.

გაგრძელდება სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება და ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირებისთვის, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებისთვის სოციალური სერვისებისა და ბენეფიტების მიწოდებასა და საკარიერო ტრანზიციის პროგრამების შეთავაზებას.

სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და სხვა სოციალური პროექტების განხორციელებაზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს თანადაფინანსებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობას.

გაგრძელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ, სამხედრო ბაზრებში შემავალი ყველა ფუნქციური ზონის რეაბილიტაცია და განვითარება, ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობა, სპორტული დარბაზების მშენებლობა/კაპიტალური რემონტი, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის ურყევ პრიორიტეტად რჩება ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება, რომელიც ეფუძნება დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, ყველა მოქალაქისთვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებათა დაცვის მყარ სისტემას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას.

საქართველოს მთავრობა მომდევნო 4 წლის განმავლობაში გააგრძელებს და გააძლიერებს ზრუნვას ადამიანის უფლებების უმაღლესი სტანდარტით დასაცავად. ამ მიზნით თანამიმდევრულად და მტკიცედ განხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული პოლიტიკა.

მომდევნო წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას. ამ მიზნით დასრულდება ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ორი ძირითადი, ფუნდამენტური, კონცეპტუალური დოკუმენტის – საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და საფრთხეების შეფასების დოკუმენტის – განახლების პროცესი. ორივე დოკუმენტი დამტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით დაიწყება სფეროში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება.

მოხდება „კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების 2025–2030 წლების სტრატეგიის“ ეფექტიანი იმპლემენტაცია, რის შედეგადაც საგრძნობლად ამაღდება კიბერდაცულობის დონე; გაგრძელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ ცვლილებებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს.

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს კრიმინალური პოლიციის რეფორმას, რომლის ფარგლებშიც გაძლიერდება საგამოძიებო კომპონენტები და გაიზრდება გამოძიების ხარისხი; ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვის პარალელურად გაგრძელდება მოქმედი გამოძიებლების სისტემური გადამზადება; განხორციელდება საუბნო მიმართულებების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფციით, რომლის უმთავრესი ამოცანა დანაშაულის პრევენციის ეფექტიანობის გაზრდაა; ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების, არასრულწლოვანთა მიმართ სპეციალური მიდგომების დანერგვის, არასრულწლოვანზე მორგებული გარემოს ჩამოყალიბების მიზნით; გლობალურად მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კიბერდანაშაულის გამოძიების საკითხებს; გაიზრდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პოლიციელთა რაოდენობა, ასევე გადრეზდება ოპერატიული თანამშრომლობა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სამსახურებთან.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად რჩება ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, მათ შორის, ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ. უწყებათაშორის სამუშაო ფორმატში განახლდება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია შესაბამისი სამოქმედო გეგმით. სახელმწიფო გააგრძელებს ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგიისა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმების ეფექტიან იმპლემენტაციას, რაც მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ბალანსი ფსიქოაქტიური საშუალებების არალეგალური გავრცელების პრევენციულ, სამკურნალო და მიწოდების შემცირების შესაბამის ზომებს შორის, მხარი დაუჭიროს მოქალაქეების ჯანმრთელობისა და მათზე ზრუნვის პრინციპებს; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის დახვეწისა და განვითარების მიზნით გაგრძელდება თემატური კვლევებისა და ანგარიშების მომზადება, ასევე დაიხვეწება ადრეული გაფრთხილების სისტემა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელებასთან გამკლავების მიზნით; საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით.

გადრეზდება თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან. ამასთანავე, გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა ევროპოლთან და გაფართოვდება პოლიციის ატაშეების ქსელი.

მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტით მოპოვების მიზნით განვითარდება საექსპერტო-კრიმინალისტიკური შესაძლებლობები, ლაბორატორიები აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. გარდა ამისა, ცალკეული საექსპერტო მიმართულებებით გაფართოვდება აკრედიტაციის სფერო და შეიქმნება „დნმ ბანკი“.

გაგრძელდება ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფციის განვითარება, რომლის ფარგლებში მოხდება ანალიტიკოსთა შესაძლებლობების გაზრდა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გაგრძელდება მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული სამართალწარმოების ხარისხის მონიტორინგი და ამ კატეგორიის დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ საქმეებზე ეფექტიანი რეაგირების ხელშეწყობა. მათ შორის, ძალადობის მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების ეფექტიანად უზრუნველყოფის მიზნით გაძლიერდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობა.

გაგრძელდება საპატრულო პოლიციის რეფორმა, რომელიც გულისხმობს როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო არეალის გაზრდას, ისე ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებას, საპატრულო პოლიციის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

გაგრძელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება; მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების სფეროში; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილი ახალი დანაყოფი უზრუნველყოფს ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევი მიზეზების დეტალურ ანალიზს, შავი წერტილების იდენტიფიცირებას და შესაბამის უწყებებთან ერთად პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დაგეგმვას; დასრულდება სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღებად საჭირო გამოცდის პრაქტიკული კომპონენტის რეალურ პირობებში ინტეგრირება; გაგრძელდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მოლაპარაკებები მათ ტერიტორიებზე საქართველოში გაცემული მართვის მოწმობების აღიარებასთან დაკავშირებით; საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრი „112“ საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად გააგრძელებს ვიდეოსამეთვალყურეო და სიჩქარის კონტროლის სისტემების დამატება-განვითარებას ქვეყნის მასშტაბით; საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიით დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად გაგრძელდება 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია და ყველა პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობა.

გაგრძელდება სასაზღვრო პოლიციის რეფორმა, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების, სასაზღვრო ინფრასტრუქტურისა და საზღვარზე დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების განვითარებას; აღნიშნული მიმართულებით უფრო გაღრმავდება აქტიური თანამშრომლობა ნატოსთან; გაგრძელდება საზღვრის მართვის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის განვითარება.

უვყო მიმოსვლასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ გაძლიერდება მიგრაციული ნაკადების მართვა და რეადმისიის ხელშეკრულების აღსრულება; მიგრაციული პროცესების უკეთ სამართავად და განსაკუთრებით იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ საქართველოში არსებული თავშესაფრის სისტემით, რეგულაციების გამკაცრების მიზნით იგეგმება სათანადო ღონისძიებების განხორციელება; მომზადდება ახალი კანონპროექტი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომელიც მაქსიმალურად აღმოფხვრის საქართველოს კანონმდებლობის აღსრულებისას გამოვლენილ ხარვეზებს. გარდა ამისა, დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით შესაძლებლობების გაზრდას; საგანგებო სიტუაციების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად განვითარდება საოპერაციო შესაძლებლობები/რესურსები, გაუმჯობესდება მზადყოფნის დონე და გაიზრდება რეაგირების ხარისხი; იგეგმება ტექნიკის/აღჭურვილობის განახლება და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი განვითარება.

გაგრძელდება ახალი საპოლიციო ციფრული პროდუქტების შექმნა, მათ შორის, დაინერგება

დისტანციური მომსახურების სერვისები.

სამართალდამცავ სისტემაში ახალგაზრდა, კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოსაზიდად, აგრეთვე არსებული კადრების მოტივაციის ასამაღლებლად განვითარდება ადამიანური რესურსების მართვის არსებული მექანიზმები; დაიხვეწება სტაჟირების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მოტივირებული ახალგაზრდა კადრების მოზიდვას; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია განვითარებს საგანმანათლებლო პროგრამებს და აკადემიის ბაზაზე დანერგავს საბაკალავრო პროგრამას, რაც სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლებს, პროფესიულთან ერთად, აკადემიური განათლების მიღების შესაძლებლობას მისცემს. გარდა ამისა, გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად მოხდება პოლიციელთა პერიოდული პროფესიული გადამზადება.

გაგრძელდება პოლიციის შენობების განახლება-რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მათი უზრუნველყოფა; განახლდება არსებული ავტოპარკი, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ტექნიკა და შეიარაღება. გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გაგრძელდება ბინათმშენებლობის პროექტი და ეტაპობრივად გაიზრდება პოლიციელთა შრომითი ანაზღაურება.

საქართველოს მთავრობა მომდევნო 4 წლის განმავლობაში გააგრძელებს პენიტენციურ სისტემაში უმაღლესი სტანდარტების დანერგვასა და პრობაციის სამსახურის განვითარებას. ამ მიზნით:

- მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება ახალი, მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა ქალაქ რუსთავში; ეტაპობრივად აშენდება სხვა ახალი, ევროპული ტიპის მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებები; გაგრძელდება და გაფართოვდება პენიტენციური დაწესებულებების მაღალი სტანდარტით მშენებლობის, კაპიტალური რემონტის, რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროცესი; გაგრძელდება იუსტიციის სახლების გახსნა პენიტენციურ დაწესებულებებში;
- გაგრძელდება მსჯავრდებულთა პირობების გაუმჯობესება, კერძოდ, გათანაბრდება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობები;
- პენიტენციურ დაწესებულებებში გაძლიერდება უსაფრთხოების სისტემა, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- გაფართოვდება ინოვაციური პროექტი – ციფრული უნივერსიტეტი, რომელიც მსჯავრდებულებს შესაძლებლობას მისცემს, დისტანციურად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში, ონლაინრეჟიმში დაესწრონ ლექციებს და პირდაპირი, ინტერაქტიური კომუნიკაცია ჰქონდეთ ლექტორებთან;
- განახლდება მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროგრამები, აგრეთვე საჭიროების მიხედვით, შემუშავდება ახალი პროგრამები და გაიზრდება პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობა; ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მულტიდისციპლინური მიდგომით გაგრძელდება რისკზე, საჭიროებასა და რეაგირებაზე დაფუძნებული მსჯავრდებულთა შეფასება (დანაშაულის განმეორებით ჩადენისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონის დადგენა) და, გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა (შემთხვევის მართვა);
- ეტაპობრივად გაიზრდება პროფესიული სწავლების, მომზადების/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა; განახლდება და შეივსება პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი;
- სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება სრულად განხორციელდება ელექტრონული ფორმით; სრულად განახლდება სამედიცინო აღჭურვილობა; შეიქმნება უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი ახალი ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური ბაზა;
- დაბალი რისკის პრობაციონერთა ელექტრონული კონტროლისა და მომსახურების ერთი ფანჯრის პრინციპით განსახორციელებლად ყველა იუსტიციის სახლსა და პრობაციის ბიუროში განთავსდება PROBBOX-ის მოწყობილობა; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით გაგრძელდება

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის რეგიონული განვითარება; გაძლიერდება ადღგენითი მართლმსაჯულების მიმართულება და განრიდებისა და მედიაციის პროგრამები; გაფართოვდება მედიაციის რეგიონული სივრცეების არეალი; ქვეყნის მასშტაბით, საჯარო და კერძო სკოლებში ჩატარდება დანაშაულის პრევენციის ონლაინკურსი; პრობაციონერთა საორიენტაციო კურსის პილოტირების შემდეგ დაბალი რისკის პრობაციონერებისთვის ამ კურსში ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის ყველა რეგიონში.

2.1

**საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)**

პრევენციული და საგამომიებო ფუნქციების გაძლიერება;

ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მართლწესრიგსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენას;

ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ავტოპარკის მუდმივი განახლება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებისთვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება.

2.2

**თავდაცვის მართვა (პროგრამული კოდი 29 01)**

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება;

პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრთა კონფერენცია და სხვა) ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა და შეიარაღების კონტროლისა და ვერიფიკაციის ღონისძიებებში მონაწილეობა;

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალებში თანაბარი შესაძლებლობებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა, მათ შორის, ქალთა გაზრდილი მონაწილეობისთვის პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა;

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო კონტინგენტის შენარჩუნება, გაძლიერება, მოსამსახურეთა მოტივაციის ამაღლება და მათი მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა;

სპორტული და კულტურული ღონისძიებების განხორციელება;

სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების უზრუნველყოფა; ერთიანი თანამედროვე სტანდარტების სამხედრო აღრიცხვიანობის სისტემის ჩამოყალიბება/ოპტიმიზაცია და მართვა;

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება; სამხედრო სამსახურისთვის პერსონალის მოზიდვა/რეკრუტირება;

საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაციით სამხედრო სამსახურის პოპულარიზაცია.

2.3 **ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 08)**

სამხედრო ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად სრული ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესება;

ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ჩასატარებელი სწავლებების, აგრეთვე წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისა და რეზერვის ახალი სისტემის სრული ამოქმედებისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

2.4 **თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (პროგრამული კოდი 29 07)**

ეროვნული თავდაცვის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საქართველოს თავდაცვის ძალების ნატოსთან თავსებადი შესაძლებლობების განვითარება საბრძოლო ფუნქციების მიხედვით.

2.5 **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 26 02)**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ღონისძიებების განხორციელება;

პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;

პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა;

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალურ პროგრამებში, ტრენინგებსა და კურსებში, კულტურულ ღონისძიებებსა და დასაქმების პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის აუცილებელი მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით უზრუნველყოფა;

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების გაწევა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მომსახურების შეთავაზება;

ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა, აივ ინფექციის/შიდსის გამოვლენის მიზნით და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სკრინინგი და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარება, პაციენტების აივ ინფექციის/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩართვა;

დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით პატიმართა და ამ სისტემის თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

2.5.1

**პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 01)**

პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;

პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა;

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალურ პროგრამებში, ტრენინგებსა და კურსებში, კულტურულ ღონისძიებებსა და დასაქმების პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

2.5.2

**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 02 02)**

პენიტენციური სისტემის აუცილებელი მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით უზრუნველყოფა;

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების გაწევა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მომსახურების შეთავაზება;

ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა, აივ ინფექციის/შიდსის გამოვლენის მიზნით და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სკრინინგი და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარება, პაციენტების ჩართვა აივ ინფექციის/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში;

დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2.5.3

**პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 03)**

პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით პატიმართა და ამ სისტემის თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

2.6

**სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 20 01)**

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან დაცვა;

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;

ტერორიზმთან ბრძოლა;

სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მისი კონტროლი.

**2.7 სახელმწიფო საზღვრის დაცვა (პროგრამული კოდი 30 02)**

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცეში და საქართველოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად;

საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა;

ზღვაოსნობისა და ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართვა, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

სასაზღვრო პოლიციის საზღვაო ფლოტის და საჰაერო ფლოტის განახლება;

საფრენოსნო და საინჟინრო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

**2.8 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება (საცხოვრებელი, საყაზარმე, სასაწყობო და საპარკო ზონები, ასევე, საინჟინრო კომუნიკაციები).

**2.9 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 06)**

ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე საომარი მდგომარეობით, ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისგან/საგანგებო სიტუაციისგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების დასაცავად სათანადო რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფისთვის გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო

მრჩეველთა ჯგუფის – INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭება;

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა;

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელება.

2.10

**პროფესიული სამხედრო განათლება (პროგრამული კოდი 29 02)**

მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად ეროვნული სასწავლო გეგმის და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით, კადეტთა ზოგადი განათლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა;

კვალიფიციური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცერთა კორპუსის აღზრდა და მომზადება;

კადრების პროფესიული გადამზადებისთვის სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების ჩატარება, აგრეთვე გამოცდილების გასაზიარებლად შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვა;

სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის განვითარება;

სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებულ პროფესიული განვითარების პროგრამებში სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

თავდაცვის სფეროში მოხალისეობრივ საქმიანობაში საქართველოს მოქალაქეთა ჩართვა და მათი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

2.11

**დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 40 01)**

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელ პირთა, საქართველოში ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირთა, აგრეთვე სამთავრობო რეზიდენციების დაცვა და მათი უსაფრთხოების დონის ამაღლება.

2.12

**საქართველოს პროკურატურა (პროგრამული კოდი 21 00)**

ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება;

ოჯახში ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების დახვეწა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის მოდერნიზაცია;

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის

მიწოდების მექანიზმების სრულყოფა;

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პროკურატურის ცნობადობის ამაღლება და დანაშაულის პრევენციის (მათ შორის, „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის მეშვეობით) პროცესში მისი როლის გაზრდა;

არასრულწლოვანებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორად განხორციელებისა და დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფით;

თანამიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით პროკურატურისა და სხვა საგამომიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება.

2.13

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)**

საქართველოს თავდაცვის სისტემის მოსამსახურეებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის, სამხედრო პენსიონერებისთვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისა და სამოქალაქო პირებისთვის სრული და ეფექტიანი სამედიცინო მომსახურების გაწევა;

მუდმივმოქმედი სამედიცინო საექსპერტო კომისიის ორგანიზება და ჩატარება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესება და სოციალური მხარდაჭერის ხელშეწყობა;

საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო ქვედანაყოფების მოდერნიზება, პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ზრდის ხელშეწყობა;

დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურების უზრუნველყოფა.

2.14

**ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 20 02)**

უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია: სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებასთან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებასთან, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრასთან, საფოსტო-სატელეგრაფო გზაწინის კონტროლთან, ფარულ ვიდეოჩაწერასთან ან/და აუდიოჩაწერასთან, ფარულ ფოტოგადაღებასთან;

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების და იმავე

მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;

სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო გამტარი პუნქტების საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.

2.15

**ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)**

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;

პრევენციული ღონისძიებების გატარება შემდგომში დანაშაულის ჩადენის თავის არიდების მიზნით;

საქართველოსა და უცხო ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცედურებთან დაკავშირებით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა;

ფინანსური დანაშაულის გამოძიების საერთაშორისო ქსელის პროექტებში მონაწილეობა;

საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების ფაქტების აღსაკვეთად, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

თაღლითობის ფაქტების აღმოჩენის/გამოვლენის, აგრეთვე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით ევროპული სამსახურების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სემინარებში სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ინტელექტუალური საკუთრების უფლების ეკონომიკურ დანაშაულად მიჩნევისთვის „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობა.

2.16

**სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი 29 06)**

ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის უტილიზაცია, დახარისხება, რეალიზება;

საბრძოლო იარაღის, საბრძოლო მასალების, სამხედრო/სამრეწველო დანიშნულების ტექნიკის და საჯავშნე მასალების შექმნა;

სამხედრო სამრეწველო დანიშნულების სპეციალური ობიექტების დაპროექტება და მშენებლობის ორგანიზება;

ჰუმანიტარული განადმვითი საქმიანობის განხორციელება და კოორდინაცია;

სეტყვასაწინააღმდეგო სისტემების დამუშავება, შექმნა, დანერგვა, მოდერნიზება და მომსახურება;

სამეცნიერო კვლევების ჩატარება სამთო ინჟინერიაში, გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში, მანქანათმშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებებში, გამოყენებითი ოპტიკის სფეროში, მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში, მიკროელექტრონიკასა და ნანოელექტრონიკაში.

2.17

**ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 24 10)**

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;

ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციითა და პილოტაჟით უზრუნველყოფა;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის ქვეყნის მასშტაბით მგზავრთა საჰაერო გადაყვანა;

სახელმწიფოს მიერ საჯარო ინტერესის გათვალისწინებით სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების უზრუნველყოფა (ისეთი მიმართულებებით, რომელთა მიმართ მომსახურების გამწვევს/სარკინიგზო ოპერატორს არ აქვს კომერციული ინტერესი).

2.18

**სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 37 00)**

ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისთვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა;

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისთვის სათანადო, ღირსეული პირობების შექმნა;

სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის განმტკიცებისთვის მუდმივი ზრუნვა;

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა;

საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება.

2.19

**მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში სტაბილური, ეფექტიანი და უსაფრთხო ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების შექმნა/განვითარება; პერსონალის შესაძლებლობების განვითარება; სამხედრო სწავლებებში კიბერუსაფრთხოების ელემენტების ინტეგრირება; ორმხრივი და მრავალმხრივი

თანამშრომლობის გაღრმავება; კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების განვითარება საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად; საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება;

სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება; რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (IRMS) ეტაპობრივი დანერგვის მხარდაჭერა; კავშირგაბმულობის სერვისების, ინტერნეტისა და საფოსტო-საკურიერო მომსახურების უზრუნველყოფა.

2.20

**დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (პროგრამული კოდი 26 06)**

ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის პრევენცია, მათ შორის, დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია, რთული ქცევისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევად არასრულწლოვანებთან მუშაობა, დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებულთა, განრიდებულ არასრულწლოვანთა, რთული ქცევისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასაპატიმრო სასჯელებისა და სამართლებრივი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა და ამ გზით საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის გარანტიების შექმნა, რომლებიც მოიცავს სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნას, შინაპატიმრობას (მათ შორის, ელექტრონული მონიტორინგის საშუალებას), იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვას;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასაპატიმრო სასჯელებისა და სამართლებრივი აქტების აღსრულებასთან ერთად, დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით ბენეფიციარების ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პირობით მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად ამ პირთა მხარდაჭერა და შესაბამისი სერვისების მისაღებად გადამისამართება; მათთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა; აღდგენითი მართლმსაჯულების, განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების პრაქტიკაში დანერგვა, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი განვითარება;

ფსიქოსოციალური, პროსოციალური და სარეაბილიტაციო მომსახურებების, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში არასაპატიმრო სასჯელებით მსჯავრდებული, პრობაციონერი, განრიდებული და რეფერირების ცენტრის ბენეფიციარების ჩართვა;

პრობაციის ბიუროების ახალ ოფისებში პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცის, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური შეხვედრების ოთახების ფუნქციონირება და სხვა.

2.21

**ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 03)**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოძრავი ტვირთების დაცვა და გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა და ინკასირება, დადებული ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან, დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება, ობიექტების ციფრული კავშირგაბმულობისა და თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა;

ავტოპარკის მუდმივი განახლება;

ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.

2.22

**საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 30 07)**

ქვეყანაში გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა, რეაგირებაზე პასუხისმგებელი სუბიექტების სწორი და დროული ინფორმირება, გადაუდებელი დახმარების შეტყობინების მიღების და დამუშავების სისტემის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ფუნქციონირება, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, ეროვნული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება, საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება.

2.23

**სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 40 03)**

სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემით სახელმწიფო სტრუქტურების უზრუნველყოფა.

3

**რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი**

საქართველოს მთავრობის ინფრასტრუქტურული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური წინსვლისთვის მტკიცე საფუძვლის შექმნა. საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ქვეყნის სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაძლიერებაზე. პრიორიტეტულია თანამედროვე საგზაო ქსელების, წყალმომარაგების სისტემებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გააუმჯობესებს კავშირებს რეგიონებს შორის და ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს სწორედ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა აქტიურად იმუშავებს.

- თბილისიდან ბათუმამდე მაგისტრალის მშენებლობის მიზნით 2025 წელს დასრულდება მონაკვეთების მიმდინარე მშენებლობა და დაიწყება ქობულეთის შემოვლითი გზის დამატებითი 2 ზოლის მშენებლობა; დასრულდება თბილისი-რუსთავის დარჩენილი 4-ზოლიანი მონაკვეთის მშენებლობა;
- დაიწყება და დასრულდება რუსთავი-წითელი ხიდისა და ალგეთი-სადახლოს გზის მონაკვეთების მშენებლობა და დაიწყება ბათუმი-სარფის გზის მონაკვეთის მშენებლობა. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად დასრულდება საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკების საზღვრებთან დამაკავშირებელი შუა დერეფნის მონაკვეთების მშენებლობა;
- დაიწყება ანაკლიის პორტთან მისასვლელი გზის მშენებლობა; ლილოს შემოვლითი გზის, დასავლეთიდან თბილისში ახალი შემოსასვლელის და თბილისიდან დასავლეთისკენ ახალი გასასვლელის მშენებლობა;
- სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით დასრულდება ქვეშეთი-კობის პროექტი და სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთი; დაიწყება წიწამური-ჟინვალის გზის მონაკვეთის მშენებლობა.

აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობები კახეთის მაგისტრალის მიმართულებით, რომლის

ვარგლებში უკვე გაიხსნა ბაკურციხე-წნორის 18-კმ-იანი მაგისტრალური გზა და თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი გზა. მომავალ წელს გაიხსნება დამატებით 17-კმ-იანი გზა. დაიწყება ბადიაური-ჩალაუბნის, გურჯაანი(ჩუმლაყი)-თელავის ასაქცევი და ლაგოდეხის შემოვლითი გზის მშენებლობა.

საქართველოს მთავრობისთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობისთვის ხარისხიანი და უწყვეტი წყალმომარაგება. მოსახლეობის ხარისხიანი წყალმომარაგების მიზნით აქტიურად გაგრძელდება მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს 2025 წლის ბოლოსთვის ყველა ქალაქის, ხოლო სოფლების შემთხვევაში – მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ეტაპობრივად, ჯამურად 300,000 ბენეფიციარის 24-საათიან წყალმომარაგებას. ამასთანავე, გაგრძელდება გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა და 2028 წლის ბოლომდე არსებულ 6 გამწმენდს დაემატება 11 ახალი გამწმენდი ნაგებობა.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სივრცით დაგეგმვასა და შესაბამის განვითარებას, რადგან სწორედ ამ გზით ხდება ქვეყნის ტერიტორიისა და რესურსების რაციონალური გამოყენება, რეგიონების თანაბარი განვითარება და ყველა მოქალაქისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა. ამასთანავე, აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სექტორის ევროპულ მოდელთან დაახლოება და ევროკოდებისა და ევრონორმების დანერგვა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების, კერძოდ, ჰესების, უსაფრთხო და სტაბილური ექსპლუატაცია. ეს კი გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ზედამხედველობას. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარეობს მუშაობა ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების უსაფრთხოების მონიტორინგის არსებული სისტემის სრულყოფაზე, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება ამ ობიექტებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. აღნიშნული უზრუნველყოფს ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების უსაფრთხო ექსპლუატაციას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

განხორციელებული სამშენებლო რეფორმის შესაბამისად, ქვეყანა სრულად გადავა ევროკოდების სისტემაზე, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სამშენებლო მასალებისა და ტესტირების მეთოდების დანერგვას; მიიღება ახალი გეოგრაფიული, კლიმატური და სეისმური პარამეტრები, რაც მოიცავს ახალი სეისმური და კლიმატური რუკების შემუშავებას/მიღებას; დადგინდება ერთიანი ჰარმონიზებული წესები მშენებლობისა და კონსტრუქციული დაპროექტებისთვის; სამშენებლო სექტორი დაუახლოვდება ევროპულ მოდელს, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზებული კანონმდებლობით კი გაადვილდება საერთაშორისო მნიშვნელობის ობიექტების როგორც დაპროექტება, ისე მშენებლობა და ზედამხედველობა.

ბაზარზე იქნებიან წარმოდგენილი სერტიფიცირებული არქიტექტორები, ინჟინრები და ექსპერტები, რაც შესაძლებელს გახდის კომპეტენტური პირის მიერ სამშენებლო დოკუმენტაციის დამოწმებას/ექსპერტიზას, რადგან სავალდებულო იქნება სანებართვო დოკუმენტაციის დამოწმება იმ სუბიექტის მიერ, რომელმაც ჩააბარა სასერტიფიკატო გამოცდა და დაადასტურა საკუთარი კომპეტენცია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების ცოდნის/გამოყენების მიმართულებით.

გარდა ამისა, სივრცითი დაგეგმვის მიმართულებით დამუშავდება 10 ტერიტორიული ერთეულის სივრცითი/ურბანული გეგმა. ეს კი უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერ განვითარებას და გამორიცხავს ქაოსურ განაშენიანებას. აღნიშნული პროექტები აზიის განვითარების ბანკთან (ADB) თანამშრომლობით განხორციელდება და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კარგი საშუალება იქნება. საბოლოოდ, ეტაპობრივად, ქვეყანა სრულად დაიფარება სივრცითი/ურბანული გეგმებით.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად რჩება დეცენტრალიზაციის პოლიტიკის წარმატებულად

გატარება. შესაბამისად, უწყვეტად გაგრძელდება დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიის განხორციელება. 2025 წლის ბოლოს შეფასდება არსებული სტრატეგიის განხორციელების შედეგები, რომელთა საფუძველზედაც დაიწყება მუშაობა ახალი პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაზე გაზრდილი ფინანსური და ქონებრივი შესაძლებლობების მქონე, მაღალი ევროპული სტანდარტის ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად.

რეგიონული განვითარებისა და გათანაბრების ეფექტიანი პოლიტიკის გასატარებლად გაგრძელდება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ევროკავშირი კოპეზიის პოლიტიკის შესაბამისი პროგრამის (პროგრამების)/პლატფორმის გამოყენებით; გაგრძელდება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების მხარდაჭერა შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების საშუალებით, მიღებული გამოცდილებით, ევროკავშირის პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდასაჭერად, რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში შემდეგი 4 წლის განმავლობაში გამოყოფილი იქნება 2 მილიარდ ლარზე მეტი; მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

გაგრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება და მოქალაქეთა ჩართულობით განხორციელდება შერჩეული პროექტები. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდება ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების მიმდებარე დასახლებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის, თანასწორი და ინკლუზიური გარემოს განმტკიცების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021–2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება, რომელიც განიხილება სამ განზომილებაში – ქვეყნის სტრატეგიული განვითარება, მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველოს ევროპული არჩევანი. დაგეგმილი კომპლექსური ღონისძიებები და საჭიროებებზე მორგებული მექანიზმები მიმართულია სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობების გაფართოებისკენ, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისკენ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდისკენ, სახელმწიფო სერვისებსა და მხარდაჭერ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ამაღლებისკენ, კულტურული თვითმყოფადობის დაცვისკენ, კულტურათამორისი დიალოგის წახალისებისა და მხარდაჭერისკენ.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქვეყნის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალის სრულად გამოყენება. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიზანია სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მდგრადი, ეფექტიანი სატრანსპორტო კავშირების შექმნა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკური და რეგიონული ინტეგრაციის გაძლიერებაში.

გააქტიურდება ძალისხმევა საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო მარშრუტების, მათ შორის, შუა დერეფნის, მიმართულებით დამატებითი ტვირთების მოზიდვისთვის. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ეფექტიანი რეალიზების მიზნით საკვანძო ინფრასტრუქტურის შექმნის პარალელურად გაგრძელდება შესაბამისი სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელება.

დასრულდება რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი, რომლის მთავარი მიზანია უსაფრთხოების გაზრდა, მსვლელობის დროისა და ინფრასტრუქტურული ხარჯების შემცირება. ამ პროექტის დასრულების შემდეგ რკინიგზის წლიური გამტარუნარიანობა 27 მილიონი ტონიდან 48 მილიონ ტონამდე გაიზრდება ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ავტომატური ბლოკირების სისტემის დამონტაჟებით – 100 მილიონ ტონამდე. ამასთანავე, დასკვნით ეტაპზეა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც შუა დერეფნის განუყოფელი ნაწილია.

განხორციელდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის გაზრდას, საქართველოს ტერიტორიის გავლით ახალი ტვირთნაკადების მოზიდვას და ამ ნავსადგურის მიმდებარედ წარმოებისა და ლოჯისტიკური სერვისების განვითარებას. ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური ოპერირებას 2029 წელს დაიწყებს. პირველი ფაზის დასრულების შემდეგ ნავსადგურის გამტარუნარიანობა იქნება 600 000 კონტეინერი (TEU) წელიწადში, ხოლო განხორციელებული ინვესტიცია 600 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება.

დაგეგმილია თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა ვაზიანის ყოფილ სამხედრო აეროდრომზე, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, მოემსახუროს ნებისმიერი ზომის საჰაერო ხომალდს და საქართველოს შესძენს რეგიონული ჰაბის ფუნქციას. ახალი საერთაშორისო აეროპორტის საშუალებით თბილისის არსებული აეროპორტის გამტარუნარიანობა 5 მლნ მგზავრიდან ეტაპობრივად გაიზრდება 20 მლნ მგზავრამდე.

გაუმჯობესდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა; განხორციელდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი 3,5 კმ სიგრძის ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და სხვა სააეროდრომო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რისთვისაც ჯამში 240 მილიონი ლარი გამოიყოფა. ამ პროექტის დასრულების შემდეგ ქუთაისის აეროპორტს შესაძლებლობა ექნება, მოემსახუროს როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო რეისებს. ამასთანავე, გაფართოვდება ქუთაისის აეროპორტის ტერმინალი, რაც აეროპორტის გამტარუნარიანობას 1.7 მლნ მგზავრიდან 5 მლნ მგზავრამდე გაზრდის.

დაგეგმილია თელავის აეროპორტის მშენებლობა, რომლის ფარგლებში აშენდება ახალი სამგზავრო ტერმინალი, სრულად განახლება აეროდრომი და ასაფრენი ზოლი. ამ პროექტის საშუალებით კახეთის რეგიონი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება ტურისტებისთვის.

დასრულებულია მესტიის აეროპორტის ახალი ტერმინალის პროექტზე მუშაობა, რომლის ფარგლებში 2025 წელს დაიწყება ტერმინალის სამშენებლო სამუშაოები, აღნიშნული რამდენჯერმე გაზრდის აეროპორტის გამტარუნარიანობას.

მომდევნო წლებში გაგრძელდება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროკავშირის საავიაციო სტანდარტების დანერგვა, მათ შორის, დაინერგება ავიაკომპანიებისა და ავიასპეციალისტების სერტიფიცირების ევროპული სტანდარტები და სააერონავთო მომსახურების ზედამხედველობასთან დაკავშირებული ევროპული რეგულაციები.

გაგრძელდება ლიბერალური საავიაციო პოლიტიკის გატარება და ახალი ავიაკომპანიების ბაზარზე დაშვებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. აღნიშნულის შედეგად, არსებული პროგნოზებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 2028 წლისთვის 2.8 მილიონზე მეტ მგზავრს მოემსახურება, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი სულ მცირე 6 მილიონ მგზავრს მოემსახურება, ხოლო ბათუმის აეროპორტში მილიონამდე მგზავრის მიღებაა პროგნოზირებული. ამდენად, ყველა საერთაშორისო აეროპორტი 2028 წლისთვის ჯამში 9.8 მილიონ მგზავრზე მეტს მიიღებს.

სარკინიგზო დარგის შემდგომი განვითარების მიზნით გაგრძელდება დარგის რეფორმა, რომელიც დაყოფილია სამ ფაზად: I ფაზა – ინსტიტუციური ჩარჩოსა და უსაფრთხოების სისტემის ფორმირება – 2023–2025 წლები; II ფაზა – მგზავრთა უფლებების ევროპული სტანდარტების დანერგვა და სარკინიგზო ტექნიკური საწარმოების სერტიფიცირება – 2024–2026 წლები; III ფაზა – სარკინიგზო ტრანსპორტის დარგის ბაზრის რეგულირება და სარკინიგზო თავსებადობის უზრუნველყოფა – 2026–2027 წლები.

გაგრძელდება ქვეყნის შიდა საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის, სატრანსპორტო საშუალებების გზისპირა ზონაში შემოწმებისა და ტექნიკური ინსპექტირების რეფორმების განხორციელება.

გარდა ამისა, სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვების წილის გასაზრდელად და შუა დერეფანში გარემოსდაცვითი მდგრადობის მისაღწევად გაგრძელდება მუშაობა საკონტრილერო გადაზიდვების განვითარების კუთხით.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის სატრანსპორტო კავშირების გაძლიერების მიზნით გაგრძელდება მუშაობა შავ ზღვაზე ბულგარეთსა და რუმინეთთან პირდაპირი საბორნე ხაზების დამატებისა და მიმოსვლის ინტენსივობის გაზრდის მიმართულებით.

სატრანსპორტო სისტემების გაციფრულების ფარგლებში გაგრძელდება მუშაობა ნავსადგურის გაერთიანების სისტემის (PCS) დანერგვაზე, რომლის საპილოტო რეჟიმში გაშვება დაგეგმილია 2025 წლისთვის.

მოწესრიგდება ქვეყანაში შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტი და საქართველოს ტბებსა და მდინარეებზე უზრუნველყოფილი იქნება მცურავი საშუალებებისა და მგზავრების უსაფრთხო გადაადგილება.

ციფრული ტრანსფორმაცია და ქვეყნის სრულმასშტაბიანი ინტერნეტიზაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის ფარგლებში ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა და პროგრამებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ციფრული სფეროს განვითარების კუთხით. ევროკავშირის ციფრულ ბაზართან ინტეგრაცია და ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც რეგიონული ციფრული ჰაბის, პოზიციის გამყარებას. შესაბამისად, მომდევნო წლებში ინტერნეტიზაციის განვითარებისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიზნით საქართველოს მთავრობა განახორციელებს სხვადასხვა ინიციატივას, რომელთა მიზანია ქვეყნის მოსახლეობისთვის მაღალი სიჩქარის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ციფრული სერვისების გაუმჯობესება.

სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით დაიფარება 1000-ამდე დასახლებული პუნქტი და 500 000 მოსახლეზე მეტს გაუჩნდება ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურებებთან წვდომის შესაძლებლობა. ამ პროექტის ფარგლებში ჯამურად აშენდება 5000 კილომეტრამდე ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი.

განხორციელდება „ბოლო-მილის“ ინტერნეტიზაციის ფარგლებში განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები, გაუმჯობესდება პოლიტიკის საკანონმდებლო ჩარჩო მაღალი სიჩქარის ინტერნეტქსელებისა და მომსახურებების განვითარების ხელშეწყობისთვის.

საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად გაგრძელდება მუშაობა საქართველოში ციფრული ჰაბის განვითარების მიმართულებით, განხორციელდება ქმედებები, რათა, ერთი მხრივ, შავ ზღვაში გაიზარდოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის რაოდენობა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში შეიქმნას ტექნოლოგიური გიგანტების დატაცენტრების დაფუძნებისთვის მიმზიდველი გარემო.

განხორციელდება ქმედებები საქართველოში მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის შესაძლებლობების გასაზრდელად, მონაცემთა ცენტრების დეცენტრალიზაციისკენ მიმართული მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, ქართული ბიზნესისა და საჯარო უწყებების საჭიროებების შესაბამისი ენერგოეფექტური და დაცული ღრუბლოვანი ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ცენტრების გამოყენების ხელშესაწყობად.

განხორციელდება მხარდაჭერა ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებისთვის, რაც სარგებლისა და პროდუქტიულობის მომტანი იქნება საქართველოს მოქალაქეებისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის.

მიიმართება ძალისხმევა საქართველოში ციფრული და მაღალი ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარების ხელშესაწყობად და ექსპორტზე გასატანად.

ციფრული ინკლუზიის უზრუნველსაყოფად გაგრძელდება ქვეყნის მასშტაბით ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების განხორციელება, მათ შორის, ქალებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები სატელეკომუნიკაციო უნივერსალური მომსახურების დასაწესებლად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება ფოსტის სფეროში უნივერსალური მომსახურების დასაწესებლად, რათა საქართველოს მოსახლეობამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი პირობებით ისარგებლოს ხელმისაწვდომი საფოსტო მომსახურებით.

გაგრძელდება ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზარში საქართველოს ინტეგრაცია და ციფრული ბაზრის რეგულაციების ჰარმონიზებაზე მუშაობა.

გაგრძელდება ევროკავშირის ერთიან როუმინგულ სივრცეში საქართველოს ინტეგრირებისთვის მუშაობა, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს, ევროკავშირის ტერიტორიაზე მოგზაურობისას ისარგებლოს როუმინგის ხელმისაწვდომი ტარიფებით.

მომდევნო წლების განმავლობაში ქვეყნის შემდგომი ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების მიზნით დაიწყება ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება, რომელიც განსაზღვრავს ციფრული ტრანსფორმაციისა და ციფრული ეკონომიკის განვითარების სამომავლო მიმართულებებსა და ქვეყანაში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების კოორდინაციის მექანიზმებს, კერძოდ, ქვეყნის ერთიანი ციფრული ტრანსფორმაციის კოორდინაციის ფუნქცია დაეკისრება კონკრეტულ უწყებას და გატარდება შესაბამისი ზომები ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

სწრაფად განვითარებად გლობალურ სამყაროში ინოვაციები და ტექნოლოგიები მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის საყრდენად მოიაზრება. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის დაარსებით საფუძველი ჩაეყარა ამ მიმართულების განვითარებას. სხვადასხვა დარგში ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის, ეკონომიკის დამატებითი სტიმულირებისა და სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობა განაგრძობს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას:

- საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოს (SME) და R&D კომპანიის სტატუსები და ამოქმედდება მნიშვნელოვანი საშეღავათო პირობები სამივე კატეგორიის კომპანიებისთვის;
- 2025 წლიდან ამუშავდება სრულიად ახალი, სრულმასშტაბიანი აქსელერაციის პროგრამა, რომლის ფარგლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს წლიურად 160 სტარტაპის მომზადებასა და დაფინანსებას. ამასთანავე, გაგრძელდება 500 Georgia აქსელერაციის პროგრამა და ქვეყანაში დამატებით ამოქმედდება კიდევ ერთი საერთაშორისო ტოპ-აქსელერატორი;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოში საერთაშორისო ღონისძიებების განხორციელებას ქართული სტარტაპების პოტენციალზე საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად და ინვესტიციების მოსაზიდად;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებებით კერძო-საჯარო პარტნიორობის ფორმატში გაგრძელდება საგანმანათლებლო სასწავლო პლატფორმის – Do IT in Georgia – ბაზაზე სასწავლო კურსების შეთავაზება და მოწინავე IT პროფესიებში კადრების მომზადება-გადამზადება. ამასთანავე, ქვეყნის მასშტაბით დაინერგება IT სწავლების საერთაშორისო პლატფორმა სასკოლო

ასაკის მოსწავლეებისთვის, რაც შესაძლებლობას მისცემს მომავალ თაობას, სასკოლო ასაკშივე დაეუფლოს თანამედროვე ტექნოლოგიურ ცოდნას;

- ტექნოპარკების ბაზაზე გაგრძელდება პროექტების განხორციელება სამეწარმეო და ტექნოლოგიური მიმართულებებით. აღნიშნულის შედეგად მეტ პირს ექნება წვდომა არსებულ შესაძლებლობებსა და რესურსებზე და მეტი პირი შეიძენს ტექნოლოგიურ უნარებს საკუთარი ბიზნესიდეების განსახორციელებლად;

- გაგრძელდება მუშაობა საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიების მოზიდვის მიმართულებით. სადღეისოდ ქვეყანაში 120-ზე მეტი საერთაშორისო IT კომპანია ფუნქციონირებს და 10 000-ზე მეტ ადამიანს ასაქმებს;

- ქვეყანაში შეიქმნება ხელოვნური ინტელექტის, ფაგებისა და აგროტექნოლოგიების საერთაშორისო კომპეტენციის ცენტრები, რომლებიც აღიჭურვება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და საერთაშორისო მასშტაბის ექსპერტიზით, რაც დამატებით მოიზიდავს წამყვან ტექნოლოგიურ მულტინაციონალურ კომპანიებს;

- 2025 წელს ქუთაისში გაიხსნება საქართველოში პირველი ტექნოლოგიური ჰაბი, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ პარკს, ტექნოლოგიურ ლაბორატორიებს, 400 კაცამდე გათვლილ საკონფერენციო სივრცეს, საკონსულტაციო ცენტრს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ინტერაქტიურ სამეცნიერო მუზეუმს, საერთაშორისო აქსელერატორს, საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიების ოფისებსა და TUMO-ს კრეატიული ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრს, რომელიც აერთიანებს 11 მიმართულებას, როგორებიც არის: პროგრამირება, რობოტიკა, ანიმაცია, კინემატოგრაფია, თამაშების შექმნა და სხვა.

საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ახალი, ოთხსეზონიანი კურორტების განვითარებას რაჭაში, მრავალძალისა და სხარტალი-ბეთლევის ტერიტორიებზე. გარდა ამისა, შემუშავდება კურორტების კონცეფცია და განხორციელდება ინვესტიციების მოზიდვა, განვითარდება განთავსების ობიექტები და სხვა სერვისები.

საქართველოს მთის კურორტების განვითარების მიზნით გაგრძელდება ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტების პოპულარიზაცია მეტი შიდა და უცხოელი ტურისტის მოსაზიდად; განხორციელდება ახალი საბაგრო გზის მშენებლობა/მონტაჟი და მოწყობა ახალი სასრიალო ტრასები გუდაურში (დაახლოებით 8 კმ) და სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე (დაახლოებით 6 კმ). დამატებით, გუდაურში დამონტაჟდება 3-კმ-იანი ხელოვნური გათოვლიანების სისტემა. გარდა ამისა, ახალი სასრიალო ტრასები მოწყობა ბაკურიანში (3 კმ) და ჰაწვალის მთაზე (დაახლოებით 6 კმ).

დაგეგმილია მასშტაბური პილიგრიმული პროექტის – „წმინდა ნინოს გზა“ – გზის ბილიკის განვითარება, რომლის მანძილი 600 კმ-ზე მეტია (ფოკიდან ბოდბემდე) და რომელიც 12 მუნიციპალიტეტის და 16 ეპარქიის ტერიტორიას მოიცავს.

საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი ქმედებების შედეგად 2028 წლისთვის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 6,4 მილიარდ დოლარს მიაღწევს, ხოლო საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა 11 მილიონამდე გაიზრდება.

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების მაქსიმალური გაძლიერება. ქვეყნის ენერგოპოლიტიკა განახლებადი რესურსების ათვისებასა და სექტორის მდგრადი განვითარების პრინციპებს ეფუძნება.

ელექტროსისტემაში არსებული მდგომარეობა და ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის სამომავლო გათვლები ცხადყოფს, რომ იმპორტზე დამოკიდებულების შესამცირებლად და ენერგეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად ქვეყანას დამატებით სჭირდება ენერგეტიკული სიმძლავრეები. შესაბამისად, გაგრძელდება განახლებადი ენერჯის რესურსების ათვისება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მხარდამჭერი სქემების მეშვეობით.

ენერგეტიკის სექტორის განვითარების მიზნით გაგრძელდება ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და შემუშავდება ნახშირწყალბადების (ნავთობისა და გაზის) ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციების რეგულირების სამართლებრივი ჩარჩო.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაგრძელდება გაზისა და ელექტროენერჯის არმქონე სოფლების გაზიფიცირება და ელექტრიფიცირება. მომდევნო 4 წელიწადში გაზიფიცირების სამუშაოები განხორციელდება 600-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში. აღნიშნულის შედეგად 2025 წლისთვის ბუნებრივი გაზი ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობის 93 პროცენტისთვის, ხოლო 2028 წლისთვის ბუნებრივი გაზი ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 95 პროცენტისთვის.

გაგრძელდება ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების (ქარის, მზის, ბიომასის ენერჯები) და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა მარეგულირებელი ფუნქციის მქონე გენერაციის პროექტების განვითარებასა და განხორციელებას.

მომდევნო 4 წელიწადში დაგეგმილია 3 500 მეგავატზე მეტი დადგმული სიმძლავრის გენერაციის ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება, ხოლო 2030 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 5 500 მეგავატს გადააჭარბებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, და ქვესადგურების მშენებლობა-რეაბილიტაციას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის საიმედოობას და გაზრდის საექსპორტო შესაძლებლობებს.

აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება მუშაობა შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის პროექტის განვითარების კუთხით (პროექტის დასრულება დაგეგმილია 2030 წლისთვის), რომლის ფარგლებში ჩატარდება შავი ზღვის ფსკერის გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები, აგრეთვე დაიწყება მუშაობა სოციალური და გარემოზე ზემოქმედების საკითხების შეფასების მიმართულებით.

### 3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 02)

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ჩქაროსნული ავტომაგისტრალებისა და საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა;

საქართველოს საგზაო ქსელის საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში ინტეგრირება;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სახიდე გადასასვლელების, მუნიციპალიტეტებთან, საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია-მშენებლობა;

საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;

სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება;

ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება;

საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო, კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა;

ავტომაგისტრალების მშენებლობის პროცესში თანამედროვე ტიპის, ადაპტირებული სავაჭრო ობიექტების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – ქალების, ეკონომიკურ გაძლიერებას;

ქალისა და მამაკაცის თანასწორობისთვის საჭიროებების კვლევა და ყველა ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინება დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების (საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, სკოლის მოსწავლეები, ქალები, შშმ პირები) საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის სამუშაოების დაგეგმვის, შეუფერხებელი გადაადგილების და შესრულების პროცესში.

**3.1.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 25 02 01)**

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

**3.1.2 საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)**

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სახიდე გადასასვლელების პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია-მშენებლობა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით;

საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;

ავტომაგისტრალებსა და საავტომობილო გზებზე არსებული გარე განათებისა და საინფორმაციო ბილბორდების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, სახიდე გადასასვლელების მდგომარეობის შესწავლა;

სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება;

ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება.

**3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)**

ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად ჩქაროსნული ავტომაგისტრალების, საავტომობილო გზების, სახიდე გადასასვლელებისა და გვირაბების რეკონსტრუქცია-მშენებლობა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით;

ავტომაგისტრალების მშენებლობის პროცესში თანამედროვე ტიპის, ადაპტირებული სავაჭრო ობიექტების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – ქალების, ეკონომიკურ გაძლიერებას;

ქალისა და მამაკაცის თანასწორობისთვის საჭიროებების კვლევა და ყველა ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინება სათანადო სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – მოწყვლადი ჯგუფების (საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, სკოლის მოსწავლეები, ქალები, შშმ პირები) საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის, შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით, სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

- 3.2 **საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა -რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 05)**
- ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და მათი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება;
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და არსებულთა რეაბილიტაცია;
- შშმ პირებისთვის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- 3.2.1 **ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა -რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 05 01)**
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება;
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ახალი საჯარო სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და არსებულთა რეაბილიტაცია.
- 3.2.2 **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა -რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 05 02)**
- მუნიციპალიტეტებში ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობა და არსებულთა რეაბილიტაცია.
- 3.3 **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა -რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)**
- მუნიციპალიტეტებში/სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია/მოწყობა, წყალმომარაგებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია/მშენებლობა;
- მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა;
- აბონენტთა გამრიცხველიანება, დანაკარგების შემცირება და გარემოსდაცვითი სტანდარტების უზრუნველყოფა;
- ქალისა და მამაკაცის თანასწორობისთვის საჭირო პოლიტიკის განხორციელება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის, სუფთა წყლისა და სანიტარიული სერვისების გაუმჯობესება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად; გადაწყვეტილებების მიღება მოსახლეობასთან კონსულტაციების და მისი აქტიური ჩართულობის საფუძველზე, მათ შორის, ქალების, მამაკაცების, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, სოციალურად დაუცველი, ნაკლები ფინანსური შესაძლებლობის მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი კატეგორიის ინტერესების გათვალისწინებით.
- 3.4 **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)**
- მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა;
- საჯარო სერვისების მიწოდების გაძლიერება ჩართულობისა და თანასწორობის ხელშესაწყობად;

სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, კულტურული, სპორტული და სხვა დანიშნულების) ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ქალისა და მამაკაცის თანასწორობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა;

ინფრასტრუქტურულ პროექტებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება და შშმ პირების დამოუკიდებელი გადაადგილებისა და სოციალიზაციისთვის უნივერსალური ინფრასტრუქტურის შექმნა;

ადგილობრივი მოსახლეობის წყალმომარაგებით, საავტომობილო გზებით, სპორტული და გასართობი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის, ბავშვების, სპორტსმენებისა და მწვრთნელების ყოფით და სამუშაო პირობებს და განსაკუთრებით დადებით ზეგავლენას მოახდენს ქალთა მდგომარეობაზე როგორც დროისა და საქმიანობის, ისე გადაადგილების კუთხით;

ქვეყანაში ურბანული სატრანსპორტო სისტემის მუშაობის სრულყოფა;

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება;

საქართველოს რეგიონების ურბანული განახლების, განვითარებისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების ხელშეწყობა;

დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზი;

სოციალური კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ბალანსის გასაუმჯობესებლად;

ქალებისა და მამაკაცების თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა; ქალებისა და მამაკაცების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა პროექტების განხორციელების ყველა ეტაპზე; ბენეფიციარი მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული მოთხოვნების/მოლოდინების განხილვა სოციალური ანგარიშვალდებულების მექანიზმების ფარგლებში.

3.5 **სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 24 14)**

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა;

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის გეოტექნიკური კვლევის განხორციელება.

3.5.1 **რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 01)**

ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა;

გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირებისა და რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლების, კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირების, კახეთის რეგიონისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის კვების საიმედოობის ამაღლების, ცხენისწყლის კასკადის ჰესებისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანისა და საიმედოობის ამაღლების, ონის მუნიციპალიტეტის ჰესების კასკადის და რაჭის რეგიონის ჰესების სიმძლავრის გამოტანისა და საიმედოობის ამაღლების მიზნით;

500-კვ. ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხე“ მშენებლობა;

პროექტის „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ მშენებლობა;

500-კვ. ერთჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ მშენებლობა;

110-კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი-ზოტიჰესი“ მშენებლობა;

110-კვ ელექტროგადამცემი ხაზის „სტორი-თელავი“ მშენებლობა;

ახალციხის მუდმივი დენის მესამე ჩანართის მშენებლობა.

3.5.1.1

**500 კვ ევზ "წყალტუბო -ახალციხე -თორთუმი" (EU-NIF, KfW) ( პროგრამული კოდი 24 14 01 01)**

500 კვ მაგისტრალის „ენგური-ზესტაფონი-ახალციხე“ (ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ და ელექტროგადამცემი ხაზი „ზეკარი“) რეზერვირება;

სიმძლავრის ხუდონი-ენგურის კვანძიდან თურქეთისა და საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონისკენ (სომხეთისკენ) გატანის უსაფრთხოება;

ჰესების სიმძლავრის რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ გატანა: ნენსკრაჰესის, ენგურის და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის ჰესების, ნამახვანის კასკადის და ხელედულაჰესის სიმძლავრის ქსელში გამოტანა, მომხმარებლებისკენ ტრანზიტი (თბილისი-რუსთავის კვანძი) და ექსპორტი (სომხეთისა და თურქეთისკენ);

საქართველოსა და თურქეთს შორის სიმძლავრის გაცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდის ხელშეწყობა;

ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბორჩხა“ რეზერვირება.

3.5.1.2

**ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, EU-NIF, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 01 02)**

ლაჯანურის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაზრდა; შუახევიჰესის, კორომხეთიჰესის და ზემო აჭარის სხვა ჰესების ქსელში ინტეგრაცია;

3.5.1.3

**500 კვ ევზ ჯვარი-წყალტუბო (WB) (პროგრამული კოდი 24 14 01 03)**

500 კვ მაგისტრალის „ენგური-ზესტაფონი-ახალციხე“ (ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ და ელექტროგადამცემი ხაზი „ზეკარი“) რეზერვირება;

სიმძლავრის ხუდონი-ენგურის კვანძიდან თურქეთისა და საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონისკენ (სომხეთისკენ) გატანის უსაფრთხოება;

ჰესების სიმძლავრის რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ გატანა: ნენსკრაჰესის, ენგურისა და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის ჰესების, ნამახვანის კასკადისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის ქსელში გამოტანა, მომხმარებლებისკენ ტრანზიტი (თბილისი-რუსთავის კვანძი) და ექსპორტი (სომხეთისა და თურქეთისკენ);

საქართველოსა და თურქეთს შორის სიმძლავრის გაცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდის ხელშეწყობა;

ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბორჩხა“ რეზერვირება.

3.5.1.4

**გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 01 04)**

გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;

გურიის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა;

მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრის გამოტანის საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა;

ბათუმის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა;

ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბორჩხა“ რეზერვირება.

3.5.1.5

**კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW) ( პროგრამული კოდი 24 14 01 05)**

220 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ჟინვალი-თელავი-გურჯაანი“; ქვესადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია: „220/110 გურჯაანის“ რეაბილიტაცია, „220/110 თელავის“ მშენებლობა, „220/110 ჟინვალის“ მშენებლობა; 110 კვ იყალთოს ხაზის შეჭრა-გამოსვლა;

კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;

კახეთის რეგიონისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.

3.5.1.6

**ხელედულა -ლაჯანური -ონი (EU-NIF, KfW) ( პროგრამული კოდი 24 14 01 06)**

220 კვ, ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ხელედულა-ლაჯანური-ონი“ მშენებლობა; 220/110 კვ ქვესადგურის – ლაჯანურის მშენებლობა;

ცხენისწყლის კასკადის ჰესებისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.

3.5.2

**შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB) (პროგრამული კოდი 24 14 02)**

ევროკავშირისა და კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების ხელშეწყობა და განახლებადი ენერჯის სექტორის განვითარება;

საქართველოს ენერგეტიკული სისტემის/სამხრეთ კავკასიის რეგიონის ცენტრალური ევროპის სინქრონულ ზონასთან დაკავშირება, რაც ევროპის ქვეყნებთან ელექტროენერგიით ვაჭრობის შესაძლებლობას იძლევა;

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში გეოტექნიკური კვლევის განხორციელების ხელშეწყობა.

**3.6 სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 07)**

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მრავალფუნქციური სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით.

**3.7 საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)**

საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, უცხოური გამოცდილების გაზიარება და საქართველოში დანერგვა;

დაგეგმილი/განსახორციელებელი პროექტების შესრულებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება, დასაქმება, მათთვის პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნა და განსახორციელებელი პროექტების ადმინისტრაციული რესურსით უზრუნველყოფა;

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს და ინოვაციების მიმართულების სპეციალისტებისა და კომპანიების რაოდენობისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

საქართველოში ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა/მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას;

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საკითხებში გადამზადება, რომლის საბოლოო მიზანია აღნიშნული სპეციალისტების საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

საჯარო-კერძო პარტნიორობის გაღრმავება და სტარტაპებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შემდგომი კომერციალიზაციისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებისთვის;

საქართველოს იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც პროგრამის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რის შედეგადაც საქართველოს რეგიონების მოსახლეობა ისარგებლებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით და ისეთი პროგრამებით/სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანმრთელობის დაცვა, ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, კომერცია და სხვა თანამედროვე სერვისები.

**3.8 ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 06)**

მუნიციპალიტეტებში ცენტრალური უბნების ურბანული განახლება, ტურისტულად მიმზიდველი სივრცეების შექმნა-განვითარება და სხვადასხვა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით.

**3.9 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)**

საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაცია;

ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება და არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია (მარშრუტების შემუშავება, პროდუქტის ბეჭდური საინფორმაციო მასალის

მომზადება);

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება.

3.10 **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება (პროგრამული კოდი 24 16)**

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების პროექტის ხელშეწყობა და ახალი საინვესტიციო ხელშეკრულებების მონიტორინგი;

საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის – ანაკლიის მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკით/ინფრასტრუქტურით და განახორციელებს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას.

3.11 **ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 24 20)**

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის, მოქნილობისა და უსაფრთხოების ასამაღლებლად ქვესადგურის „ქსანი-500“ მიმდებარედ 200 მგვტ სიმძლავრისა და 200 მგვტ.სთ ტევადობის ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობების სისტემის მონტაჟი და საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ინტეგრაცია.

ქსელის უსაფრთხო და სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა იმპორტირებული ენერჯის დამოუკიდებლად.

3.12 **ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (პროგრამული კოდი 24 18)**

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის დასრულება საშუალოვადიანი პროგრამის მიხედვით: ენგურის კაშხლის სტრუქტურული სტაბილურობისა და სეისმომდებლობის ასამაღლებლად ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგის ინსტრუმენტის განახლება, სადაწნეო გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგების შემცირება, ჰესის ექსპლუატაციის საიმედოობის ამაღლება; მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობების შეცვლა.

3.13 **მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 16)**

მუნიციპალიტეტებში (გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორიებისა) არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელების) აშენება და მართვა;

ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების აშენება;

მუნიციპალიტეტების აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, რაც გაზრდის დასახლებულ პუნქტებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ხელმისაწვდომობასა და ინტენსივობას;

ძველი ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა სტანდარტების შესაბამისად;

ნარჩენების მართვის პროცესში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა; ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელების) მშენებლობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა; სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, სექტორში ქალებისა და მამაკაცების დასაქმებისთვის თანაბარი პირობების შექმნა.

3.14 **რეგიონების განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01)**

სამინისტროს საქმიანობის სფეროში შემავალ საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და წინადადებების შემუშავება, აგრეთვე კონცეფციების, სახელმწიფო პროგრამების, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, ხოლო მათი მიღების შემთხვევაში – განხორციელება, განხორციელების კოორდინაცია და კომპეტენციის ფარგლებში მონიტორინგი;

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი;

მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე, აგრეთვე, მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

კომპეტენციის ფარგლებში, პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, ადამიანური რესურსების შესაძლებლობათა გაზრდის ხელშეწყობა;

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია;

საქართველოს მთავრობის მიერ დასამტკიცებელი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგობის განაკვეთების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

სახელმწიფო რწმუნებულის კანდიდატურების შერჩევისა და საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენის პროცედურის კოორდინაცია;

საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის მხარდაჭერის, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების, დასაქმების პრობლემების რეგულირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის წინადადებების შემუშავება, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია;

კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თაობაზე წინადადებების შემუშავება;

კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერების, ტერიტორიული განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული მმართველობითი სისტემების რეფორმირებისა და ევროპულ პრაქტიკასთან მათი დაახლოების მხარდაჭერა, საუკეთესო პრაქტიკის ეფექტიანი გამოყენებისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესსა და ევროპის საბჭოს სხვა ინსტიტუციებთან ურთიერთობის ფარგლებში, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია და მათი შესრულების ეფექტიანობის შეფასება;

კომპეტენციის ფარგლებში, განვითარების პარტნიორებთან, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

მუნიციპალიტეტის შექმნის, გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის, შეცვლის ან/და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარმოსადგენი წინადადებების მომზადება;

მთიან რეგიონებთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი, აგრეთვე მთიანი დასახლებების განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების განხილვა;

მთის კურორტებისა და სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

მთიანი დასახლებების სტრატეგიული მნიშვნელობის გაზრდის მიზნით, წინადადებების შემუშავება;

კომპეტენციის ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე წინადადებების მომზადება/განხორციელება/განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ამოცანების განხორციელება.

3.15 **სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება (პროგრამული კოდი 24 12)**

სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დარგის პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და მართვა;

სივრცითი დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების ან/და მათი ნაწილების შემუშავების უზრუნველყოფა, მათ შორის განსაკუთრებული რეგულირების ზონებში;

სივრცითი დაგეგმარებაზე ზეგავლენის მქონე პროექტების წინასწარი შეფასება; საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი გეგმების განხილვა და დამტკიცება; სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

3.15.1 **სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 12 01)**

სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დარგის პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და მართვა; გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა;

შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების/სრულყოფის პროცესში მონაწილეობა;

სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

სივრცის დაგეგმარებაზე ზეგავლენის მქონე პროექტების წინასწარი შეფასება;

განსაკუთრებული რეგულირების ზონებსა და ტერიტორიებზე ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა;

განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა და სამინისტროსთვის დოკუმენტაციის წარდგენა საქართველოს მთავრობის მიერ დასამტკიცებლად;

სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების კონცეფციის/პროექტისთვის ან/და მათი ნაწილისთვის საექსპერტო დასკვნის მომზადება;

დარგის სპეციფიკური ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება;

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელება.

3.15.2

**საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB) (პროგრამული კოდი 24 12 02)**

„საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2019 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის N686 განკარგულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების გეგმების მომზადება

3.16

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 24 11)**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის (ამ პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის) ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში.

3.17

**ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვა (პროგრამული კოდი 25 01)**

კომპეტენციის ფარგლებში, ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში, როგორც სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას მიკუთვნებული, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სახის სამუშაოების კოორდინაცია და კომპეტენციის ფარგლებში მონიტორინგი;

კომპეტენციის ფარგლებში, წყალმომარაგების სისტემისა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა.

3.18

**ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 35 05)**

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებები.

3.19

**ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)**

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე უსაფრთხოების დონის ამაღლების ხელშეწყობა, მათზე გეგმური და არაგეგმური ტექნიკური ინსპექტირებების განხორციელების გზით;

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების კონტროლით.

3.20

**სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 19)**

სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება;

სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო აქტივობის გაძლიერება;

სარკინიგზო სატრანსპორტო სისტემებისა და გადაზიდვების ოპერაციების უსაფრთხოების ზედამხედველობა და სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში ტექნიკური რეგულირების განხორციელება;

სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში უსაფრთხოების სისტემების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება;

სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში მგზავრთა გადაყვანის საჯარო მომსახურების უზრუნველყოფა და შესაბამისი სარკინიგზო ოპერატორების მონიტორინგი;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს სპეციალისტების გადამზადება.

4

**განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება**

განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობის პოლიტიკა ქვეყნის განვითარებისა და სტაბილური მომავლის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, რომლებიც უზრუნველყოფს ძლიერი ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ქვეყნის ინოვაციურ და ეკონომიკურ წინსვლას, ქმნის ახალ შესაძლებლობებს, ამაღლებს კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს ადგილობრივი და გლობალური გამოწვევების დასაძლევად აუცილებელ ცოდნასა და ტექნოლოგიებს. სწორად განსაზღვრული ახალგაზრდობის პოლიტიკა უზრუნველყოფს ახალგაზრდობისთვის ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც მათ პროფესიულ, სოციალურ და პიროვნულ განვითარებაში დაეხმარება და, ამავდროულად, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ლიდერობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ამდენად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის გაძლიერება და განვითარება საჭიროებს ერთიან სტრატეგიულ ხედვას ქვეყნის სტაბილური, ინოვაციური და წარმატებული მომავლის საფუძვლის შესაქმნელად.

საქართველოს მთავრობის მიზანია ინკლუზიური, ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული განათლების სისტემის განვითარება, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს განათლება თავისი უნარების მაქსიმალური განვითარებისთვის. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ცოდნა და ტექნოლოგიური პროგრესი სწრაფად ვითარდება, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება საზოგადოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. განათლების სისტემის განვითარების საშუალებით შესაძლებელია ისეთი უნარებისა და ცოდნის შექმნა, რომლებიც მოქალაქეებს კონკურენტუნარიან და ინოვაციურ გარემოში ადაპტირების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, განათლების სისტემის რეფორმა და მისი მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რომლის მიზანია ადრეული ასაკიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით ერთიანი და ძლიერი განათლების სისტემის ჩამოყალიბება.

საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტული იქნება ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულება, რომელიც ბავშვის განვითარების საფუძველია და ხელს უწყობს მისი კოგნიტიური, ემოციური და სოციალური უნარების ჩამოყალიბებას. სწორედ ამ ეტაპზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება ასრულებს მნიშვნელოვან როლს ბავშვის მომავალ წარმატებაში. შესაბამისად,

ყოველწლიურად გაიზრდება ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა და დაფინანსება.

გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია – ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია; გაფართოვდება სერვისები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

საქართველოში პირველად განხორციელდება საბავშვო ბაღების ავტორიზაცია, რომლის შედეგად გაუმჯობესდება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, დასაქმებული პირების კვალიფიკაცია და საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა.

ყველა არაქართულენოვან სახელმწიფო ბაღში დაინერგება ბილინგვური სწავლება, რაც აამაღლებს სახელმწიფო ენის ცოდნის დონეს და ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ბაღსა და სკოლას შორის მყარი კავშირის ჩამოყალიბების მიზნით გაძლიერდება სკოლამდელი პროგრამა როგორც ბაღებში, ისე სკოლებში, რაც უზრუნველყოფს ბავშვების ჰარმონიულ გადასვლას ბაღიდან სკოლაში. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით პირველად დაინერგება სკოლამდელი განათლების დივერსიფიცირებული მოდელები.

დაინერგება სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ღირსეული ანაზღაურების სისტემა. ამასთანავე, ამუშავდება მძლავრი მექანიზმი სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად. გარდა ამისა, შეიქმნება შესაბამისი პლატფორმა დასაქმებულ პირთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის.

საქართველოს მთავრობის მიდგომა ზოგადი განათლების მიმართ მიზნად ისახავს მისი ხარისხის გაუმჯობესებას, რათა თითოეულ მოსწავლეს მიეცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. საქართველოს მთავრობის ხედვაა, შექმნას ძლიერი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, ყოველწლიურად გაიზრდება ზოგადი განათლების დაფინანსება. შემუშავდება სკოლის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს სკოლის ფინანსურ და ადმინისტრაციულ ავტონომიას და მაღალ ნიშნულზე აიყვანს დეცენტრალიზაციის პროცესს.

მომდევნო წლებში უზრუნველყოფილი იქნება ყველა საჯარო სკოლის სრული ინფრასტრუქტურული გამართულობა; აშენდება და სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება 500-ზე მეტ საჯარო სკოლაში.

სრულად განახლდება ყველა საგნობრივი პროგრამა და სასკოლო სახელმძღვანელო. გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების სრული ნაკრები საქართველოს ყველა საჯარო სკოლის ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს უსასყიდლოდ მიეწოდება.

განხორციელდება ყველა საჯარო სკოლის ავტორიზაცია, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს არსებობას და სასკოლო საზოგადოებაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.

გაგრძელდება საჯარო სკოლების იმ მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირება, რომლებსაც სკოლამდე მანძილის დაფარვის, რთული კლიმატური და გეოგრაფიული პირობების ან/და განსაკუთრებული საჭიროებების გამო სასწავლო პროცესზე დასწრების პრობლემა აქვთ.

მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება პორტატიული კომპიუტერების (ნოუტბუკებისა და ლეპტოპების) გადაცემა ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელებისა და წარჩინებული

მოსწავლეებისთვის, რომლებმაც საბაზისო საფეხური 10 ქულაზე დაამთავრეს. ყველა საჯარო სკოლაში სრულად განახლდება საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რაც უზრუნველყოფს STEAM განათლების კომპონენტის მნიშვნელოვან გაძლიერებას.

რეფორმების შედეგების გაზომვის, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით განხორციელდება ეროვნული შეფასებები დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. აღნიშნული შეფასებებით ქვეყნის, მუნიციპალიტეტისა და სკოლის დონეებზე, საგნობრივ ჭრილში იდენტიფიცირდება სისტემის საჭიროებები და გამოწვევები, გამოიკვეთება კონკრეტული ღონისძიებებისა და ინტერვენციების განხორციელების აუცილებლობა სასკოლო და ეროვნულ დონეებზე.

პირველად საგანმანათლებლო სივრცეში უზრუნველყოფილი იქნება სკოლის აკადემიური მოსწრების გათვალისწინება უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, რაც გაზრდის ზოგადი განათლების მნიშვნელობას და აამაღლებს სკოლის პრესტიჟს. ამასთანავე, განხორციელდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ეროვნული შეფასებები.

ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია ყველა მოსწავლის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რისთვისაც საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს მათზე მორგებული სასწავლო გარემოსა და შესაბამისი სერვისების განვითარებას.

ბილინგვური განათლების დანერგვით გაძლიერდება სახელმწიფო ენის სწავლება ყველა არაქართულენოვან სკოლაში.

საშუალო საფეხურზე, XI-XII კლასებში, შეთავაზებული იქნება მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული პროგრამები.

უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ფარგლებში ყველა მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს ფსიქოსოციალური სერვისებით, გაიზრდეს იმ საჯარო სკოლების რაოდენობა, სადაც გათვალისწინებული იქნება სოციალური მუშაობის კომპონენტი და დაინერგება აღდგენითი მიდგომები, მათ შორის, სასკოლო მედიაცია; გაძლიერდება მუშაობა სკოლებში ძალადობის პრევენციის მიზნით, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით.

ყველა საჯარო სკოლის ექიმის მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდება სკოლის ექიმის განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გაიზრდება სკოლის ექიმის ჩართულობა საადმინისტრაციო პროცესში. სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების ფარგლებში შეიქმნება მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

გაგრძელდება სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდა; შემუშავდება მასწავლებლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მრავალფეროვანი მექანიზმი.

გაიხსნება საერთაშორისო სტანდარტების მქონე, ულტრათანამედროვე, რეგიონის საგანმანათლებლო ჰაბი „ევროპული სკოლა – თბილისი“, რომელიც მოემსახურება როგორც საქართველოს, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს.

საქართველოს მთავრობის სტრატეგიული მიზანია, გააძლიეროს პროფესიული განათლების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და უზრუნველყოს მისი თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირება. შესაბამისად, ყოველწლიურად გაიზრდება პროფესიული განათლების დაფინანსება; განვითარდება კოლეჯების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილი იქნება მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგება დისტანციური სწავლების კომპონენტი.

მომდევნო წლებში თბილისსა და საქართველოს რეგიონებში აშენდება ულტრათანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი „ექსელენსცენტრები“. ამასთანავე, პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი იქნება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ყველა მუნიციპალიტეტში.

პროფესიულ განათლებაში კიდევ უფრო წახალისდება საჯარო-კერძო პარტნიორობა, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კარიერული შესაძლებლობების გაძლიერებას.

შეიქმნება და დამტკიცდება პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი, შედეგებზე დაფუძნებული მოდელი; პროფესიული განათლება სრულად მოერგება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და მის საჭიროებებს, განახლდება ყველა არსებული კვალიფიკაცია.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით განვითარდება მოქნილი და მხარდამჭერი, მრავალფეროვანი სერვისები.

გაიზრდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩაიდება პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

საქართველოს მთავრობის მიზანია, უზრუნველყოს ხარისხიანი უმაღლესი განათლების განვითარება, რომელიც შეესაბამება გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამ მიზნის მისაღწევად განათლების სისტემა იქნება მოქნილი და მხარდამჭერი, რაც გულისხმობს მრავალფეროვან სერვისებს, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც სტუდენტების, ისე საზოგადოების საჭიროებებს. შესაბამისად, ყოველწლიურად გაიზრდება უმაღლესი განათლების დაფინანსება.

მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სრულად განახლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა; აშენდება და მოეწყობა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების მასშტაბური კომპლექსები.

ჩამოყალიბდება სახელმწიფო უნივერსიტეტების განვითარების ახალი კონცეფცია; შემუშავდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი მოდელი.

ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, განისაზღვრება და დაფინანსდება პრიორიტეტული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

გაიზრდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა დაფინანსება; გაგრძელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის უმაღლესი განათლების მიღების მხარდამჭერი პროგრამები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უმაღლეს განათლებაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით განვითარდება უფრო მოქნილი და ეფექტიანი მხარდამჭერი სერვისები.

ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, გაგრძელდება ერთობლივი და ორმაგი ხარისხის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა.

სამჯერ გაიზრდება საზღვარგარეთ სწავლის მიზნით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა.

საქართველოს მთავრობის ხედვა მეცნიერების განვითარების სფეროში მიზნად ისახავს ქვეყნისთვის თანამედროვე და ინოვაციური კვლევების ხელმისაწვდომობას, რაც ხელს შეუწყობს

ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური წინსვლის მხარდაჭერას. საქართველოს მთავრობის მიზანია, შექმნას თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ახალი იდეების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შექმნას.

ყოველწლიურად გაიზრდება მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დაფინანსება; მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სრულად განახლდება კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურა.

შეიქმნება საჯარო-კერძო პარტნიორობის ახალი მოდელი და დაჩქარდება კვლევის შედეგების კომერციალიზაციის პროცესი; მრეწველობის სექტორში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის ხელშესაწყობად შემუშავდება გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული კვლევითი პროგრამები.

გაფართოვდება სამეცნიერო კოლაბორაცია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან, გაძლიერდება ქართველოლოგიის ცენტრების საქმიანობა საზღვარგარეთ; ხელი შეეწყობა ქართველ მკვლევართა და ინოვატორთა აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო ჩარჩოპროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებში. ამასთანავე, ეროვნულ დონეზე გაძლიერდება და გამრავალფეროვნდება მეცნიერების პოპულარიზაციისა და ახალგაზრდა მკვლევართა და ინოვატორთა მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამები.

დარგობრივი უწყებების კოორდინაციით განვითარდება ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და ეკონომიკაზე ორიენტირებული მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემა.

დაინერგება სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასებისა და კვლევითი ერთეულების მართვისა და დაფინანსების ახალი მოდელი.

4.1

#### **სკოლამდელი და ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)**

ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სისტემის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საჯარო სკოლის ავტორიზაციის უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა;

ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შესაბამისი სასწავლო რესურსების შექმნა და განვითარება, ფართომასშტაბიანი სასკოლო შეფასების სისტემის დანერგვა;

ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესის უზრუნველყოფა, გრიფირების განახლებული პროცედურებით;

მთელი საქართველოს მასშტაბით ინკლუზიური განათლების კომპონენტების დანერგვა და განვითარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით;

ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით სახელმწიფო ენის ფლობის დონის ასამაღლებლად და სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმების შექმნა, მანდატურებისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების გადამზადების პროგრამების განხორციელება;

მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ახალი წესის შემუშავება, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება, მათი პროფესიული საჭიროებების შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გასაუმჯობესებლად სკოლების დირექტორების, როგორც საგანმანათლებლო ლიდერების, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ასევე ზოგადი განათლების სისტემაში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა;

სწავლა-სწავლების პროცესში საჯარო სკოლებში ტექნოლოგიების გამოყენებისა და დისტანციური სწავლების როლის გაძლიერება და მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და დამხმარე სასწავლო მასალების შექმნა და დანერგვა, სკოლების შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიებითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა;

სასკოლო ინიციატივების წახალისება.

4.1.1

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების დაფინანსების უზრუნველყოფა ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, სკოლის ექიმის/ექთნისა და საჯარო სკოლაში ბილინგვური სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის შრომის ანაზღაურების, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისთვის საჭირო და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქციონალურობები.

4.1.2

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)**

განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა, მათ შორის, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებაში მომუშავე პირების (დირექტორებისა და მასწავლებლების) პროფესიული განვითარება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება;

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვის, ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ხელშეწყობა;

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარების, ეფექტური დანერგვისა და რესურსების შექმნის გზით მასწავლებელთა ზოგადი და საგნობრივი პროფესიული კომპეტენციების განვითარება;

ეროვნული უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფა სახელმწიფო ენის გაძლიერებით;

საქართველოს მაღალმთიანი და ბარის შორეული სოფლების საჯარო სკოლებში კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლა - სწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა - ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა.

4.1.3

**უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)**

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა;

საგანმანათლებლო დაწესებულებაში განაწილებული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება.

4.1.4

**წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)**

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების თანაბრად კონკურენტულ გარემოში რეალიზების ხელშეწყობა. მათი საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის მიზნით ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება;

საერთაშორისო ოლიმპიადებზე, მათ შორის ევროპის გოგონათა მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს სასკოლო/ეროვნული გუნდების მონაწილეობის ხელშეწყობა;

მოსწავლეების აკადემიური მოსწრების წახალისება.

4.1.5

**განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 05)**

განსაკუთრებული ფიზიკურ-მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, მათი ხარისხიანი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურებით უზრუნველყოფა.

4.1.6

**მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)**

საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლების იმ მოსწავლეების, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებიდან არიან, და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

4.1.7

**ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ -ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 07)**

გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

4.1.8

**ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 08)**

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების ზოგადი განათლების უფლების უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია მათი პიროვნული და აკადემიური განვითარებისთვის;

პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მიერ იმ უნარების შეძენა, რომლებიც მათ გათავისუფლების შემდეგ დასაქმებაში დაეხმარება;

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების მომსახურების მიწოდება და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

4.1.9 **ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 09)**

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტის შესაბამისად ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე საგნობრივი სასწავლო გეგმების რევიზია და ეროვნული სასწავლო გეგმის სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება;

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა ქართულენოვან სკოლებში;

ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში.

4.1.10 **პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" (პროგრამული კოდი 32 02 10)**

საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეებისა და მათი დამრიგებლების, ასევე წარჩინებული მოსწავლეების პორტაბელური კომპიუტერებით უზრუნველყოფა.

4.1.11 **ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 11)**

საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვნებისთვის ქართული ენის სწავლება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;

დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბაზაზე დამატებითი მომსახურების სახით პანსიონური მომსახურების მიწოდებისას მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით მათი ხარისხიანი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;

მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება;

საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და მათზე რეაგირების მექანიზმების გაცნობა;

საგანგებო ვითარებაში უსაფრთხო ქცევის, თვითგადარჩენისა და სხვისი დახმარების უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა;

უკრაინიდან საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოში ჩამოსული არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

4.1.12 **მასწავლებლის ეროვნული პრემია (პროგრამული კოდი 32 02 12)**

განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დვანაწლიანი მასწავლებლების დაჯილდოება.

4.1.13

**საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 13)**

სასწავლო პროცესში კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების, ელექტრონული რესურსებისა და სერვისების, ვირტუალური ლაბორატორიების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საჯარო სკოლების Wi-Fi-ითა და შესაბამისი ტექნოლოგიებით (ნოუთბუკი, პროექტორი, პრინტერი) უზრუნველყოფა;

სკოლების აღჭურვა ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით;

სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით, საჯარო სკოლებში ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსებისა და სერვისების უზრუნველყოფის მხარდაჭერა;

საჯარო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირება და ინტერნეტკავშირის გაუმჯობესება;

საჯარო სკოლების აღჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით.

4.1.14

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 14)**

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

სკოლამდელი განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;

მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხიანი და ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;

ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

4.2

**უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 32 04)**

საგამოცდო პროცესის სრულად წარმართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;

ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო პროგრამების შეფასების ერთიანი კონცეფციის შემუშავება;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების ხელშეწყობა;

პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ გაგრძელება;

მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების უზრუნველყოფა, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამების ამოქმედება, სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამის განხორციელება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის, მსჯავრდებულის მიერ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად;

სახელმწიფო უნივერსიტეტებში ერთობლივი/ორმაგი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა;

რეგიონული უნივერსიტეტების პროექტების მხარდაჭერა.

**4.2.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, პროფესიული ტესტირების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება;

სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომელიც გულისხმობს გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელი სტუდენტის მიერ, საგრანტო კონკურსის შედეგად მეტი ოდენობის გრანტის მოპოვების ხელშეწყობას;

სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარება.

**4.2.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02)**

პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და წახალისება;

მასწავლებლობის მსურველთა პროფესიული საქმიანობისთვის მომზადება;

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება, საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირება და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;

საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;

საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი აკადემიური ხარისხის (მათ შორის, ე.წ. „ორმაგი ხარისხის“) მინიჭების და/ან საერთაშორისო აკრედიტაციის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება;

საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების მიზნით.

4.2.3

**უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)**

ქართულის, როგორც უცხოური ენის, სწავლებისთვის პროგრამა „ირბახის“ განხორციელება და მის ფარგლებში უცხოელებისთვის ქართული ენის სასწავლო-მეთოდური, კულტუროლოგიური და დამხმარე მასალების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ქართული ენის სწავლებას, ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებასა და მათ პოპულარიზაციას.

4.2.4

**საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)**

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;

ქვეყნის საჯარო/საბიუჯეტო სექტორების გაძლიერება მაღალკვალიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა და კურსზე მომზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით;

საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის საქართველოში რეალიზების და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდის ხელშეწყობა;

რეგიონული უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაცია რეგიონების განვითარების და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით;

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ინტეგრირების ხელშეწყობა ახალი ცოდნის აკადემიურ სივრცეში გაზიარების მიზნით;

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

4.2.5

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 05)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

აკადემიური პერსონალის განვითარების მხარდაჭერა;

საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა.

4.3

**პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და საკვანძო უნარების/კომპეტენციების განვითარებით;

კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს დანერგვის პროცესის გაგრძელება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად დაწესებულებების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა. ასევე, კრედიტების ახალი, ევროპული სისტემის შესაბამისად და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების პროცესის გაგრძელება და ახალი კვალიფიკაციების დანერგვის უზრუნველყოფა;

პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად სერვისების განვითარება/გაფართოება, როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების

საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად, მათ შორის, არაფორმალური განათლების აღიარების მასშტაბების გაფართოვება, სკოლებსა და უნივერსიტეტებში პროფესიული განათლების მიწოდების გაძლიერება;

პროფესიული განათლების დაფინანსების შედეგებზე დაფუძნებული მოდელის დანერგვის დაწყება, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ახალი მოდელის ამოქმედება;

საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში ან/და ახალი დაწესებულებების განვითარების პროცესში კერძო სექტორის ჩართვის სტიმულირება, რითაც ხელი შეეწყობა არსებული გეოგრაფიული ქსელის საჯარო-კერძო ფორმატში გაფართოებას/განვითარებას;

პროფესიული საგანმანათლებლო, მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბების გაზრდა, მათ შორის, საჯარო სკოლებში დანერგვით;

პროფესიული განათლების სისტემაში პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის სერვისების უზრუნველყოფა ახალი სტრატეგიის შესაბამისად;

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის და მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ახალი მოდელის ამოქმედების დაწყება;

პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საერთაშორისო სერტიფიცირების/პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა საერთაშორისო ვიზიტების შესაძლებლობების შექმნა/გაფართოება;

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრირების მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება;

ექსელენს ცენტრისა და ჰაბების (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში) განვითარებისა და ფუნქციონირების მხარდაჭერა.

**4.3.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 03 01)**

პროფესიულ სტუდენტთა სწავლების სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა;

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული კოლეჯების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებით დაფინანსება;

პროფესიული განათლების უზრუნველყოფა სკოლის ბაზაზე;

საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში კერძო სექტორის შემოყვანის სტიმულირება.

**4.3.2 პროფესიული უნარების განვითარება (პროგრამული კოდი 32 03 02)**

პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავების/განვითარების ხელშეწყობა;

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა;

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერა;

პროფესიული განათლების ფარგლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;

პროფესიული განათლების საფეხურზე სტუდენტური და არაფორმალური განათლების სერვისების განვითარების ხელშეწყობა;

პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური პოლიტიკის განვითარებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სერვისების განვითარების ხელშეწყობა;

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეწარმეო ეკოსისტემების განვითარების ხელშეწყობა;

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით;

მასწავლებელთა შიდაორგანიზაციული განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა;

მასწავლებელთა შიდაორგანიზაციული განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;

ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლების გზით პროფესიულ განათლებაში ინოვაციური პედაგოგიკის გაძლიერება;

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა.

4.3.3

#### **ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 03)**

საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევა;

საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება.

4.4

#### **ინკლუზიური განათლება (პროგრამული კოდი 32 06)**

ინკლუზიური განათლების კომპონენტების აქტიური დანერგვა და განვითარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა და სათანადო სერვისების შეთავაზება განათლების ყველა საფეხურზე;

განათლების მიღმა დარჩენილი და სწავლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების ფორმალურ განათლებაში ჩართვის, მათი სოციალიზაციის, განათლების, განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქეობის, საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის, კარიერის

დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სირთულეების დაძლევის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

სენსორული ან/და მძიმე/დრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი რესურსსკოლების მოსწავლეების სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით უზრუნველყოფა, აკადემიური, ფუნქციური და სოციალური უნარების განვითარება მათი ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;

სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალურ მასწავლებელთა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სხვა სპეციალისტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების ხელშეწყობა, სპეციალური მასწავლებლებისა და საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების მხარდაჭერა;

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეების ფსიქოსოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

**4.5 საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 07)**

საჯარო სკოლების აღჭურვა სასკოლო/საოფისე ავეჯით და სხვა საჭირო ინვენტარით;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია და აღჭურვა ავეჯით და სხვა საჭირო ინვენტარით;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად;

საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

**4.5.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 07 01)**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

**4.5.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02)**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის, მათ შორის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, გაზრდის მიზნით არსებული დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

**4.5.3 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 03)**

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსება ამ დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და მათი სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფის მიზნით.

4.5.4

**საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 04)**

საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება;

საჯარო სკოლების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის ღონისძიებების ხელშეწყობა.

4.6

**მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05)**

საინჟინრო, ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური (STEM), აგრეთვე ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური სამეცნიერო საგრანტო კონკურსების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მასშტაბის გაფართოება;

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი და უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ქართულ სამეცნიერო სივრცესთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;

გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის შემუშავება;

საქართველოში მეცნიერებისა და სწავლების განვითარება, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა და მათი ადაპტირება კვლევით და სწავლების პროცესში;

საერთაშორისო ჩარჩოპროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებში სამეცნიერო ინსტიტუციებისა და კვლევითი ჯგუფების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა;

ორმხრივი და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;

სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა.

4.6.1

**სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 01)**

გამორჩეული სამეცნიერო კვლევების განხორციელება მეცნიერების ყველა მიმართულებაში, მათ შორის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების, ქართველოლოგიისა და სახელმწიფო ენის კვლევების მიმართულებით;

დაფინანსდება პროექტები, რომლებსაც გააჩნია ახალი ცოდნის შექმნის, ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის და ცოდნის ეკონომიკაში ჩართვის პოტენციალი, ასევე ქვეყნის სოციალური, კულტურული და ინოვაციური განვითარების პოტენციალი. წახალისდება ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა გამორჩეულ კვლევებში, ასევე მეცნიერებისა და ბიზნესის თანამშრომლობა;

სამეცნიერო კარიერის სხვადასხვა საფეხზე მყოფი ახალგაზრდა მკვლევართა (მაგისტრანტები, დოქტორანტები, პოსტდოქტორანტები) კარიერული განვითარება;

საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება და ერთობლივი

საერთაშორისო კვლევების განხორციელება;

ქართული მეცნიერებისა და საქართველოში შექმნილი ახალი ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, ასევე გამორჩეულ ქართველ მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა პოპულარიზაცია პროექტების, სტიპენდიების, ჯილდოებისა და პრემიების გზით;

დაფინანსებული კვლევების ფარგლებში ახალი ცოდნისა (პუბლიკაციების სახით) და ტექნოლოგიების (საპატენტო განაცხადების სახით) შექმნა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე კვლევის შედეგების დისემინაცია (საკონფერენციო მასალების სახით);

ქართველ მეცნიერთათვის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა და საერთაშორისო სამეცნიერო მეგაპროექტებში საქართველოს კონტრიბუცია.

4.6.2

**სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 05 02)**

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განხორციელება;

ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების, კონგრესების, კონფერენციებისა და სემინარების ჩატარება, სამეცნიერო და პოპულარული გამოცემების ხელშეწყობა;

ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციის, მათ შორის, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ინფექციების, ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა;

ბაქტერიოფაგიაში, მიკრობიოლოგიასა და ვირუსოლოგიაში ფუნდამენტური გამოკვლევების ჩატარება;

ბაქტერიული შტამების – გამომწვევების კვლევა და ამ შტამების საწინააღმდეგოდ სპეციფიკური ფაგების გამოყოფა, მათი დეტალური შესწავლა და ფაგური პრეპარატების შექმნა;

ასტრონომიის, ასტროფიზიკისა და კოსმოსურ მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობი საქმიანობის განხორციელება;

ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოფიზიკის, ნევროლოგიის, ნეირომეცნიერებების, რადიობიოლოგიის, რადიაციული ეკოლოგიის და მათ მომიჯნავე დარგებში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ხელშეწყობა.

4.6.3

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 03)**

აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა;

აგრონომიის, აგროინჟინერიის, სასურსათო ტექნოლოგიების, სურსათის უვნებლობის, მეცხოველეობის, ვეტერინარიის, ეკონომიკისა და სატყეო საქმის სფეროებში სამეცნიერო შეხვედრების გამართვა;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი

საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

4.6.4

**სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 04)**

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების/სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური კადრების განვითარების ხელშეწყობა/წახალისება;

სამეცნიერო პერსონალის საქმიანობისთვის, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობისთვის, საჭირო ტექნიკური ხასიათის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაფერისი პირობების შექმნა;

მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

საქართველოში მეცნიერებისა და სწავლების განვითარება, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა და მათი ადაპტირება კვლევისა და სწავლების პროცესში.

4.6.5

**მეცნიერების პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 32 05 05)**

საქართველოში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

4.7

**განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)**

განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და მისი ხარისხის ზრდა, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება;

განათლების სისტემის კომპლექსური რეფორმის ეტაპობრივი განხორციელება, რომელიც გულისხმობს სისტემურ ცვლილებებს განათლების ყველა მიმართულებისა და საფეხურისთვის;

საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად მოსწავლეების, სტუდენტების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფს მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის კავშირის გაძლიერებას;

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

საჯარო სკოლების ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების ხელშეწყობა;

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განვითარება, დანერგვის ხელშეწყობა და ავტორიზაციის უზრუნველყოფა;

საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერა, მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებში ჩართვა და შესაბამისი პროექტების განხორციელება, ქართველოლოგიისა და

ქართულ დიასპორასთან ურთიერთობების განვითარება;

სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების ჩამოყალიბება;

ახალგაზრდების მიერ შესაბამისი, მაღალი ხარისხის განათლების მიღების, მათი დასაქმებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა კვლევის ჩატარება, საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა;

საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესიო შეთანხმების „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ განათლების კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობა.

**4.8 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)**

ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) მცხოვრები მოსწავლეების, სადაც სკოლები არ ფუნქციონირებს ან სოფლებს/დაბებს შორის დიდი მანძილია, ასევე სოფლის/დაბის/ქალაქის საჯარო სკოლის შშმ და სსსმ სტატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების და საჯარო სკოლებში მიმდინარე სამშენებლო/სარეზილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

**4.9 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 35 03)**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

**4.10 თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 32 11)**

პროფესიული განათლების ქსელის გაფართოება, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის ამაღლებასა და უნარების განვითარებას;

პროფესიული განათლების ხარისხის, მნიშვნელობის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;

პროფესიული განათლების დაგეგმვასა და დაფინანსებაში კერძო სექტორის როლის გაზრდის ხელშეწყობა;

ინკლუზიური და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უნარების განვითარება და პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

- 4.11 **სახელოვნებო სფეროში უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 33 05)**  
 უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა.
- 4.12 **პროფესიული განათლება I (KfW) (პროგრამული კოდი 32 10)**  
 პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიული განათლების პროვაიდერების რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა;  
 „ექსელენსცენტრის“ მშენებლობა (ცენტრის ფუნქცია იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების განხორციელება ლოჯისტიკისა და მშენებლობის მიმართულებით);  
 საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში „hub“ სერვისის შეთავაზება;  
 მშენებლობისა და ლოჯისტიკის მიმართულების პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გასაძლიერებლად დამატებითი ინვესტიციების გამოყოფა (რომლის პარტნიორიც იქნება „ექსელენსცენტრი“ ზოგიერთი პროგრამის განხორციელებისას).
- 4.13 **ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (პროგრამული კოდი 32 09)**  
 ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის, აგრეთვე ზოგადი განათლების სისტემაში სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;  
 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგრანტო დაფინანსებით მოდერნიზებული აკადემიური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა;  
 განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება;  
 ამ პროგრამის ეფექტიანი მართვის, მონიტორინგისა და შეფასებების მხარდაჭერა.
- 4.14 **სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიჯიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 04)**  
 პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება;  
 ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;  
 საარქივო დოკუმენტაციის დიჯიტალიზაცია.
- 4.15 **სახელოვნებო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04)**  
 სკოლისგარეშე და პროფესიული სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით (კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლები, კონკურს-ფესტივალები, მასტერკლასები);  
 სკოლისგარეშე და პროფესიული სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა;  
 მოსწავლე-ახალგაზრდების უმაღლესი სახელოვნებო განათლების მისაღებად საჭირო

კომპეტენციების მიღების, მათი შემდგომი დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების, შემოქმედებითი აქტივობისა და პროფესიული შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა;

ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველსაყოფად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

4.16 **საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 35 04)**

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება;

საჯარო სკოლების ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის დონისძიებების განხორციელება.

4.17 **სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (პროგრამული კოდი 48 00)**

საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მეცნიერების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური შედეგების საექსპერტო შეფასების დოკუმენტის შექმნა;

ქართველ მეცნიერთა კვლევითი სიახლეების საერთაშორისო არენაზე გატანის ხელშეწყობა;

ქართველოლოგიურ კვლევათა ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალების გამოცემა;

სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა;

მრავალტომეული ენციკლოპედიების და სხვა საცნობარო ლიტერატურის გამოცემა;

ქართული ენის ელექტრონული ბაზის შექმნა და სხვადასხვა ლექსიკონის ტომების გამოსაცემად მომზადება;

სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების გამართვა.

4.18 **უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 20 03)**

სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში არსებული ცოდნის თავმოყრა, ანალიზი და განახლება, სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენება;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მაღალკვალიფიციური

კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

თანამედროვე დასავლური გამოცდილებისა და მიღწევების შესწავლა და სათანადო სტანდარტების დანერგვა, არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი რეაგირება და მათი წარმატებით დაძლევა პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში, აგრეთვე სამეცნიერო მუშაობის სათანადო ორგანიზება და წარმართვა;

უსაფრთხოების სფეროში სპეციალური პროფესიული და სამოქალაქო განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

უსაფრთხოების სფეროში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობების განვითარების ხელშეწყობა;

საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს და უცხო ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან ერთად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

**4.19 სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 34 05)**

სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა თითოეული მათგანის მისი შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით (მასტერკლასები, სპორტული ღონისძიებები);

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მზადყოფნის უზრუნველსაყოფად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, პროფესიული შესაძლებლობების გაზრდა;

ხარისხზე ორიენტირებული, ახალგაზრდის სპორტული უნარების შესაბამისი, მოქნილი დაფინანსების მოდელების შემუშავებით მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპორტის დარგების სპეციალისტების აღზრდა.

**4.20 მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება -გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)**

იუსტიციის მსმენელების (მოსამართლეობის კანდიდატების) პროფესიული სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება;

მოქმედი მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების, სასამართლოს მენეჯერებისა და სასამართლო სისტემის სხვა მოხელეების პროფესიული გადამზადება რეგულარული სასწავლო აქტივობის – ტრენინგების საშუალებით.

**4.21 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება (პროგრამული კოდი 26 04)**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგების სრული ციკლის (ტრენინგების საჭიროებათა ანალიზი, ტრენინგების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) მართვითა და საკონკურსო და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზებით;

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმისა და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელებით;

კერძო სექტორისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულების, სასწავლო კურსებისა და პროგრამების შექმნა და მუდმივი განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შექმნით;

როგორც სპეციფიკით, ისე შინაარსით ტრენინგების საჯარო მოხელეების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების საჭიროებებზე მორგება, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებასა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას არა მარტო საჯარო სტრუქტურებში, არამედ საზოგადოების ფართო წრეებში; საჯარო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამების განხორციელება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პერიოდული გადამზადების კურსების ჩატარება;

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის ხელშეწყობა მათი პროფესიული განათლებით უზრუნველყოფით, აგრეთვე მათი პროფესიული მომზადების/გადამზადების და დასაქმებისთვის მომზადების გზით შესაბამისი სივრცეების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებში; სასწავლო კურსებისა და დასაქმების პროგრამების განხორციელება;

პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის შექმნა და განახლება, საბიბლიოთეკო აღრიცხვის ერთიანი სისტემის დანერგვა.

4.22

**საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;

საბიუჯეტო ორგანიზაციების (ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ დონეებზე) და კერძო სექტორის თანამშრომელთა, აგრეთვე ფიზიკური პირების მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზებით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზება/ადმინისტრირება;

საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად პროექტების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით;

დონორებთან თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები, ძალადობის მსხვერპლი ქალები, შშმ პირები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები) ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ღია ლექციების, უსასყიდლო სასწავლო კურსებისა და ტრენინგკურსების ორგანიზება.

4.23

**საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 15)**

საერთაშორისო და საქართველოს საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობების შესაბამისად, საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კვალიფიციური კადრების მომზადება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კვლევით ცენტრად ჩამოყალიბება და საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა და სტუდენტთა საზღვაოსნო პრაქტიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; სასწავლო მასალებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

კურსდამთავრებულების კარიერული წარმატების უზრუნველსაყოფად სტუდენტთა ხელშეწყობისა და მომსახურების სამსახურის განვითარება; საკრუინგო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

4.24

**სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 03 00)**

ქვეყანაში ჰერალდიკური ნიშნებისა და სიმბოლოების მოწესრიგება და დამკვიდრება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;

სახელმწიფო ცერემონიების, ოფიციალური ღონისძიებებისა და სამხედრო აღლუმების ჩატარებისას საჭირო სახელმწიფო სიმბოლოებისა და სხვა ჰერალდიკური ნიშნების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმების) და ემბლემების შექმნასა და გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა;

საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა;

ჰერალდიკის საკითხებზე სამოქალაქო განათლების გავრცელების ხელშეწყობა;

ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკისა და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია;

ჰერალდიკის საკითხებზე ისტორიული მასალების (წყაროების) მოძიება (საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ) და ანალიზი;

სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზის, აგრეთვე მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ დასკვნების მომზადება.

5

**მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება**

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოს გაძლიერებას, მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაუმჯობესებასა და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის მყარი ფუნდამენტის შექმნას ეფუძნება, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასთან, ეკონომიკის სტრუქტურის გაუმჯობესებასა და ინკლუზიურობის ზრდასთან.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე, საინვესტიციო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებასა და ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე, რომლის ძირითადი მხარდამჭერიც იქნება პროდუქტიულობისა და ინვესტიციების ზრდისკენ, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისკენ, საექსპორტო პოტენციალის გაფართოებისა და ვაჭრობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, რაც ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობასა და ინტეგრირებას ეკონომიკურ აქტივობაში. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

ქვეყნის შესაძლებლობებისა და შეფარდებითი უპირატესობების ეფექტიანი გამოყენება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს: ენერგოუსაფრთხოების ხელშეწყობას, ქვეყნის ეკონომიკური ფუნქციების დივერსიფიკაციასა და ევროკავშირთან დაკავშირებადობის გაუმჯობესებას. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია საქართველოს სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობისა და სატრანზიტო, ენერგეტიკული და ციფრული ტრანსფორმაციის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის.

ამ პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანს მომდევნო წლებში ქვეყანაში ახალი ინვესტიციების მოზიდვაში, მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებაში და თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანს საქართველოს ეკონომიკურ როლს გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და მისი მუდმივი გაჯანსაღება წარმოადგენს. მთავრობის გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ეკონომიკის ყველა მიმართულებით.

პოსტპანდემიურ პერიოდში ჩვენი ქვეყანა წარმატებით გაუმკლავდა ყველა საგარეო შოკს და საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ფართე რეგიონის, ევროპისა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის. პანდემიის შემდგომ საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით მაღალი ტემპით იზრდება. 2021 – 2023 წლებში საშუალო რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 9.8% შეადგინა. მაღალი ეკონომიკური აქტივობა მიმდინარე წელსაც გრძელდება, იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, ეკონომიკურმა ზრდამ მიმდინარე წელსაც 9.8% შეადგინა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოს მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად დაბალი ინფლაციაც აქვს. 2023 წელს ინფლაციამ 2.5% შეადგინა, ხოლო მიმდინარე წლის ოქტომბერში 0.3%-ს გაუტოლდა. ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირებული ტენდენციები – მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება და ინფლაციის დაბალი დონე მიაწინებს ეკონომიკის პოტენციური დონისა და პროდუქტიულობის ზრდაზე, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის სტრუქტურული გაუმჯობესების შედეგია.

მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ძლიერი მაკროეკონომიკური ფუნდამენტების პარალელურად, ფისკალური პარამეტრები უმჯობესდება. 2024 წელს მოსალოდნელია ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-ის 2.5%-ამდე შენარჩუნება, რაც 3%-იან ფისკალური წესით განსაზღვრულ ზღვარზე დაბალი მაჩვენებელია.

მაღალი ეკონომიკური ზრდა ასახვას პოვეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2023 წელს უმუშევრობის დონე შემცირდა 16.4%-ამდე. უმუშევრობის შემცირების ტენდენცია ასევე გაგრძელდა 2024 წლის სამ კვარტალში და უმუშევრობის დონე შესაბამისად რეკორდულად დაბალ მაჩვენებლამდე – პირველ კვარტალში 14.0%-ამდე, მეორე კვარტალში – 13.7%-ამდე, ხოლო მესამე კვარტალში 13.8%-ამდე შემცირდა. რაც შეეხება სიღარიბეს, 2023 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ისტორიულ მინიმუმამდე – 11.8%-ამდე შემცირდა და მხოლოდ სამი წლის განმავლობაში 350 ათასზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს.

საშუალოვადიან პერიოდში საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია. მთავრობა უზრუნველყოფს გონივრული და თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელებასა და სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმების გატარებას. მომდევნო წლებში, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერების მიზნით, მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა უზრუნველყოფს მაღალი ეკონომიკური ზრდის დინამიკის შენარჩუნებას. შედეგად, 2028 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტი 130 მილიარდ ლარს, მშპ ერთ სულზე კი – 35 000 ლარს (13 000 აშშ დოლარს) გადააჭარბებს. მაღალი ეკონომიკური ზრდა შექმნის

შესაძლებლობას, თანდათანობით შემცირდეს სხვაობა საქართველოსა და განვითარებული ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის და მსყიდველუნარიანობის პარიტეტზე დაფუძნებული მშპ ერთ სულზე 36 000 საერთაშორისო დოლარს გადააჭარბებს; შედეგად, საქართველო მსყიდველუნარიანობის პარიტეტზე დაფუძნებული ერთ სულზე მშპ-ის ოდენობით იქნება ლიდერი ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ყველა ქვეყანას შორის, რომელთაც გახსნილი აქვთ მოლაპარაკებები ევროკავშირთან.

ეკონომიკური ზრდა გახდება კიდევ უფრო ინკლუზიური და მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და სტრუქტურული გაუმჯობესების პარალელურად, ქვეყანაში დამატებით 200 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

გაგრძელდება სიღარიბის შემცირების ტენდენცია. 2028 წლისთვის სიღარიბე 4%-ამდე შემცირდება და სიღარიბეს დამატებით 290 ათასზე მეტი ადამიანი დააღწევს თავს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ფისკალური სტაბილურობის გაძლიერების მიზნით, მომდევნო წლებში განხორციელდება შემდეგი პოლიტიკა:

- შენარჩუნებული იქნება ფისკალური დისციპლინა და ბიუჯეტის დეფიციტი მუდმივად დაიგეგმება ორგანული კანონით დასაშვები 3%-იანი დეფიციტის ფარგლებში. მოსალოდნელია, რომ 2025 – 2028 წლებში დეფიციტის საშუალო მაჩვენებელი იქნება მშპ-ის 2,5%;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მომდევნო წლებშიც 5 პროცენტის ქვემოთ შენარჩუნდება და კლებადი ტენდენცია ექნება;
- ქვეყნის ბიუჯეტი 40 მილიარდ ლარამდე გაიზრდება. გაგრძელდება ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდის ტენდენცია და 2028 წელს მათი მოცულობა გაიზრდება დაახლოებით 3,5-ჯერ (6,8 მილიარდ ლარზე მეტი);
- 2025 – 2028 წლებში ვალის მაჩვენებელი შენარჩუნებული იქნება მის უსაფრთხო დონეზე, რაც გულისხმობს მშპ-თან მიმართებით არაუმეტეს 40%-იან მაჩვენებელს. პორტფელის დივერსიფიცირება უზრუნველყოფილი იქნება საშინაო და საგარეო წყაროების ჯანსაღი კომპოზიციით. არსებული პროგნოზებით, 2028 წლისათვის ვალის პორტფელში უცხოური ვალუტის წილი ჩამოცდება 65 პროცენტს;
- გაგრძელდება რეფორმები საჯარო ფინანსების მართვისა და მისი გამჭვირვალობის მიმართულებით, რაც შესაძლებელს გახდის ბიუჯეტის ღიაობის ინდექსში მოსალოდნელი ქულების შემდგომ გაუმჯობესებას. აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობისა და დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობის გაუმჯობესებაზე;
- გაგრძელდება ხაზინის რეფორმები როგორც საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში დამატებით შემოღებასთან დაკავშირებით, ასევე ხაზინის ერთიანი ანგარიშის მომცველობის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას საჯარო სექტორში;
- მუშაობა გაგრძელდება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის (PIFC) მდგრადი და უწყვეტი განვითარების მიმართულებით მთელ საჯარო სექტორში, ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, რომელიც მოიცავს ძლიერი მენეჯერული ანგარიშვალდებულების, უფლებამოსილების დელეგირების, რისკების მართვის სისტემისა და ეფექტიანი შიდა აუდიტის მექანიზმს;
- კონკურენტული გარემოს შესაქმნელად და საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება საგადასახადო შეღავათების სისტემის ანალიზი;
- შენარჩუნდება ეკონომიკისთვის ოპტიმალური მოცულობის კაპიტალური ინვესტიციები – საქართველო საშუალოვადიან პერიოდში შეინარჩუნებს კაპიტალური ხარჯების 6-7%-იან დონეს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით;
- ქვეყნის ეკონომიკური საჭიროებების შესაბამისად, მოხდება კაპიტალური პროექტების პრიორიტეტიზაცია;
- ხელი შეეწყობა სახელმწიფო საწარმოების მიერ კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების მოზიდვას.

ეკონომიკური მდგრადობის ზრდის, საგარეო მოწყვლადობის შემცირების, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მმართველობის მაღალი ხარისხის ფონზე, მთავრობის მიზანია, შეინარჩუნოს ქვეყნის სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესების ტენდენცია, რაც შესაძლებელს გახდის საკრედიტო რეიტინგის საინვესტიციო დონის მიღწევას.

ბიზნესექტორთან მიმართებით, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა დაფუძნებულია მაქსიმალურად თავისუფალი, სტაბილური და მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, რაც საშუალებას მისცემს ქვეყნის ეკონომიკას, გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი და ინოვაციური. ბიზნესგარემოს მუდმივი გაჯანსაღებისა და სრულყოფის მიზნით, გაგრძელდება ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა:

- ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დღგ-ის დაბრუნების მაჩვენებლის გაზრდას, რომელიც ჯამურად 15 მილიარდ ლარს მიაღწევს;
- აქტიურად გაგრძელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რესურსების აქტიური ჩართვა ეკონომიკურ აქტივობაში, მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია;
- მომდევნო 4 წლის განმავლობაში გაძლიერდება მუშაობა ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის რაციონალური გამოყენებისა და მისი ეკონომიკურ საქმიანობაში ეფექტიანად ჩართვის მიმართულებით. შენარჩუნდება წიაღისეულის რაციონალური ლიცენზიების გაცემის მხარე ტენდენცია, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და ბიუჯეტში გენერირებული შემოსავლების მოცულობის გაზრდას;
- გაგრძელდება რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტის შემდგომი განვითარება, რაც რეგულაციების მოსალოდნელი შედეგების ფართო ანალიზის საშუალებას იძლევა. დაინერგება RIA-ს მცირე და საშუალო მეწარმეობის ტესტი (RIA SME Test), რაც ხელს შეუწყობს ახალი რეგულაციის მცირე და საშუალო საწარმოებთან მიმართებით გავლენის წინასწარ იდენტიფიცირებას და, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის შემამსუბუქებელი აქტივობების განსაზღვრას;
- გაგრძელდება ბიზნესთან ინტენსიური კომუნიკაცია და ახალი რეგულაციების მიღება მოხდება მათთან კონსულტაციით;
- დამატებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, იგეგმება პარტნიორ ქვეყნებთან (კანადა, კორეის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, ისლანდია) ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმებებზე მოლაპარაკებების გამართვა და შესაბამისი შეთანხმებების გაფორმება;
- გაგრძელდება აქტიური მუშაობა „ციფრული იდენტიფიკაციის საფულის“ დანერგვის მიმართულებით, რაც შეამცირებს ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ავთენტიფიკაციის პროცედურებთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯებსა და დროს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და გაზრდის საჯარო და ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა გაატარა. აღნიშნულს ადასტურებს მსოფლიო ბანკის კვლევებიც, სადაც საქართველო რამდენჯერმე დასახელდა, როგორც მოწინავე რეფორმატორი ქვეყანა.

განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას, ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ინკლუზიურ ხელმისაწვდომობას, სავაჭრო ინტეგრაციასა და საგარეო მოწყვლადობის შემცირებას.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიდან გამომდინარე, საქართველო პირველად შეუერთდა ევროკომისიის მიერ წევრობის კანდიდატი ქვეყნებისათვის შემუშავებული მეთოდოლოგიით ეკონომიკური რეფორმების საშუალოვადიანი პროგრამის მომზადების პროცესს და დათქმულ ვადაში (2024 წლის 15 იანვარს) ევროკომისიას წარუდგინა „ეკონომიკური

რეფორმების პროგრამა“ 2024 – 2026 წლებისათვის. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა კვლავ გაგრძელდება.

შემდგომ წლებში გაგრძელდება სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის პოტენციური დონის დაჩქარებას, მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ჩვენი ქვეყნის პოზიციონირებას, როგორც მთელი რიგი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების წარმატების მაგალითი.

კაპიტალის ბაზრის რეფორმის ფარგლებში, დაინერგება კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდების მხარდაჭერი პროგრამები, რაც გულისხმობს მეტი კაპიტალის მობილიზებას არასაბანკო პროდუქტებში და ამ კაპიტალის რელოკაციას მცირე და საშუალო საწარმოებში. გარდა ამისა, გაგრძელდება მუშაობა უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების განვითარებასა და დაგროვილი კაპიტალის/ტრასტების ინსტრუმენტების დანერგვაზე.

მოკლევადიანი სამუშაო კაპიტალის დაკმაყოფილების საჭიროებისათვის, სამართლებრივი ჩარჩოს გარდა, შეიქმნება ფაქტორინგის ბაზრის განვითარებისათვის განკუთვნილი შესაბამისი პროდუქტები და აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების სავაჭრო პლატფორმა.

გაგრძელდება ინსტიტუციური ინვესტორების ბაზის განვითარება და მხარდაჭერილი იქნება როგორც კერძო საპენსიო ფონდების შექმნა/სტიმულირება, ისე სავალდებულო საპენსიო სააგენტოს/ფონდის შემდგომი განვითარება.

გარდა სადაზღვევო სექტორის ესტონურ მოდელზე გადაყვანისა, მხარდაჭერილი იქნება სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტის სტიმულირება, როგორცაა, მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევა და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მესამე პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

დაიწყება აქტიური მუშაობა სასაქონლო ბაზრებისა და ვაჭრობის განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვას რისკის მართვის მიმართულებით და დაფინანსების ინსტრუმენტების დამატებით გაჩენას.

გატარდება ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, დაინერგება სახალხო დაფინანსების ინსტრუმენტი (Crowd Funding) და გაიზრდება საცალო ინვესტორების ჩართულობა სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

გაგრძელდება ე.წ. ბენჩმარკ ბონდების გამოშვების პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს JP Morgan Government Bond Index-ში (GBI) მოხვედრას და მეტი უცხოელი ინვესტორის შემოდიდებას კაპიტალის ბაზარზე.

სახელმწიფო საწარმოების რეფორმის ფარგლებში, გაუმჯობესდება სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და განხორციელდება სახელმწიფო კორპორაციების კომერციული მიზნების პრიორიტეტიზაცია, ასევე ხელი შეეწყობა კონკურენციასა და კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპების დაცვას. უზრუნველყოფილი იქნება ეფექტიანი ფლობის პოლიტიკის განხორციელება და გაძლიერდება სახელმწიფო საწარმოების ანგარიშვალდებულება და სტრატეგიული მართვა. რეფორმა ითვალისწინებს სახელმწიფო საწარმოების შესახებ ჩარჩოკანონის მიღებას, რომელიც შექმნის რეფორმის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მკაფიო საკანონმდებლო საფუძველს.

ენერგეტიკული რეფორმის სრულყოფილად განსახორციელებლად, მომდევნო წლებში გაგრძელდება მუშაობა ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაციის მიმართულებით, რაც ბაზრის მოთამაშეებისთვის კონკურენტული და ღია ბაზრის პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს.

წილის სექტორის რეფორმის ფარგლებში, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, წიაღით სარგებლობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტექნიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებას და გაგრძელდება მუშაობა წიაღის სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს კერძო სექტორის განვითარება და სამეწარმეო პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება წარმოადგენს. ქვეყანაში აქტიური ბიზნესსუბიექტების უმრავლესობას მცირე და საშუალო ზომის საწარმოები წარმოადგენენ (99,7%). შესაბამისად, ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფის, დასაქმების ზრდისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებასა და მიზნობრივი პროგრამების საშუალებით მათ მხარდაჭერას.

წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, შემდგომ წლებში გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები:

- გაფართოვდება ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები, ტრადიციულ მხარდაჭერის მექანიზმებთან ერთად, კომპანიებს საშუალება ექნებათ, მოიზიდონ საინვესტიციო რესურსი ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ჯამურად, „აწარმოე საქართველოს“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერი პროგრამებით ისარგებლებს 11 000-ამდე მეწარმე სუბიექტი, აქედან შეიქმნება 5 000-ამდე ახალი მეწარმე სუბიექტი. მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში შეიქმნება 70 000-ამდე ახალი სამუშაო ადგილი. მეწარმეობის მხარდაჭერი პროგრამების დაფინანსება წლიდან წლამდე იქნება მზარდი და მომდევნო 4 წელიწადში ბიზნესის მხარდაჭერი პროგრამების ჯამური დაფინანსება 1,5 მილიარდ ლარს გადააჭარბებს;
- გაგრძელდება კერძო სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ მიმართული სტრუქტურული რეფორმები, მათ შორის, ხელი შეეწყობა მოძრავი ქონებით დაკრედიტებას;
- ქვეყანაში სრული მასშტაბით ამოქმედდება რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების ქსელი, რომელიც მიზნად ისახავს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ინფორმაციით უზრუნველყოფას, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებასა და ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზებას, რაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და დაეხმარება შემდგომ ზრდაში. დღეს საპილოტე რეჟიმში მოქმედი სამი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრის (სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, კახეთი) რაოდენობა გაიზრდება 11-ამდე და 2028 წლამდე პერიოდში რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით საკონსულტაციო სერვისების თანადაფინანსებას მიიღებს 4 000-ამდე, ხოლო ტრენინგებს გაივლის 12 000-ამდე მეწარმე;
- სრული მასშტაბით ამოქმედდება მიკროსესხების ახალი პროგრამა, რომელიც გულისხმობს მიკრობიზნესისთვის 50 000 ლარამდე სესხების უზრუნველყოფას, რათა მათ საკუთარი წარმოების გაფართოება/განვითარება შეძლონ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მომდევნო წლებში 6 000-ამდე მეწარმე ისარგებლებს;
- კაპიტალის ბაზრის რეფორმის ფარგლებში, „აწარმოე საქართველოში“ დაიწყებს რამდენიმე მნიშვნელოვან პროგრამას, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს, მოიზიდონ საინვესტიციო რესურსი ალტერნატიული წყაროებიდან. კერძოდ, გაფართოვდება სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვების მხარდაჭერი პროგრამა, რომლის ფარგლებში, 2025 – 2028 წლებში მოხდება 100-ამდე ემისიის მხარდაჭერა, რითაც 3 მილიარდ ლარამდე საინვესტიციო რესურსის მობილიზება იქნება შესაძლებელი;
- სახელმწიფოს ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით, ამოქმედდება 3 კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდი, რომელთა ჯამური მოცულობაც 200 მილიონ ლარამდე იქნება; ფონდები განახორციელებენ ინვესტირებას მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში, რაც მათ დაეხმარება შემდგომ სწრაფ ზრდაში;
- შეიქმნება აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების პლატფორმა, რაც კომპანიებს საშუალება მისცემს, საკუთარი აქტივების გამოყენებით, მოიზიდონ დამატებითი ფინანსური რესურსი; ამ მიმართულებით, მომდევნო 4 წლის განმავლობაში 10 მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური

რესურსის მობილიზება მოხდება;

- პარალელურად, განახლებული ფორმით გაგრძელდება ბიზნესის მხარდამჭერი ტრადიციული პროექტები. ჩაღრმავებული სექტორული ანალიზისა და ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე (პროდუქტიულობა, ზრდის პოტენციალი, ინოვაციები, დასაქმება, ექსპორტი ა. შ.), განხორციელდება სესხის პროცენტის სუბსიდირების პროგრამის ტრანსფორმაცია; მომდევნო 4 წლის განმავლობაში, აღნიშნული პროგრამით 3 000-ამდე კომპანია ისარგებლებს, რომლის ფარგლებშიც, ხელი შეეწყობა 6 მილიარდ ლარამდე ინვესტიციის განხორციელებას;

- გაფართოვდება საკრედიტო საგარანტიო სქემაც, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას; მომდევნო 4 წლის განმავლობაში სქემით ისარგებლებს 2 000-ამდე კომპანია და მოხდება 2 მილიარდ ლარამდე ბიზნესსესხების უზრუნველყოფა; საექსპორტო მიმართულებას დაემატება ტრანსპორტირებისა და სავაჭრო ფინანსური პროდუქტების თანადაფინანსების კომპონენტი, რაც დამატებით გააძლიერებს ქართული კომპანიების საექსპორტო პოტენციალს;

- გაგრძელდება „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის“ რეგულარული კვლევებისა და შრომის ბაზრის ყოველწლიური ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მოხდება სამუშაო ძალის მოთხოვნის, საჭირო უნარებისა და გამოწვევების მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზი; კვლევის შედეგების ფართოდ გამოყენებისა და მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაზრდის მიზნით, გაციფრულდება კვლევის შედეგები;

- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, გაგრძელდება ანგარიშგების პორტალის (Reportal.ge) მართვა, რისკზე დაფუძნებული მიდგომით წარდგენილი ანგარიშგებების სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგებების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ზრდას. გარდა ამისა, რეფორმის შემდგომი ეტაპის ფარგლებში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, საქართველოში მოქმედ რიგ საწარმოებს დაევალებათ ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge) კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების წარდგენა/გასაჯაროება, რაც ხელს შეუწყობს საწარმოებში მდგრადობის პოლიტიკის დანერგვასა და განვითარებას. ასევე, პორტალის შემდგომი განვითარების მიზნით, იგეგმება ციფრული ანგარიშგების სტანდარტის (XBRL) დანერგვა. ანგარიშგებების სრულად გაციფრულება ხელს შეუწყობს ანგარიშგების ხარისხის ზრდას და გამარტივებს მის დამუშავებას დაინტერესებული პირების, მათ შორის, პოტენციური ინვესტორების მიერ. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ თანამშრომლობას სხვა უწყებებთან.

საგარეო ვაჭრობის გაძლიერება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და აღნიშნული მიმართულების ხედვა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების დამკვიდრებას ეფუძნება. შესაბამისად, არაერთი განხორციელებული რეფორმის შედეგად, დღეისათვის საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა აქვს, რაც გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, ასევე დაბალ საიმპორტო ტარიფებს გულისხმობს.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცების მიზნით, საქართველოს მთავრობა განახორციელებს შესაბამის ქმედებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის ხელმისაწვდომობასა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

უზრუნველყოფილი იქნება უცხოელ ინვესტორსა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელ საინვესტიციო ხელშეკრულებებში, სამართლებრივი რისკების მინიმოზაციის გზით, საინვესტიციო დავების პრევენცია და სამართლებრივი უსაფრთხოების გაძლიერება. DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, გაგრძელდება საშუალოვადიანი და ყოველწლიური გეგმების განხორციელება და საკანონმდებლო დაახლოების პროცესი შესაბამისი რეფორმების გატარების გზით, რითაც საქართველო 2028 წელს დაასრულებს DCFTA-ით აღებული საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებას.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მინიჭებიდან გამომდინარე, გააქტიურდება მუშაობა DCFTA-ის ვალდებულებების მიღმა ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების მიმართულებით. ამ მიზნით, ქართული მხარის მიერ შემუშავდა და ევროკავშირთან თანხმდება პრიორიტეტული სამოქმედო გეგმა DCFTA-ის განხორციელების ინტენსიფიკაციისთვის.

ამასთან, შემუშავდება შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ბაზარზე ზედამხედველობის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სტრატეგია, რომელიც მოიცავს ევროკავშირის წევრობის ვალდებულებებს.

გაგრძელდება მთავრობის ძალისხმევა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების მიმართულებით, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივი კომპანიებისთვის უცხოურ ბაზარზე წვდომას. მოლაპარაკებები დასრულებულია და 2025 წელს ხელი მოეწერება სამხრეთ კორეასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. ინდოეთსა და ისრაელთან, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით, წარიმართება მოლაპარაკებები. გარდა ამისა, გაგრძელდება მუშაობა აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების მიმართულებით, როგორც პოლიტიკურ, ისე ტექნიკურ დონეზე. კონსულტაციები გაგრძელდება ყურის არაბული სახელმწიფოების საბჭოსთან (Gulf Countries) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით და დაიწყება შესაბამისი მოლაპარაკებები. ასევე მოლაპარაკებები დაიწყება სერბეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე.

საქართველოსთვის ტურიზმის სექტორის გაძლიერება და ამ მიმართულებით ქვეყნის პოტენციალის ათვისება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში აქცენტი გაკეთდა ახალი ტურისტული ბაზრების ათვისებასა და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მათ შორის, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების მიზნით.

საქართველოს სასტუმროების ბაზარს შეემატება 310-ზე მეტი განთავსების ობიექტი, 34 700-ზე მეტი საწოლი ადგილით. შედეგად, 2 680-ამდე გაიზრდება სასტუმროების რაოდენობა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობა გაიზრდება 142 700-ამდე. გარდა ამისა, შემდგომი 4 წლის განმავლობაში კერძო ინვესტიციების ოდენობა სასტუმროების სექტორში დაახლოებით 1 მილიარდ ლარს გაუტოლდება. ამასთან, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, სახელმწიფო მომდევნო 4 წლის განმავლობაში 1 მლრდ ლარზე მეტ ინვესტიციას განახორციელებს.

განხორციელდება მიზნობრივი კამპანიები და სხვადასხვა აქტივობა წამყვან საერთაშორისო მედიასაშუალებებთან, რომლებიც ევროკავშირისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ერთად მოიცავს ახალ სამიზნე ბაზრებს, როგორცაა: ინდოეთი, ჩინეთი, აშშ და სხვა ქვეყნები.

#### 5.1 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 07)

კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის, ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია;

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მეწარმეობის (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარება, კერძო სექტორისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საქართველოს ეკონომიკის რეგიონული და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა;

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)

მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა;

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებისა და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა;

თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობას;

ექსპორტის ხელშეწყობისთვის ქართული კომპანიების უცხოურ ბაზრებზე წარდგენა და მათი საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ბაზრის კვლევის კუთხით კომპანიებისთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დაგეგმვისა და მიზანმიმართული განვითარებისთვის; ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებთან რეგულარული კომუნიკაცია და მათთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დასაგეგმად საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით;

საქართველოს საწარმოო პოტენციალის წარმოჩენა მასშტაბური საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების წარმოებით და პროდუქციის/მომსახურების პოპულარიზაციით;

მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის;

ქვეყნის გარეთ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია და ამ მიზნით სექტორული კვლევების, საინვესტიციო პროექტების, გზამკვლევებისა და სხვა მარკეტინგული მასალების მომზადება;

პრიორიტეტულ სექტორებში სამიზნე კომპანიების იდენტიფიცირება, მათთან პროაქტიულად დაკავშირება და შეხვედრების ორგანიზება; პოტენციური და არსებული ინვესტორების დახმარება ინვესტიციის განხორციელების პროცესში;

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა საკრედიტო საგარანტიო სქემისა და ბიზნესის მხარდაჭერის უნივერსალური პროგრამის მეშვეობით;

ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაფართოება ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების წახალისების გზით, როგორცაა ბონდების გამოშვების თანადაფინანსება, კერძო საინვესტიციო ფონდების შექმნა და აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების პლატფორმის დანერგვა.

**5.1.1 მეწარმეობის განვითარების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 24 07 01)**

მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის;

ექსპორტისა და ინვესტიციების მიმართულებების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება.

**5.1.2 მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 07 02)**

მეწარმეობის ხელშეწყობა და კერძო სექტორის გაძლიერება: მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობით; კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და

საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსურ რესურსებზე და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გზით; მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა რეგიონებში, მათ შორის სესხების თანადაფინანსებითა და გარანტირების მექანიზმებით;

შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება: შემოქმედებითი სექტორის, მათ შორის კინოწარმოების, გაძლიერება შესაბამისი ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერით;

სამშენებლო სექტორისა და საცხოვრისის უზრუნველყოფის მხარდაჭერა: კომერციული ბანკიდან აღებული იპოთეკური სესხების გარანტირება ან/და სესხის პროცენტის თანადაფინანსება; ოჯახებისთვის, რომლებსაც ყავთ 1 წლამდე ახალშობილი, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება იპოთეკური სესხების სუბსიდირების გზით;

ფინანსურ ბაზარზე ალტერნატიული დაფინანსების მექანიზმების ხელშეწყობა: ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაფართოება და ხელმისაწვდომობის ზრდა, ბონდების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსება; საინვესტიციო ფონდების განვითარება და აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმების ხელშეწყობა;

საექსპორტო პოტენციალის განვითარება: ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების უნარების გაძლიერება, ბაზრის კვლევებისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება და ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა; საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია საერთაშორისო პლატფორმებზე; DCFTA-ის მოთხოვნების თაობაზე მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა;

ინვესტიციების ხელშეწყობა და საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია ახალი საინვესტიციო პროექტების სტიმულირება, სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა; არსებული ინვესტორების მხარდაჭერა (“aftercare”) და საქართველოში რეინვესტირების წახალისება; საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით.

5.2

### **სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)**

სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევისთვის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად;

სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა;

საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება;

სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტიანად განაწილებისთვის ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება; საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების შესრულება;

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის სრულყოფილად განხორციელება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული სისტემის დანერგვა;

ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა;

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზებისთვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტიანი თანამშრომლობის გაგრძელება;

საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისთვის სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვა/გამოყენება;

ფისკალური რისკების შეფასება და მართვა (სახელმწიფო საწარმოებიდან, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან, სასამართლო დავებიდან მომდინარე და სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილების ფისკალური რისკები); სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველის ან/და პარტნიორის უფლებამოსილებების განხორციელება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს როლის გაძლიერება;

გრძელვადიანი ფისკალური რისკების შეფასება და ანალიზი;

საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტური (DSGE) მოდელის თეორიული და ტექნიკური მახასიათებლების სრულყოფა და პროგნოზის ხარისხის მონიტორინგი;

ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ ანალიტიკური და ინფორმაციული მასალის მომზადება; საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებთან ურთიერთობის გაგრძელება;

სუვერენული სარეიტინგო შეფასებების შენარჩუნება და გაუმჯობესება;

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;

დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობის შენარჩუნება როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში;

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა;

პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ შეთანხმების გაფორმება, აგრეთვე არსებული შეთანხმებების განახლება;

დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საადრიცხვო სისტემის შემოღება და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტების და მათი დაქვემდებარებული ერთეულების დონეზე;

სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება, რაც მოიცავს სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მიმდინარე ბიზნეს-პროცესების დახვეწას, გამარტივებას, არსებული საინფორმაციო სისტემის

მოდერნიზებას, გაფართოებას და დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის სრულად შემოღებას;

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მომდევნო ეტაპების განხორციელება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად;

5.3

**სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 06)**

სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვა და სახელმწიფო საწარმოთა მართვა; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული ლიკვიდური, გადახდისუუნარო და მომგებიანი საწარმოების კლასიფიკაცია, არამომგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირება;

გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობისა და დაცვის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და პრივატიზებული ქონების მიღებიდან რეალიზაციამდე არსებული პროცედურების ეფექტიანად მართვა;

მომრავი ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცედურების უზრუნველყოფა; მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად ვებგვერდის – eAuction.ge-ს მოდერნიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება და ახალი სერვისების დამატება;

მთის კურორტებზე საბაგიროებისა და სასრიალო ტრასების მშენებლობა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარება. მომხმარებელზე ორიენტირებული ხარისხიანი სერვისების შეთავაზების ხელშეწყობა;

საქართველოს აეროპორტების განვითარება უსაფრთხო ფრენების უზრუნველსაყოფად.

5.4

**ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01)**

"საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმართვა და ანალიზი, პოლიტიკის კოორდინაცია/განხორციელების მონიტორინგი და შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმა მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, აგრეთვე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად;

სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება/გაუმჯობესება;

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის განსაზღვრულ ღონისძიებათა შესრულების ეფექტიანი კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება;

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა, აგრეთვე კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისა და სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) განხორციელება;

საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების/შენარჩუნების/ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

შრომის ბაზრის ტენდენციების შესწავლა და ანალიზი, შრომის ბაზრის შესაბამისი კვლევების განხორციელება; შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება;

ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისთვის თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმა;

ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებული რეფორმების შემუშავება და განხორციელება;

საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურული გაუმჯობესებისა და სავაჭრო რეჟიმების განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საგარეო სავაჭრო ბრუნვის რეგულარული ანალიზი. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;

რეგიონული, მრავალმხრივი და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, აგრეთვე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება;

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გამოყენების ხელშეწყობა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობით;

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საერთაშორისო და ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია;

სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და შესაბამისი ორმხრივი სამართლებრივი ბაზის განვითარება;

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ენერგეტიკული გაერთიანების მიერ ადაპტირებულ ენერგეტიკულ რეგულაციებთან/დირექტივებთან და შესაბამისი ენერგეტიკული რეფორმების განხორციელება;

თანამედროვე, გამჭვირვალე, კონკურენტული და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ელექტროენერჯის ბაზრის ჩამოყალიბება („სამიზნე მოდელი“), რომელიც უზრუნველყოფს საათობრივ ჭრილში ელექტროენერჯითა და თანამდევრი მომსახურებით ვაჭრობას, დღით ადრე, დღიურ, საბალანსო და დამხმარე მომსახურებებს საბითუმო ბაზრების სეგმენტებში;

ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესრულება ენერგეტიკის სექტორში;

მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება

მწვანე ეკონომიკის ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის, რის შედეგადაც ქვეყანაში შეიქმნება მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო;

მდგრადი დაფინანსების ქართული ტაქსონომიის შემუშავება, რომლის მიზანი იქნება, ნათლად განსაზღვროს, რომელი ბიზნესსაქმიანობა, პროგრამა ან პროექტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს რესურსეფექტიან, ენერგოეფექტურ, მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი, ინკლუზიური განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებად;

ენერგეტიკის სფეროს მდგრადი განვითარების პოლიტიკის, სტრატეგიის, მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი პროგრამების/გეგმების შემუშავება; ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში არსებული ენერგეტიკული საწარმოების პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება; ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკული ურთიერთობის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმალურ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი რეალიზაციის კოორდინაცია;

სავაჭროპოლიტიკური ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროში სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება;

მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმების („რუმინეთის მთავრობას, საქართველოს მთავრობას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის „შავი ზღვა - კასპიის ზღვა“ დაარსებისა და ფუნქციონირების შესახებ“ შეთანხმება) გაფორმება;

საგზაო უსაფრთხოების ეფექტური პოლიტიკის შემუშავება;

სამშენებლო სექტორის განვითარება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, უზრუნველყოფს მშენებლობის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას, დასაქმების ზრდას და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებზე შენარჩუნებას; ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზებული საქართველოს სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ტექნიკური რეგლამენტების/სტანდარტების შემუშავება, ახალი თაობის ევროკოდების თარგმნა/რედაქტირება, მიღება და დანერგვა;

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება; ევროკოდების ეროვნული დანართების შემუშავება; ექსპლუატაციაში მიღებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, უსაფრთხოების ნორმების შემუშავება და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და თანამედროვე ტექნოლოგიების, როგორც არის ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, მონაცემთა გაცვლის ჰიპერმასშტაბური ცენტრები (TIER III/IV) და ხელოვნური ინტელექტი (AI), განვითარების ხელშეწყობა. საინვესტიციო გარემოს გაძლიერება და ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო და ფოსტის სამართლებრივ ჩარჩოსთან საკანონმდებლო ჰარმონიზაცია. ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების მიმართულებით სახელმწიფო უწყებების ეფექტური საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა. ელექტრონული კომუნიკაციებისა და საფოსტო ქსელების საგანგებო სიტუაციების მართვისა და რეაგირების ეროვნული გეგმის შემუშავება;

საქართველოში ციფრული ინფრასტრუქტურის, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება; საგანგებო ან/და საომარი სიტუაციების დროს ქვეყნის

მდგრადობის ხელშეწყობა და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფა; ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სტიქიური უბედურებების, საგანგებო სიტუაციებისა და სხვა კრიზისული მოვლენების შესახებ მოსახლეობის დროულ შეტყობინებას, საფრთხეებზე რეაგირების დროის შემცირებას, ადამიანური და მატერიალური ზარალის მინიმიზაციასა და ქვეყნის რეზილიენტობის ზრდას;

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებთან აქტიური თანამშრომლობა; სწორი და ეფექტიანი კომუნიკაციითა და მხარდაჭერით ქვეყანაში მსხვილი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირება, რომლის დებულებებიც თანხვედნილი იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და წახალისებს ადგილობრივ ინვესტიციებს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

5.5

### **შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)**

ადამიანური კაპიტალის გაძლიერებით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ინოვაციური მიდგომებით, ორგანიზაციის გაციფრულებითა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით მარტივი, მომხმარებელზე მორგებული გარემოს შექმნა, ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის დონის ამაღლება და სამართლიანი საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა;

„საგადასახადო ადმინისტრაცია 3.0“ მოდელის ძირითადი პრინციპების დანერგვა, რაც გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის ფუნდამენტური პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

გადასახადის გადამხდელებისთვის კანონშესაბამისობის უზრუნველყოფის ტვირთის მინიმიზაციისა და გადასახადის გადამხდელის მხრიდან კანონშესაბამი ქვეყნის გართულების მიზნით გადასახადის გადამხდელის შიდა ბიზნესსისტემებზე მორგებული პროცესების დანერგვა;

საგადასახადო ადმინისტრაციაში ინტეგრირებული, ციფრული აზროვნების პრინციპების დამკვიდრება, ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება, მონაცემთა დაცვისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტების დანერგვა;

საგადასახადო რისკების მართვის სისტემის შემდგომი განვითარება;

საგადასახადო და სახელმწიფო საზღვრის კვეთის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის დონის ამაღლების მიზნით საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაცია და პარტნიორ იურისდიქციებთან საბაჟო ინფორმაციის წინასწარი გაცვლის მექანიზმების განვითარება;

საერთაშორისო ვაჭრობის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ქვეყნის მონიტორინგი ტრანსნაციონალური დანაშაულის, ფულის გათეთრების, სტრატეგიული ვაჭრობის, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაზიანების თავიდან აცილებისა და მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების მიზნით;

გადასახადის გადამხდელების მხრიდან კანონშესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაწეული ძალისხმევითა და რესურსების შემცირების მიზნით საგადასახადო დეკლარაციების წინასწარი და ავტომატური შევსების მექანიზმების დანერგვა;

მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრირების პროცესის დახვეწა, ინოვაციური მიდგომების დანერგვითა და ციფრული ტრანსფორმაციის მიღწევების აქტიური გამოყენებით;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული სერვისების ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდა, ამ სერვისების ბიზნესპროცესების ოპტიმიზაცია;

თვითმომსახურების წახალისება, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, მომსახურების მიღების პროცესი თავად მართოს, ხოლო შემოსავლების სამსახურს – გრძელვადიან პერსპექტივაში, უზრუნველყოს რესურსების ოპტიმიზაცია;

საზოგადოების საგადასახადო და საბაჟო განათლების და ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვა საზოგადოებაში სამსახურისადმი ნდობის და მისი საოპერაციო ეფექტიანობის ამაღლების მიზნით;

გადამხდელთათვის გადახდის პროცედურების გამარტივებით და ადრეული შეტყობინებების სისტემის შექმნით, საგადასახადო დავალიანებების თავიდან აცილება. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანების ზრდა;

საგადასახადო კონტროლის ეფექტიანობის დონის ზრდა და დავების თავიდან აცილების მექანიზმების შემუშავება;

საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტიანობის ზრდა, საბაჟო პროცედურების გამარტივება;

გადასახადების გადამხდელთა მიმართვის საფუძველზე საგადასახადო, საბაჟო ან მოსაკრებლებთან დაკავშირებული ვალდებულებების ან/და ანგარიშგების წესების განსაზღვრის მიზნით იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის გამოცემა;

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცესის მოდერნიზაცია, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, საინფორმაციო სისტემების სათანადო ტექნიკურ უზრუნველყოფა, სსიპ - შემოსავლების სამსახურის მონაცემთა საცავის განვითარება, მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება და ავტომატური ანალიტიკური ანგარიშების სისტემის განვითარება;

კორპორაციული მართვის სისტემის განვითარება და ანგარიშგების თანამედროვე მიდგომების დანერგვა;

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება და მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვა;

ევროკავშირის საბაჟო და საგადასახადო ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

5.6

**სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 40 02)**

სამთავრობო რეზიდენციებში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, სხვა უმაღლესი თანამდებობის პირთა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უზრუნველყოფა მათი საქმიანობისთვის საჭირო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი

პირობებით, აგრეთვე სამთავრობო რეზიდენციების თანამედროვე ინვენტარითა და დანადგარებით აღჭურვა.

5.7

**ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)**

სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) მხარდაჭერა, განვითარება, მოდერნიზება, ფუნქციური განახლება და დანერგვა;

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის – eDocument-ის ფუნქციური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა, ინციდენტების ეფექტიანი მართვა, სისტემის ტექნოლოგიური განვითარება და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) (რომელიც შეიცავს მრავალი ბიზნესპროცესის ავტომატიზაციის კომპონენტს და რომლის მომხმარებლები არიან კერძო ბიზნესის წარმომადგენლები) აღრიცხვა, მართვის და მონიტორინგის პროცესების გამარტივება, სისტემის მოდერნიზაცია, ფუნქციური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა;

ყიდვა-გაყიდვის უნიკალური ელექტრონული სისტემის – eAuction.ge-ს (უძრავ-მოდრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის სისტემის) მოდერნიზაცია და ფუნქციური განახლება;

საინფორმაციო სისტემებისა და ვებგვერდების ეფექტიანი ფუნქციონირება, ვებგვერდების მფლობელთა ცნობადობის ამაღლება, საზოგადოებისთვის დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ონლაინ რეჟიმში მიწოდება და უკუკავშირის მიღება;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა, ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.

5.8

**სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)**

სტატისტიკური სისტემის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

სტატისტიკური კვლევებისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დაგეგმვა, მართვა, წარმოება, მონაცემთა გავრცელება და ანგარიშგება;

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საკანონმდებლო ბაზის განახლება;

მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება/განახლება;

საერთაშორისო ორგანოებში წარმომადგენლობა და თანამშრომლობა;

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მომხმარებელთა ნდობის განმტკიცება;

დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების უზრუნველყოფა;

ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;

ტექნიკური და კომპიუტერული აღჭურვილობის განახლება.

5.9

**სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)**

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი მახასიათებელი;

ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება;

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემების მოპოვება;

სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ფასების საერთაშორისო შედარების განხორციელება;

საქართველოს რეზიდენტებისა და უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების შესახებ, აგრეთვე საქართველოს რეზიდენტების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების თაობაზე მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

ბიზნესსექტორსა და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი და მათ შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება;

ენერგორესურსების მოხმარების შესახებ სტატისტიკური კვლევის ჩატარება და საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება;

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება;

სამაცივრო, სასაკლავო მეურნეობებისა და ელევატორების საქმიანობის გამოკვლევა;

საფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოებისა და ლომბარდების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება;

ტრანსპორტის სტატისტიკის წარმოება (მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა);

საავტომობილო ტრანსპორტის ნატურალური მაჩვენებლებისა და ამ დარგში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება;

შრომის ბაზრისა და სამუშაო ძალის დეტალური გამოკვლევა;

მიმდინარე დემოგრაფიული კვლევის ჩატარება;

შინამეურნეობების მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის სიღარიბისა და უთანაბრობის მაჩვენებლები და სხვა) მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება

და გავრცელება;

შინამეურნეობებსა და ბიზნესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევა;

დაუკვირებადი ეკონომიკის გამოკვლევა სხვადასხვა სექტორში

5.10

**სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 38 00)**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ეროვნული სისტემის ფორმირება;

საერთაშორისო FATF - სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაცია;

ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია;

სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა.

5.11

**სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)**

საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება;

მოკვლევების ფარგლებში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების გამოვლენა და მათი გამოსწორების გზების დასახვა;

კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში განხორციელებული კონცენტრაციებისა და გაცემული სახელმწიფო დახმარებების კონტროლი;

სხვადასხვა ბაზრის მონიტორინგი და კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა დემპინგური იმპორტით მიყენებული ზიანისგან ან/და შესაძლო ზიანის მიყენებისგან; ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

საქართველოს ბაზარზე მომხმარებლის უფლებების დარღვევის პრევენცია, დაცვა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ეფექტიანი

ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

5.12 **ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 24 17)**

საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული „ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებისა და „სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და „TURKISH ELECTRICITY TRADING AND CONTRACTING CO.“-ს შორის გასაფორმებელი ოქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილის №923 განკარგულების შესაბამისად, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და თურქეთის ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა (TETAS) შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე აღებული ვალდებულებების დაფარვა.

5.13 **ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 23 06)**

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალის განვითარება დირექტივასთან – „2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივა გარკვეული კატეგორიის საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და დაკავშირებული ანგარიშგებების მოთხოვნების გავრცელება ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის“, რეგულაციასთან – „ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის რეგულაცია 1606/2002 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ“ და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით;

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

აუდიტისადმი დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ამაღლების მიზნით აუდიტის ზედამხედველობის სისტემის დახვეწა და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, რაც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებთან, 2006/43/EC ევროდირექტივასა და 537/2014 ევრორეგულაციასთან შესაბამისობას;

სრულფასოვანი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, ანგარიშვალდებულ პირთა ცნობიერების ამაღლება და რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის უზრუნველყოფა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით.

5.14 **ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 24 04)**

ბაზარზე განთავსებული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ზედამხედველობის უზრუნველყოფა, ევროპის ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვით.

5.15 **ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF) (პროგრამული კოდი 24 13)**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ენერჯეტიკული რეფორმის განხორციელება, რომელიც გულისხმობს „ენერჯეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების მიღების/დამტკიცების და შესრულების მიზნები: ენერგოაუდიტორების აკრედიტაციისა და

სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება; ენერგოაუდიტის სავალდებულო წესების ამოქმედება; სატრენინგო პროგრამების დანერგვა ენერგოაუდიტორებისთვის მრეწველობასა და შენობების სექტორში, შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების (ეეს) შემფასებლებისთვის, გათბობისა და გაგრილების სისტემების ინსპექტორებისთვის; საწარმოო ციკლის ენერგოეფექტურობის გაზრდა; შენობების სექტორში (არსებულ და მშენებარე შენობებში) ენერგოეფექტური სტანდარტების დანერგვა; ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, შენობების განახლება; შენობებში ენერგოეფექტურობის დანერგვისთვის მათი საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფა, აგრეთვე კომპიუტერული პროგრამების ჩამოყალიბება მუნიციპალურ დონეზე და მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების კადრების გადამზადება; საჯარო შენობების ინვენტარიზაცია და რეესტრის ჩამოყალიბება ენერგოეფექტურობის განსახორციელებლად; ენერგოეფექტური ღონისძიებების შედეგად მიღებული ენერგოდაზოგვის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და დადასტურების პლატფორმის ამუშავება.

5.16

#### **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 49 00)**

მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და ექსპორტ-იმპორტის ხელშეწყობა მათი რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებში ინტეგრაციისთვის;

სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებსა და ბიზნესგაერთიანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ინტეგრაცია და მჭიდრო თანამშრომლობა;

ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნესკავშირების დამყარების ხელშეწყობა და პარტნიორების მოძიება;

საქართველოს ბიზნესსუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით მათი ინტერესების ადვოკატირება;

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;

საერთაშორისო კომერციული და საინვესტიციო დავების განსახილველად საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება;

პროფესიული განათლების ხელშეწყობა, მათ შორის საწარმოო ინსტრუქტორების გადამზადების გზით;

კომპანიების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მათ შორის, გაციფრულების ხელშეწყობა;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ქვეყნის გარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე საქართველოს კულტურული ფასეულობების წარდგენა და ამ ღონისძიებებში ხელოვანთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

ქართული ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა; ქართული კულტურის მოღვაწეთა და ქართული კულტურის განვითარებისთვის უცხო ქვეყნის კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა დამსახურებების სხვადასხვა ფორმით აღნიშვნა და წახალისება;

კულტურასა და ბიზნესს შორის პარტნიორული ურთიერთობების გამყარება;

ხელოვნების დარგების წარმომადგენელთა მიერ კავშირების დამყარება ინსტიტუციურ და კერძო ინვესტორებთან, ბიზნესმენებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კულტურის სფეროში საინვესტიციო პროექტებით;

სხვადასხვა ქვეყნის კულტურის პალატებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა.

5.17

**სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროსა და დიაპაზონის გაფართოება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტის – EN ISO 9001:2015-ის შესაბამისი მომსახურების მიწოდება, ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად სტანდარტიზაციის სფეროში ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება;

მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოება და დამკვეთებისთვის, მათ შორის, რეგიონულ დონეზე, სერვისების შეთავაზება;

მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

5.18

**ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 24 09)**

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად შავი ზღვის შეღწეზე (შავი ზღვის პროექტი) და ხმელეთის თავისუფალ ბლოკებზე ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარება;

ნავთობისა და გაზის სფეროში მონაცემებისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის მართვა;

ნავთობის გადამუშავების ლიცენზიის, ბუნებრივი გაზის გადამუშავების ლიცენზიის, ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა;

ნავთობისა და გაზის სფეროში სტანდარტების შემუშავება;

„წვერი სახელმწიფოებისთვის ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საბჭოს 2009 წლის 14 სექტემბრის 2009/119/EC დირექტივის შესრულება;

ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციების რეგულირების სფეროს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.

5.19

**მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)**

მოსახლეობის აღწერისთვის საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2024 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა დამუშავება და გამოქვეყნება;

მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი დემოგრაფიული, სქესობრივ - ასაკობრივი შემადგენლობისა და სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა;

შინამეურნეობების, დაკავებული საცხოვრისების, მოსახლეობის საბინაო პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების დადგენა;

ქვეყნის ადმინისტრაციული ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების, მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და საზოგადოების ინფორმირება;

არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე, ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება.

5.20

#### **სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო (პროგრამული კოდი 53 00)**

შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირება და უფლებამოსილი ორგანოსთვის შეთავაზება, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოსა და კერძო ინიციატორისთვის შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირებასა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა;

უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება, საჭიროების შემთხვევაში შენიშვნების მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება;

ერთიანი და ყოვლისმომცველი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი;

ინსტიტუციური პოტენციალის განვითარების მიზნით საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროში უფლებამოსილი ორგანოს ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება, მათ შორის, პროექტის იდენტიფიცირებისა და მომზადების, კერძო პარტნიორის შერჩევის, პროექტის განხორციელების, მონიტორინგისა და შემდგომი შეფასების ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის;

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმართულებით საქართველოს შესაბამისი სარეიტინგო მაჩვენებლების გაუმჯობესება;

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებისთვის სათანადო ცვლილებების შემუშავება და შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენა.

6

#### **ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა**

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს ძლიერი, სამართლიანი და ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობას, სადაც თითოეულ მოქალაქეს აქვს თანასწორი შესაძლებლობები და სახელმწიფო ინსტიტუტები ეფექტიანად და გამჭვირვალედ ემსახურებიან მათ.

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი, შედეგებზე ორიენტირებული სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად, ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, უწყვეტად გაგრძელდება საჯარო მმართველობის რეფორმა.

გადლიერდება პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტიანი და ეფექტური სისტემის მხარდაჭერა და უზრუნველყოფილი იქნება მისი შემდგომი გაუმჯობესება გამოვლენილი საჭიროებებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე. გაუმჯობესდება სამთავრობო დაწესებულებათა მიერ პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და

შეფასების ხარისხი; დაინერგება პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით ციფრულ სივრცეში მოექცევა მთავრობის ყველა პოლიტიკის დოკუმენტი; პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირდება საჯარო კონსულტაციების გამართვის მოდულიც, რაც ახალ შესაძლებლობას აჩენს ინკლუზიური საჯარო პოლიტიკის წარმოებისთვის და ქმნის ქმედით პლატფორმას მოქალაქეებთან მჭიდრო ინტერაქციისთვის.

ინტენსიურად გაგრძელდება საჯარო სამსახურის სრულყოფა. ამ მიზნით, შემუშავდება საჯარო სამსახურის განვითარების სტრატეგია, რომელიც შექმნის ერთიან ხედვას მიმზიდველი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების, მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის, საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანური კაპიტალის გაძლიერების, პროფესიონალიზმის ამაღლების, ძლიერი, ანგარიშვალდებული და ქმედითი საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის, აგრეთვე შესაბამისი პოლიტიკური დონის პასუხისმგებლობის განსაზღვრისა და რეფორმის კოორდინირებული განხორციელებისთვის; საჯარო სამსახურის სისტემის ერთიანობის უზრუნველსაყოფად და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, დაიხვეწება კანონმდებლობა და მკაფიოდ დადგინდება საჯარო სამსახურის ფარგლები, მათ შორის, დაზუსტდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი ჩარჩო; საჯარო სამსახურში დაინერგება ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების მართვის ოპერაციული სისტემიდან ადამიანური კაპიტალის სტრატეგიული განვითარების სისტემაზე გადასვლას; საჯარო სამსახურის მიმზიდველობის გაზრდისთვის განვითარდება სამოტივაციო პრაქტიკები, თანასწორი და ინკლუზიური დასაქმების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, წახალისდება ოჯახზე მორგებული დასაქმების პოლიტიკა, საჯარო სამსახურში ქალთა მონაწილეობა, მათი ლიდერობა და პროფესიული განვითარება.

მომავალი წლიდან საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერას, რისთვისაც შეიქმნება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა.

გაგრძელდება საკანონმდებლო აქტების კოდიფიკაციის რეფორმა, რომლის ფარგლებში შემუშავდება და საქართველოს პარლამენტს წარედგინება მიწის კოდექსი, აგრეთვე მიღებული იქნება ხანდაზმულ პირთა უფლებების მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო აქტი. საკანონმდებლო რეფორმები კვლავაც წარიმართება სამეცნიერო წრეებთან აქტიური დიალოგის ფონზე.

2028 წლისთვის იუსტიციის სახლის მოქმედების არეალი სრულად დაფარავს ყველა მუნიციპალიტეტს. „მობილური იუსტიციის სახლების“ მეშვეობით 2028 წლისთვის 500-მდე სოფლის მოსახლეს პირდაპირ სახლის კართან მიეწოდება 500-მდე სერვისი.

სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომი გახდება my.gov.ge – მობილური აპლიკაციით. მომსახურების დისტანციური ელექტრონული ფორმა მომხმარებლებს, განსაკუთრებით კი დიასპორის წარმომადგენლებს, გაუმარტივებთ სერვისებზე წვდომას.

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში სერვისების მიწოდების კომპონენტის ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022–2025 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა უმაღლესი სტანდარტით შეიქმნას სერვისები, მოხდეს განფასება, მიწოდება და ხარისხის კონტროლი. შეიქმნება ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) გეოპორტალი, რომელზედაც ქვეყნის ყველა უწყება და სივრცითი მონაცემების მწარმოებელი სუბიექტი განათავსებს ინფორმაციას. საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება საქართველოში არსებული სივრცითი მონაცემები, რომლებიც თავსებადი და შესაბამისი იქნება ევროკავშირის სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურასთან (INSPIRE) და რეგულაციებთან.

დასრულდება დამისამართების პროექტი და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პარლამენტს, ხოლო დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრები დამტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზუსტი მისამართების არსებობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო და კერძო სერვისების დროულ და უფრო ხარისხიან მიწოდებას.

დასრულდება მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი და ქვეყანაში არსებულ მიწის ფონდთან მიმართებით საბოლოოდ დადგინდება, რომელი მიწის ნაკვეთია კერძო, სახელმწიფო თუ მუნიციპალური საკუთრება. პროექტის დასრულების შედეგად ხარისხობრივად გაუმჯობესდება მიწაზე საკუთრების უფლების დაცვა, მიწის ეფექტიანად მართვა, სოფლის მეურნეობის სექტორისა და აგრობიზნესის მართვა.

დაინერგება ახალი გამარტივებული სერვისი – „სასყიდლიანი ხელშეკრულებების რეგისტრაცია“, რომელიც ითვალისწინებს სასყიდლიანი ხელშეკრულების, მათ შორის, იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულების, დარღვევის შემთხვევაში მესაკუთრეთა უფლებების დაცვის/აღდგენის ეფექტიან მექანიზმებს. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე შესაძლებელი გახდება როგორც ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დაკმაყოფილება, ისე საკუთრების უფლების აღდგენა, იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მოიჯარე/დამქირავებელი არ იხდის საიჯარო ქირას/ქირას ან/და ნებაყოფლობით არ ათავისუფლებს უძრავ ქონებას.

ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად, დასრულდება მეწარმე სუბიექტების ხელახალი რეგისტრაციის პროცესი, რის შედეგადაც, საქართველოში რეგისტრირებული ყველა მეწარმე სუბიექტის მონაცემები შესაბამისობაში იქნება ევროკავშირში მოქმედ რეგულაციებთან.

საჯარო რეესტრმა მომხმარებლებს შესთავაზა ახალი, ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სერვისი. დაცული აპლიკაციის მეშვეობით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ან/და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს დისტანციურად, ინტერნეტში ჩართული ელექტრონული მოწყობილობის (კომპიუტერი, ტელეფონი და ა. შ.) საშუალებით შეუძლიათ უძრავ ქონებაზე გარიგებების დადება, ნასყიდობის საფასურის გადახდა და უფლების რეგისტრაცია. აღსანიშნავია, რომ „გონიერი კონტრაქტის“ საშუალებით ხელშეკრულების მხარეები დაცული იქნებიან შესაძლო რისკებისგან. „გონიერი კონტრაქტის“ განვითარების მომდევნო ეტაპზე არსებულ სერვისებს დაემატება შემდეგი ახალი სერვისები: საწარმოს რეგისტრაცია, პარტნიორთა კრების ჩატარება, წილის ნასყიდობა, იჯარის რეგისტრაცია.

თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, დარგობრივ და აკადემიურ სექტორთან, აგრეთვე საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, შეიქმნება საქართველოს ციფრული რუკა. მოხდება საქართველოს ციფრული მმართველობის 2025–2030 წლების სტრატეგიის იმპლემენტაცია, რომელიც საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი, სექტორული პოლიტიკის დოკუმენტია ციფრული მმართველობის სფეროში და ასახავს ციფრული მმართველობის თანამედროვე ტენდენციებს.

მუშაობა გაგრძელდება სანდო მომსახურების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფასა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან (eIDAS 2.0) ჰარმონიზაციაზე, რაც საქართველოში არსებული სანდო მომსახურებების სხვა ქვეყნებში (მათ შორის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში) აღიარებას ისახავს მიზნად. შედეგად, საქართველოს მოქალაქეებსა და რეზიდენტ იურიდიულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა, ელექტრონული ფორმით წარადგინონ საქართველოში მოქმედი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით დამოწმებული დოკუმენტები. გარდა არსებული სანდო მომსახურებების ევროკავშირში აღიარებისა, იგეგმება ციფრული იდენტიფიკაციის სისტემის (Digital ID) განვითარება და მისი მეშვეობით სანდო მომსახურების მიწოდება. „ციფრული ID“ აპრობირებულია მსოფლიოსა და ევროკავშირის ბევრ

ქვეყანაში და ნიშნავს მობილური ტელეფონის გამოყენებას ელექტრონული იდენტიფიკაციის ფუნქციის უზრუნველსაყოფად, ისევე, როგორც ელექტრონული ხელმოწერისა და შტამპის გამოსაყენებლად. „ციფრული ID“ და ციფრული ხელმოწერა, როგორც ელექტრონული იდენტიფიკაციის ცალკე არხი, გაზრდის აღნიშნული სანდო მომსახურების გამოყენებას მოსახლეობასა და ბიზნესსექტორში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის, სახელმწიფოს მიერ დასაძებნი ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზის, საერთაშორისო სასამართლოებსა და არბიტრაჟებში საქმისწარმოების წარმართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო მაცნის მომხმარებელთათვის გამარტივებული სერვისების მიწოდების მიზნით, დაგეგმილია ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვა და გამოყენება. გარდა ამისა, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული მსოფლიო ტენდენციების შესწავლის, ანალიზის, საქართველოს კანონმდებლობის ციფრულ სტანდარტებთან ადაპტირებისთვის საჭირო დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის ბაზაზე შეიქმნება ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი კვლევის ცენტრი.

6.1 **საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 09 01)**

გატარდება ღონისძიებები საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად. მოხდება მოსამართლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა. მოსამართლეებს, რომლებსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არ ექნებათ საცხოვრებელი ბინა, გამოეყოფათ საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის საჭირო ხარჯები;

მოწესრიგდება სასამართლო შენობების იერსახე. სასამართლო შენობებს ჩაუტარდებათ მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შენობები აღიჭურვება ავეჯით, ტექნიკითა და აუცილებელი ინვენტარით. საერთო სასამართლოების სისტემაში დაიხვეწება და გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და არასრულწლოვანთა ინტერესების შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად. განხორციელდება ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (IT) ინფრასტრუქტურის განახლება. საერთო სასამართლოები უზრუნველყოფილი იქნებიან ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით;

ნაფიცი მსაჯულები და მსაჯულობის კანდიდატები უზრუნველყოფილნი იქნებიან კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან.

6.2 **სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)**

ეფექტიანი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; საქართველოს, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, ინსტიტუციური განვითარება და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია;

სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა; სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შესრულების მიზნით სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების პრობლემატიკის შესწავლა; სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე

ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობების შესწავლა და გაანალიზება;

ევროკავშირის სამართალთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნებისთვის სამინისტროს კომპეტენციების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში წინადადებების შემუშავება; ჰარმონიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, სამართლებრივი დაახლოების მეთოდის გამოყენებისას უწყებების სამართლებრივი მხარდაჭერა და მათ მიერ ევროკავშირთან დაახლოების მიზნით შემუშავებული ნორმატიული აქტების ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობის ექსპერტიზა; სამართლებრივი ჰარმონიზაციის დონის შესახებ სრული მონაცემების შეგროვება, ელექტრონულ პლატფორმაზე ასახვა და განახლება; ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკის გამოყენების ხელშეწყობა; ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტირების მიზნით შექმნილ სხვადასხვა ფორმატებში მონაწილეობა, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში აქტივობების დაგეგმვის კოორდინაცია, ანგარიშგების უზრუნველყოფა და ევროკავშირის სამართლის ექსპერტიზა;

არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნების სასამართლოებში კომერციულ და საინვესტიციო დავებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს სახელმწიფოებო ორგანოებში სახელმწიფოთაშორის ან/და ინდივიდუალურ დავებზე სახელმწიფოს წარმომადგენლობა; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა და მასთან სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის კოორდინაცია; საქართველოს სასამართლოებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე სამინისტროს ინტერესების დაცვა; სახელისუფლებო დაწესებულებების წინააღმდეგ დავებში მონაწილეობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით;

სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი შეფასება/ექსპერტიზა მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და სათანადო დასკვნის პროექტის მომზადება; ხელშეკრულების პროექტის სამართლებრივი შეფასება მასში არსებული სამართლებრივი რისკების კუთხით და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება;

კარგი მმართველობის მიმართულებით განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა, სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის ანალიზი, დარგობრივი და შედარებით-სამართლებრივი კვლევების მომზადება, სტრატეგიული მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტების/ინიციატივების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, სამინისტროს ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაძლიერება; ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის შემუშავება; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის მიზნით პოლიტიკის განვითარება.

6.3

**საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 01 03)**

საქართველოს პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, საქართველოს პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების, პოლიტიკური ჯგუფების, უმრავლესობისა და ოპოზიციის, დროებითი საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფა;

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება, კანონპროექტებით უზრუნველყოფა და საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა;

საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და დოკუმენტების გამოქვეყნება;

საქართველოს პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა;

მნიშვნელოვან საკითხებზე თემატური მოკვლევების მომზადება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მართვა, განვითარება და ტექნიკური უზრუნველყოფა;

საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს პარლამენტის გამგებლობისთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა.

6.4

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური (პროგრამული კოდი 05 00)**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართავს და საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობს;

გარე აუდიტის შესაძლებლობებისა და საკანონმდებლო მანდატის გაძლიერება;

სახელმწიფო სახსრებისა, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

საჯარო სექტორში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ფუნქციების და უფლებამოსილებების განხორციელება აღნიშნული სამსახურების ლიკვიდაციიდან გამომდინარე;

აუდიტორული საქმიანობისას გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის გაზრდა;

საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავება;

საერთაშორისო და დონორ პარტნიორ ორგანიზაციებთან პროფესიული თანამშრომლობის გაღრმავება;

აუდიტორთა სერტიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტაჟირების პროგრამის ფარგლებში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

სწავლების ონლაინპლატფორმის შემუშავება და დანერგვა;

ახალი ტრენინგების შემუშავება და განხორციელება, გარემოსდაცვითი პოლიტიკის დანერგვა.

6.5

**საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)**

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალ პროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარება და ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვა მხარეების მიერ საარჩევნო უფლების თავისუფლად განსახორციელებლად ყველა პირობის შექმნა;

ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკისა და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა;

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან, ელექტრონული სერვისების განვითარება;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

6.6

**საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01)**

საქართველოს მოსახლეობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის მინდობილი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა;

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკით და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ქვეყნის დეოკუპაციის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და მათთან შეერთება;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი;

საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

საერთაშორისო საპარლამენტაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფოთა პარლამენტების წევრებთან აქტიური თანამშრომლობა;

საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება და მათ დირექტივებთან ჰარმონიზაცია.

6.7

**სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (პროგრამული კოდი 46 00)**

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) ფარგლებში მოქმედ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობის გაღრმავება;

საერთაშორისო შემფასებელთა საბჭოს (IVS) სრულუფლებიანი წევრობის შენარჩუნება;

საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამედიცინო კვლევის მეთოდების გამოყენება და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება;

საქართველოში ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან შეხვედრების ორგანიზება და სასამართლო ექსპერტიზის მიმართულებით მიმდინარე პროექტებში თანამშრომლობა;

ექსპერტიზის ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ლაბორატორიებისთვის აკრედიტაციის მინიჭება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიწოდებული სერვისების სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება და მომსახურების სფეროს მუდმივი განვითარება;

ექსპერტების პროფესიული ტრენინგებითა და სასწავლო კურსებით უზრუნველყოფა, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, პროფესიულ და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობა და ISO 17025-ის სტანდარტის აკრედიტაციის შენარჩუნება;

ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

6.8

**სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 36 00)**

საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გადახედვა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა;

სამსახურში დასაქმებულ პირთა განგრძობადი განათლების და სათანადო პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა;

სამსახურის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ამ მიზნით ხარისხის შეფასების სისტემის დახვეწა შესაბამისი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვით, ასევე ციფრული ტექნოლოგიების განვითარებით;

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირებისთვის, არასრულწლოვანებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში იურიდიული დახმარების გაწევა;

მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება;

იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ, ასევე სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

სამსახურის ანალიტიკური საქმიანობის და საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესება, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვის, სერვისების გაუმჯობესების და პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანად დანერგვის მიზნით. ასევე სისტემატურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.

სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის რეფორმირება, მათი შერჩევისა და შეფასების პროცესების გაუმჯობესება, ასევე საქმიანობის მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება, აგრეთვე მათი ჩართულობის გაზრდა რეგიონულ და თემატურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების გაწევაში.

**6.9 საპარლამენტო ფრაქციების, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფებისა და ოლქების დელეგატების ბიუროების საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 02)**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ფრაქციების, პოლიტიკური ჯგუფების და დელეგატი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის ხელშეწყობისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე მათი ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, კანონშემოქმედებითი და მაკონტროლებელი (საზედამხედველო) საქმიანობის განსახორციელებლად;

საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების საქმიანობის უზრუნველყოფა.

**6.10 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)**

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის და სხვადასხვა ტიპის დახურულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;

მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა;

წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციისთვის რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების თაობაზე ანგარიშების მომზადება;

სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზედამხედველობა; შესაბამისი რეაგირება, ანგარიშების მომზადება, რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა;

არასრულწლოვანთა დაწესებულებების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება, რეკომენდაციების შემუშავება;

საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

მხილების თაობაზე მომართვების განხილვა;

ადამიანის უფლებების თაობაზე ცნობიერების ასამაღლებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის საინფორმაციო ბიულეტენებისა და სოციალური რეკლამის დამზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განთავსება;

ადამიანის უფლებათა თემებზე პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება; შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის ტრენინგების/ვორქშოპების ორგანიზება;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანასწორობის მექანიზმის ფუნქციების შესრულება;

ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი;

ბავშვთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა;

ქალთა უფლებების, მათ შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა, ანგარიშების მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება;

ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის 24 საათის განმავლობაში მისაღებად მრავალარხიანი საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული დაფარვის გაზრდა და რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა, სპეციალური და საქმიანობის ანგარიშების მომზადება და გავრცელება;

რეკომენდაციების, წინადადებების, ზოგადი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება და ადრესატებისთვის წარდგენა;

ოკუპირებულ ტერიტორიებთან და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;

კონსტიტუციური სარჩელისა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მომზადება და სასამართლოში წარდგენა;

საერთაშორისო ორგანიზაციებში და ადამიანის უფლებების დაცვის საზედამხედველო მექანიზმებში ალტერნატიული/ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენა;

ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების და ოზუდსმენტა საერთაშორისო ქსელებში ჩართულობა და საერთაშორისო აქტებებში აქტიური მონაწილეობა.

6.11

**ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)**

ეროვნული საარქივო ფონდის მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი დოკუმენტებით შევსება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, შენახვის, სათანადო პირობებისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენარჩუნებას, ეროვნული მეხსიერების დაცულობას, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობას;

მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემის, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის და დოკუმენტების (ტექსტური დოკუმენტები, კინოფოტოფონოდოკუმენტები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება;

ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აღრიცხვისა და დაარქივების ავტომატიზებული სისტემის შექმნა;

თბილისში ეროვნული არქივის ცენტრალური შენობის ეზოში დამატებითი საცავის აშენება და აღჭურვა.

6.12

**საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB) (პროგრამული კოდი 26 08)**

მიწის ადმინისტრირების სერვისების გაძლიერება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების (განსაკუთრებით – უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის) გაძლიერება; ძირითადი საკადასტრო და სარეგისტრაციო სისტემების განახლება; შერჩეული ელექტრონული სერვისების განვითარება ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით და ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის დიზაინის შექმნა, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და დანერგვა სხვა ინსტიტუციურ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით (მათ შორის, შესაძლებლობების განვითარებაზე, ტრენინგსა და ცოდნის გაზიარებაზე ფოკუსირებით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვით).

6.13

**პოლიტიკური პარტიების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 03)**

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

### ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT-სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას, ინტერნეტის მიწოდებას, ელექტრონული ფოსტის სერვისს, ონლაინ კომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ერთიანი IT მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვა;

სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე; ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და არსებული პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მათზე ორიენტირებული, ხელმისაწვდომი, ეფექტიანი და გამჭვირვალე ელექტრონული სერვისების მიწოდება ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (my.gov.ge) მეშვეობით;

თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას ინფორმაციული სისტემების ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფა და მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (ინფრასტრუქტურის) მართვა და განვითარება;

დანერგილი „ქლაუდტექნოლოგიის“ (დრუბლოვანი ტექნოლოგიის) მიმართულებით განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების კუთხით; დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ „ქლაუდინფრასტრუქტურით“ (IaaS) სარგებლობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისთვის ელექტრონული სერვისების მიწოდების და მონაცემთა გაცვლის ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა ერთი ფანჯრის პრინციპით;

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენება, რომლის კომპონენტია 3 სახის აპარატურულ-პროგრამული მიმართულება/ინსტრუმენტი: „საქართველოს სამთავრობო კარიბჭე“ – ელექტრონული სერვისების მეშვეობით, უსაფრთხო გარემოში სხვადასხვა ინფორმაციის გაცვლა; „ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი“ – სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისის ყველა დაინტერესებული პირისთვის უსაფრთხო ხელმისაწვდომობა ერთი ფანჯრის პრინციპით;

ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სფეროში სერვისების მიწოდება: ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის განხორციელება; ინფორმაციული უსაფრთხოების შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირება; კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენისთვის გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა;

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სფეროს რეგულირება, აგრეთვე კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების პრევენცია,

გამოვლენა და მათი მართვა.

6.15

**საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02)**

არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება.

6.16

**სსიპ - სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 51 00)**

სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან/საჯარო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების გამართვა სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მიზნობრივი პროგრამების განსაზღვრის მიზნით;

საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საგანმანათლებლო და სხვა შესაბამის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მხარდამჭერი პროგრამების შემუშავების მიზნით კონსულტაციების გამართვა;

მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო გრანტის გაცემის მიზნით საჯარო კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა;

საგრანტო განაცხადების განმხილველი საბჭოს მიერ შერჩეულ კანდიდატებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება და საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;

პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მიზნობრივი პროგრამების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება;

სახელმწიფო გრანტის გაცემის გზით საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა და ხელშეწყობა;

სააგენტოს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა;

სააგენტოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და პარტნიორობის უზრუნველყოფა.

6.17

**სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები (პროგრამული კოდი 11 00 – 19 00)**

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინაციით მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავება;

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადება;

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი.

6.18

**სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 52 00)**

სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა;

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრება;

სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა;

ქართველური ენების ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, შენახვა, სისტემური კვლევა და განვითარება;

საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ენის, როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის, დაცვა და წარმოჩენა;

აფხაზური ენის სწავლების დისტანციური კურსის შექმნა, აგრეთვე ოკუპირებული, საზღვრისპირა და სხვა რეგიონების ტოპონიმების დადგენა;

ოფიციალურ დოკუმენტებში გვარ-სახელების მართლწერისა და ტრანსლიტერაციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა;

გაეროს და ევროკავშირის ოფიციალური და სამუშაო ენების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების დადგენა და დამტკიცება;

საქართველოს სახელმწიფო ენების (ქართული ენისა – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზური ენისა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე) ფუნქციონირების, დაცვის, კვლევისა და განვითარების მიზნით სახელმწიფო ენის ინტერნეტპორტალის – მრავალფუნქციური საინფორმაციო პლატფორმის – შექმნა, რომელიც ასახავს საქართველოს მთავრობის ენობრივი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყველა ასპექტის შესახებ ამომწურავი, დეტალური ინფორმაციის მიღება.

6.19

**იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 07)**

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

თითოეული მომხმარებლის, მათ შორის, ბიზნესის, ინტერესზე ორიენტირებულობა; სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადმინისტრაციული პროცედურებისთვის საჭირო დროის შემცირება; დამატებით რამდენიმე სახელმწიფო და კერძო სერვისის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ენერგეტიკისა და წყლის კომპანიების და კერძო სექტორის სერვისების) დანერგვა;

იუსტიციის სახლის სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში;

არსებული სერვისების ოპტიმიზაცია და რედიზაინი; თითოეული პროდუქტისთვის სერვისის მიწოდების პროცესის აღმწერი დოკუმენტების შექმნა, ორგანიზაციის პროცესების ურთიერთქმედების რუკის შემუშავება, საოპერაციო პროცედურების გამართვა და განახლება სერვისების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად;

იუსტიციის სახლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მომხმარებლისთვის მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების მიზნით;

იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოების, სტრუქტურული ერთეულებისა და მობილური იუსტიციის სახლების მეშვეობით სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა თითოეული მოქალაქისთვის დიდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, აგრეთვე მრავალმოსახლიან და მუნიციპალიტეტების ცენტრებიდან მოშორებულ სოფლებში, სადაც მოსახლეობას საშუალება ექნება სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორების სერვისებით;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების გახსნა.

7 **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. მომდევნო წლებში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულება, რის შემდეგაც, დამატებით 6 000 დევნილი ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით და დაიხურება დევნილთა ყველა კოლექტიური განსახლების ცენტრი, მათი ტექნიკური მდგომარეობის მიუხედავად. დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა დასაქმების მხარდამჭერი სხვადასხვა სახის პროგრამების განვითარებით;

ეკომიგრანტების განსახლების პროგრამის გაგრძელება. სტიქიით დაზარალებული 1 000-ზე მეტი ოჯახის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა უსაფრთხო გარემოში. 2025 წელს 1 000 უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება და მის ფარგლებში იდენტიფიცირებული, საჭიროების მქონე ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი პირობებით;

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების გაგრძელება და მათ მხარდასაჭერად სხვადასხვა სოციალური ბენეფიტების განვითარება;

გარდა ამისა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად შეიქმნება და განვითარდება სხვადასხვა სერვისი.

7.1 **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 06)**

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარებით უზრუნველყოფა;

ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა გრძელვადიანი განსახლება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სერვისის შექმნა და განვითარება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.

7.1.1 **სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (პროგრამული კოდი 27 06 01)**

საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან და სხვა გეოგრაფიული არეალებიდან დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ შორის, მათთვის სხვადასხვა სარეინტეგრაციო მომსახურების გაწევა: სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;

შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება;

პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; დროებითი საცხოვრებლის უზრუნველყოფა.

7.1.2

**ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (პროგრამული კოდი 27 06 02)**

ეკომიგრანტთათვის საცხოვრებელი სახლების შეძენა;

ეკომიგრანტთა დროებითი განსახლება.

7.1.3

**იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (პროგრამული კოდი 27 06 03)**

მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა ქვეყნის მასშტაბით (გრძელვადიანი განსახლება);

მენაშენებისგან ბინების (კორპუსების) შესყიდვა ქვეყნის მასშტაბით (გრძელვადიანი განსახლება);

ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახების მიერ შერჩეული/წარმოდგენილი საცხოვრებელი ბინების შესყიდვა (გრძელვადიანი განსახლება);

სახლების შესყიდვა და დევნილი ოჯახებისთვის სულადობის მიხედვით საკუთრებაში გადაცემა (გრძელვადიანი განსახლება);

კერძო მესაკუთრებისგან ობიექტების გამოსყიდვა (იდენტიფიცირებული იქნება კოლექტიური ცენტრები, რომლებიც კერძო საკუთრებაშია, მაგრამ მისაღებია დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის) და მათი დევნილებისთვის საკუთრებაში გადაცემა (გრძელვადიანი განსახლება);

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დევნილთა მართლზომიერ სარგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა/დაკანონება (გრძელვადიანი განსახლება);

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათთვის ფულადი დახმარებების გაცემა და დროებითი საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის დევნილთა მატერიალური უზრუნველყოფა (ფულადი დახმარება);

დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება და მათ მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები);

კომპეტენციის ფარგლებში დევნილთა მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის საერთო სარგებლობის ფართობის გადაცემა და ამ მიზნით ყველა საჭირო ღონისძიების უზრუნველყოფა კანონმდებლობის შესაბამისად (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა);

დევენილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში და ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტებში კანონმდებლობით დადგენილი წესით ბუნებრივი აირის ქსელზე მიერთების სამუშაოების განხორციელება და ელექტროენერგიით, წყლისა და წყალარინების სისტემებით უზრუნველყოფა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები);

სავალალო მდგომარეობაში არსებული დევენილთა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების (გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც სრულად კერძო საკუთრებაშია) შესწავლა და რეაბილიტაცია;

დევენილთა ყოფილი ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება (ადმინისტრაციული ხარჯი).

7.1.4

**საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 06 04)**

ქართული ენის შემსწავლელი კურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ საინფორმაციო კურსების ორგანიზება;

საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საინფორმაციო კურსების ორგანიზება;

საქართველოს კანონმდებლობის იმ მიმართულებების შესახებ საინფორმაციო კურსის ორგანიზება, რომლებიც დაეხმარება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებაში, განათლების მიღებაში და სხვა;

სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;

საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

7.1.5

**საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 27 06 05)**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინტეგრაციისთვის მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

7.2

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)**

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის, მათ შორის, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, განხორციელება და კოორდინაცია, ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის – ჩართულობა თანამშრომლობის გზით, აგრეთვე ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება, სამშვიდობო ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების კოორდინაცია, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისება, ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული სტატუსნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების, მათ შორის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ გამოყენებით; გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური სივრცის, არსებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ახალი სერვისების დანერგვა და ამოქმედება;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მასალისა და ტექნიკის, მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდებისა და მავნებლებთან ბრძოლაში დახმარების გაწევის ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვის, ბუნებრივ და ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფებზე რეაგირების ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ხარისხიანი განათლების ყველა საფეხურის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, აგრეთვე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა; მათი პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის ხელშეწყობა; მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების უზრუნველყოფა სტატუსნიტრალური მექანიზმის გამოყენებით; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების მიერ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების ხელშეწყობა; მათთვის სასწავლო პროცესის სხვადასხვა (მათ შორის, დისტანციური) ფორმით შეთავაზების მხარდაჭერა; აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სამეცნიერო პროგრამებში ჩართვის გამარტივება და სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივება და გაუმჯობესება; მოქალაქის პასპორტის ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო აქტების გაცემის გამარტივების ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სახელმწიფო რეფერალურ და სხვა შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ოკუპირებული ტერიტორიებისთვის სხვადასხვა მედიკამენტისა და სამედიცინო ტექნიკის მიწოდება;

ევროინტეგრაციის პროცესის სხვადასხვა საჭირო საკითხზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ცნობიერების ამაღლება; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მათ შორის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან, და საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლიდან გამომდინარე ყველა სარგებლისა და შესაძლებლობის შეთავაზება;

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინაცია; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი ჩართულობისა და საქმიანობის ხელშეწყობა; ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელება; არაფორმალური დიალოგის სხვადასხვა პლატფორმისა და ორმხრივი შეხვედრების მხარდაჭერა;

საერთაშორისო პარტნიორებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება; ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა; გალსა და ერგნეთში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში მონაწილეობა; საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში, საერთაშორისო ფორუმებსა და ფორმატებში მონაწილეობა;

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ფინანსური დახმარების მობილიზება;

1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების, იდენტიფიცირებისა და ოჯახებისთვის გადაცემის პროგრამის შემდგომი მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციის ფარგლებში უზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიებისა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება;

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, 1992-1993 წლების შეიარაღებულ კონფლიქტსა და მის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების საკითხებზე ჩამოყალიბებულ ქართულ-აფხაზურ საკოორდინაციო მექანიზმსა და სამედიცინო ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე საინფორმაციო სესიებში, საკოორდინაციო და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა; მათი იდენტიფიკაციის მიზნით ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფაში მონაწილეობა; პირთა უგზო-უკვლოდ დაკარგვის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სიმბოლური/მემორიალური ღონისძიებების ორგანიზება; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან შეხვედრა და კომპეტენციის ფარგლებში მათი საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება; პოტენციური სამარხების მდებარეობის განსაზღვრა და სამარხების გახსნის დაგეგმვა; ნეშტების ექსპუნირებასა და იდენტიფიცირებაში მონაწილეობა; ოჯახის წევრების ინფორმირება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედის შესახებ, ხოლო მათი გარდაცვალების დადასტურების შემთხვევაში – ნეშტების ადგილსამყოფლის თაობაზე; ოჯახის წევრებისთვის მათი ნეშტების გადაცემა, ამოცნობილი ნეშტების დაკრძალვის ორგანიზება და ხარჯების დაფარვის კოორდინაცია; გენეტიკური საექსპერტო მომსახურების გაწევა, კერძოდ: უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების ბიოლოგიური ნიმუშების აღება, დაარქივება (შენახვა) და შემდგომი გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება;

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან თანამშრომლობა, მათ შორის, არსებული პლატფორმების ფარგლებში;

სამშვიდობო პროცესში ქალთა და ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, აგრეთვე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების როლისა და ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა; კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირება; თანამშრომლობის პლატფორმების ეფექტიანი ფუნქციონირება;

სამშვიდობო პროცესში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და, ზოგადად, დაინტერესებული ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;

გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეობა; გამყოფი ხაზების სიახლოვეს მდებარე რეგიონების განვითარების ხელშეწყობა; გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა, ზამთრის პერიოდში მისი გათბობით უზრუნველყოფა; მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დაზარალებულ სოფლებში ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა;

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და შეუქცევია პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; შესაბამისი პოლიტიკის განსახორციელებლად განსაზღვრული ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით – სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათაშორისი დიალოგი – განსაზღვრული მიზნებისა და დაგეგმილი კონკრეტული ამოცანების ეფექტიანი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიული პრიორიტეტების, თითოეული დასახული ამოცანის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიზნით ეფექტიანი მექანიზმების განვითარება და ხელშეწყობი მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, აგრეთვე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის პროაქტიული მიდგომების დანერგვასა და თანასწორობაზე ფოკუსირებული პოლიტიკისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება); სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება ზრდასრულ მოსახლეობაში; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, მისი ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა; სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა;

ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად;

განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ პირები და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა; სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში;

მმართველობისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება; ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება; მედიაწიგნიერების განვითარების მხარდაჭერა; ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის, ასევე, ანტიდისკრიმინაციულ და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება; მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა;

სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება;

კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის განვითარება.

**8 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის დარგები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობის გაძლიერებაში. აღნიშნული მიმართულებები ხელს უწყობს არა მხოლოდ სოციალურ და კულტურულ პროგრესს, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე და ასევე საგულისხმო როლი აქვს საერთაშორისო არენაზე ქვეყნის პოზიციონირებისა და საერთაშორისო რეპუტაციის განმტკიცებისთვის;

საქართველოში, როგორც კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერა, ისე სპორტის დარგების განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტული მიმართულებებია. შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად, დარგობრივი სამინისტროების დამოუკიდებლად შექმნა კულტურისა და სპორტის სფეროებში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და დასახული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას მნიშვნელოვნად დაეხმარება. ამასთანავე, აღნიშნული ხელს შეუწყობს ამ უმნიშვნელოვანესი დარგების უფრო სწრაფი განვითარების დამატებითი მექანიზმის შექმნასა და სახელმწიფოს მხარდაჭერის გაძლიერებას;

აღნიშნული მიდგომა შექმნის კულტურის შესაბამისი დარგების განვითარებისა და მათი მართვის თანამედროვე მოდელის ჩამოყალიბების საფუძველს და მოემსახურება კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, კულტურის ხელმისაწვდომობას, შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებასა და ხელოვანთა მხარდაჭერას. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სპორტის სფეროს მენეჯმენტის სისტემა, რაც, თავის მხრივ, ფინანსების ეფექტიან ხარჯვას, და ამ სფეროში ჩართული სუბიექტების საჭიროებების დაკმაყოფილებას ხელს შეუწყობს. აღნიშნული ასევე დადებითად აისახება მაღალი მიღწევების სპორტის შედეგებსა და მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე;

საქართველოს მთავრობის ხედვა კულტურის ხელშეწყობისა და ხელოვნების დარგების განვითარების მიმართულებით ეფუძნება კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ხელშეწყობას, ეროვნული იდენტობის დაცვას, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვასა და ქვეყნის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოყენებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას – ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, ვიზუალური ხელოვნების, ფოლკლორის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარების, ეროვნული კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების საერთაშორისო პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის, კულტურის ხელმისაწვდომობისა და სახელოვნებო განათლების განვითარების მიმართულებით. ამასთანავე, საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება ყოველწლიურად გაიზრდება;

კულტურის ხელმისაწვდომობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით, ყოველწლიურად განხორციელდება 450-მდე პროექტი, მათ შორის, იქნება პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალმთიან, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთა, აგრეთვე ქალების, ბავშვების, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური

უმცირესობების კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაციას;

კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ყოველწლიურად დაიგეგმება სხვადასხვა კონკურსისა თუ არასაკონკურსო პროექტის განხორციელება, რომელთა მიზანი იქნება: ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობა; ქართული თეატრისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; ქართული კინოს ხელშეწყობა; სახვითი და თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; ქართული ფოლკლორის ხელშეწყობა; სამუზეუმო საქმიანობის განვითარება; სამუზეუმო ფონდების შევსება; ქვეყნის კულტურის წარმოჩენა მნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებზე; საერთაშორისო ღონისძიებების საქართველოში მასპინძლობა; კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტების შემუშავება/რეაბილიტაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და შენარჩუნებისთვის საპროექტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. სულ, ყოველწლიურად, 600-მდე პროექტი განხორციელდება;

2025–2028 წლებში სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში გატარდება ღონისძიებები საგანმანათლებლო პროგრამების კულტურის სფეროს საჭიროებებთან შეთავსების, ახალი პროგრამების, მათ შორის, პროფესიული პროგრამების ხელშეწყობის კუთხით. გაგრძელდება ახალი კადრების მოზიდვა, ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობა, სტუდენტთა და აკადემიური კადრების მობილობა და გამოცდილების გაზიარება საზღვარგარეთის მოწინავე სახელოვნებო სასწავლებლებთან;

2025–2028 წლებში გაგრძელდება სკოლისგარეშე (არაფორმალური) სახელოვნებო სასწავლებლების დაფინანსება და მათი ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა, ასევე სასწავლებლების ინფრასტრუქტურული და მატერიალური ბაზებისა და ფონდების განახლების მხარდაჭერა;

ქართული კინოსა და თეატრალური ხელოვნების განვითარების მიზნით, კონკურსებისა და არასაკონკურსოდ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ხელი შეეწყობა არანაკლებ 1 500-მდე ხელოვანსა და ორგანიზაციას. გაგრძელდება ქართული ფილმების გაციფრულება;

სახვითი და თანამედროვე ხელოვნების განვითარების მიმართულებით, კონკურსებისა და არასაკონკურსოდ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ხელი შეეწყობა 200-მდე ხელოვანსა და ორგანიზაციას, ასევე ხელი შეეწყობა ყოველწლიურად ხელოვანთა საიუბილეო წიგნ-ალბომის გამოცემას;

ქართული პროფესიული მუსიკის განვითარების მიმართულებით, კონკურსებისა და არასაკონკურსოდ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ხელი შეეწყობა 250-მდე ხელოვანსა და ორგანიზაციას, ასევე პროფესიული კონკურსებისა და ფესტივალების ჩატარებას; გაგრძელდება ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების ელექტრონული ვერსიების მომზადება/გამოცემა/ვებპორტალზე განთავსება; შეიქმნება ქართული საკომპოზიტორო მემკვიდრეობის, მათ შორის, პარტიტურის ელექტრონული ვერსიები;

გაგრძელდება შემოქმედებითი ინდუსტრიის ხელშეწყობისა და განვითარების მიმართულებით კონკურსებისა და პროექტების დაფინანსება;

კულტურის პოპულარიზაციის მიმართულებით დაფინანსდება სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ორგანიზაციების, სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და ხელოვანთა (ფიზიკური პირების) საქართველოსა და საზღვარგარეთ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა; გარდა ამისა, წარმატებული შემოქმედებითი ორგანიზაციების, ხელოვანთა (მათ შორის, სტუდენტთა) საზღვარგარეთ განათლებისა და საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით წლის განმავლობაში

დაფინანსდება 60-ზე მეტი პროექტი;

სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით, წლის განმავლობაში, როგორც საკონკურსო, ისე არასაკონკურსო გზით, დაფინანსდება 30-მდე პროექტი; სამუსიკო სასწავლებლებში გაგრძელდება ინსტრუმენტების ბაზის განახლება; განხორციელდება რეგიონებში სამუსიკო სკოლების დათვალიერება ნორჩი პერსპექტიული, ნიჭიერი მუსიკოსების გამოვლენისა და მათი ხელშეწყობის მიზნით;

მუზეუმების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონულ სისტემაში აღრიცხვისა და სამუზეუმო ფონდებისთვის ნამუშევრების შექმნის ღონისძიებები. გაგრძელდება სამუზეუმო ფონდების ხელოვნების ნიმუშებითა და არტეფაქტებით შევსება; თანამშრომლობა დამყარდება მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ მუზეუმთან; ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის/სახვითი ხელოვნების გამოფენების ჩატარებას; გაგრძელდება მუზეუმებში კადრების განახლება და გადამზადება;

მომდევნო წლებში, ყოველწლიურად, ქართული კულტურა წარმოდგენილი იქნება საზღვარგარეთ ფესტივალსა და სხვადასხვა სახელოვნებო ფორუმზე. ქართული კულტურისა და ქართველ ხელოვანთა პოპულარიზაციის მიზნით, საზღვარგარეთ არანაკლებ 15 პროექტის განხორციელებას შეეწყობა ხელი; გაგრძელდება ლევილის მამულის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ის ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცევა ევროპაში. ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ ქართული თეატრების, ანსამბლების, ფოლკლორული გუნდების გასტროლებს, ქართული კულტურის დღეების ჩატარებას, ახალგაზრდა ხელოვანთა სახელოვნებო-შემოქმედებით რეზიდენციებში საქმიანობას;

გაგრძელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართულებით სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, გადაიდგმება ნაბიჯები ადამიანური რესურსების, ადმინისტრაციული და პროფესიული კადრების მოზიდვის, გადამზადებისა და განახლების/განვითარების მიზნით;

ხელი შეეწყობა, ყოველწლიურად: მუსიკის, კინოს, თეატრის, სახვითი ხელოვნების, ფოლკლორის, ლიტერატურის არანაკლებ 15 ფესტივალის ჩატარებას; გამოჩენილ ხელოვანთა 30-მდე საიუბილეო თარიღის აღნიშვნას; 10-მდე წიგნ-ალბომის გამოცემას; 10-მდე კულტურულ/შემეცნებით პროექტს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისთვის;

ყოველწლიურად მუსიკის, ფოლკლორის, სახვითი ხელოვნების მიმართულებით ჩატარდება არანაკლებ 50 მასტერკლასი და 3 პროფესიული კონკურსი; განახლდება სამინისტროს სისტემაში მოქმედი სამუსიკო სასწავლებლების, აგრეთვე სხვა სასწავლებლების, ორკესტრების ინსტრუმენტული ფონდები;

გაგრძელდება რეგიონების კულტურული პროექტების მხარდაჭერა და მიზნობრივი პროგრამების განხორციელება;

რეაბილიტაცია ჩაუტარდება, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება და ფუნქციონირებას განაახლებს: სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმი; გაიხსნება გრაკლიანი გორის არქეოლოგიური მუზეუმი და დასრულდება არქეოლოგიური მუზეუმის – „გადაჭრილი გორის“ მშენებლობა; დასრულდება ლევილის მამულის შატოს ფასადისა და ინტერიერის სრული რეაბილიტაცია, მეგრული ოდის მოწყობა; 2025 წელს დასრულდება ჭიათურისა და მესხეთის სახელმწიფო თეატრების, ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობების რეაბილიტაცია. ამასთანავე, ყოველწლიურად განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების კვლევითი, საპროექტო, სარეაბილიტაციო სამუშაოები, არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია;

გაგრძელდება ქართული თეატრის, კინოს, საკომპოზიტორო შემოქმედების, სახვითი ხელოვნების, ფოლკლორის, ლიტერატურული თარგმანების, სამუზეუმო ფასეულობათა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ვებპორტალების განვითარების მხარდაჭერა;

სახელმწიფო ხელს შეუწყობს საქართველოს სახალხო არტისტების, საქართველოს სახალხო მხატვრების, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატების, ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ღვაწლის დაფასებას, სოციალური და შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესებას;

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ქართული სპორტის ღირსეულად წარმოჩენას საერთაშორისო სარბიელზე. ამისთვის გაიზრდება სახელმწიფოს მიერ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის დაფინანსება. შემუშავდება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია. მუნიციპალიტეტებში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების მხარდაჭერის მიზნით დაიწყება 2 მილიარდი ლარის მოცულობის ახალი პროგრამა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების/სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, რომლებიც მოიცავს საფეხბურთო და სარაგბო მოედნებს, სხვადასხვა სპორტის სახეობისთვის ინფრასტრუქტურასა და საცურაო აუზებს;

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობას, სპორტული ნიჭის მქონე ბავშვების გამოვლენასა და მათ კარიერულ განვითარებას;

შემუშავდება და განხორციელდება მასობრივი სპორტის სამდონიანი (სკოლამდელი, სასკოლო და საუნივერსიტეტო) პოლიტიკა. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იქნება პარასპორტის განვითარება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპორტულ აქტივობებში ჩართვა. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშესაწყობად ჩამოყალიბდება ინსტიტუციური საფუძვლები, განისაზღვრება დაფინანსების ეფექტიანი პრინციპები და მექანიზმები;

ყურადღება დაეთმობა სპორტული განათლების განვითარებას სწავლის ყველა საფეხურზე, შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების სპორტული განათლების სისტემა, რომელიც მოემსახურება როგორც მასობრივ, ისე მაღალი მიღწევების სპორტს. თითოეული სპორტის სახეობისათვის გადამზადდებიან მწვრთნელები, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს სხვა სპეციალისტები, დარგის განვითარებისთვის საჭირო რაოდენობის გათვალისწინებით. უმაღლესი და პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვება თანამედროვე სასწავლო, საწვრთნელი და სამეცნიერო ინფრასტრუქტურით. სპორტის სფეროში დაინერგება სამწვრთნელო და სხვა ტიპის საქმიანობის სერტიფიცირების სისტემა;

ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში დაინერგება ფიზიკური აღზრდის ელემენტები. ქვეყანაში იმოქმედებს კლასგარეშე და სასკოლო კლუბების, ასევე სტუდენტური საუნივერსიტეტო ლიგების სისტემა. ყოველწლიურად გაიმართება ახალგაზრდული ეროვნული თამაშები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამოქმედდება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების აღმოჩენის, შერჩევისა და მათი სპორტული განვითარების მექანიზმები;

გაგრძელდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო ჩემპიონატების/ტურნირების საქართველოში მასპინძლობისათვის აქტიური მხარდაჭერა, კერძოდ, საქართველო უმასპინძლებს ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატს, გაიმართება ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი – „ბაკურიანი 2025“; ქალაქ თბილისში გაიმართება ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონატი (2025 წელს); გაიმართება ქალთა შორის მსოფლიო თასის გათამაშება ჭადრაკში (2025 წელს); საქართველოში ჩატარდება ძიუდოში ევროპის ჩემპიონატი (2026 წელს);

გარდა ამისა, განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები: აშენდება 70 ათას მაყურებელზე გათვლილი, „უეფას“ ყველაზე მაღალი სტანდარტის მეოთხე კატეგორიის სტადიონი, სადაც ასევე გაიმართება რაგბის თამაშები, კონცერტები და სხვა მასშტაბური კულტურული ღონისძიებები; აშენდება ყინულის სასახლე (განკუთვნილი ფიგურული ციგურაობისა და ყინულის ჰოკეისათვის); ქალაქ ფოთში, მალთაყვაში, დასრულდება კანოე და ნიჩბოსნობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა; რეაბილიტაცია ჩაუტარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრს (იგეგმება სპორტსმენთა საერთო საცხოვრებლის, მიუდოს დარბაზის, ახალი მრავალპროფილური ორსართულიანი სპორტული დარბაზის მშენებლობა/რეაბილიტაცია); სოფელ დილომში დასრულდება სპორტული ბაზის რეაბილიტაცია; ლენტეხის მუნიციპალიტეტში დასრულდება „აილამას სამთო ბანაკის“ მშენებლობა; დასრულდება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის ევროპული სტანდარტების შესაბამისი შენობის მშენებლობა;

საქართველოს მთავრობა აღიარებს ახალგაზრდების მნიშვნელოვან როლს ქვეყნის მომავლის განვითარებაში, შესაბამისად, მისი პოლიტიკა მიზნად ისახავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებასა და პოტენციალის სრულად რეალიზებას;

ჩამოყალიბდება ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მრავალკომპონენტური ინოვაციური ეკოსისტემა, რომელიც ახალგაზრდების მნიშვნელოვან საჭიროებებს უპასუხებს;

მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების დაფინანსება და გაფართოვდება ახალგაზრდული სერვისები (საგრანტო კონკურსები, სტაჟირება). ამასთანავე, გაგრძელდება და კიდევ უფრო გაუმჯობესდება ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსების მიზნობრივი პროგრამები;

პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის შემუშავდება „სტარტაპების“ სისტემა და განხორციელდება სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა;

სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდება ახალგაზრდა ინოვატორთა მხარდაჭერის პროგრამა, უპირატესად, ტექნოლოგიებისა და STEM მიმართულებით;

მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება ახალგაზრდული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, განახლდება ახალგაზრდული ბანაკები და სივრცეები;

ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში განხორციელდება საერთაშორისო გაცვლითი სტუდენტური ბანაკები, რაც საშუალებას მოგვცემს ასობით ქართველმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდულ საერთაშორისო ღონისძიებებში.

## 8.1 მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 34 02)

საქართველოში სპორტის განვითარებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, ეროვნული ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები, 2026 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრებები და სხვა) მონაწილეობა; მათი მომზადების ეტაპზე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა;

მასობრივი სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია; მოძრაობის

„სპორტი ყველასათვის“ განვითარება; მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამართვა; ოლიმპიური, პარალიმპიური, სურდლიმპიური, სპეციალური ოლიმპიური და სხვა მოძრაობების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;

სპორტულ ორგანიზაციებში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დასანერგად დაგეგმვის ეტაპზე მონაწილეობა და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგი;

სპორტული ფედერაციებისა და რეგიონული სპორტული ორგანიზაციებისთვის გადასაცემად სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შეძენა;

საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზება; საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის გაზრდა და იმიჯის ამაღლება, სპორტული ტურიზმის განვითარება;

საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე კლუბების მხარდაჭერა;

მასობრივი საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამების განხორციელება.

8.2

### **კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 02)**

კულტურის დარგების განვითარების, სახელოვნებო ტრადიციების შენარჩუნების, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მხარდაჭერა;

სახელოვნებო განათლების განვითარება;

საქართველოში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, მასში საზოგადოებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის მხარდაჭერა;

ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის გაზრდა და მათი საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრაცია;

საქართველოს კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელოვნებო ორგანიზაციების პროგრამების მხარდაჭერა;

მოქალაქეთათვის ქვეყნის კულტურული ცხოვრების შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მასში ჩართულობის უზრუნველყოფა;

ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო ცნობადობის ასამაღლებლად, ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა;

ევროპისა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით კულტურული პროგრამების განხორციელება და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში კულტურული პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა.

8.3

### **მაუწყებლობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 42 00)**

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების მომზადება და მათი გაშუქების უზრუნველყოფა.

8.4

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 03)**

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, სამუზეუმო ფასეულობათა დაცვისთვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, მუზეუმების/მუზეუმ-ნაკრძალების პოპულარიზაცია და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაცია;

სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის – საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის ([www.egmc.gov.ge](http://www.egmc.gov.ge)) შენახვა/ადმინისტრირება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და რეაბილიტაცია;

არქეოლოგიური ობიექტების შესწავლა-კონსერვაცია;

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია, საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა და განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

იუნესკოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, მათი დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შექმნა;

საქართველოს კანონმდებლობის იუნესკოს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან ჰარმონიზაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შესაქმნელად კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა;

კულტურული ტურიზმის განვითარების და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

ლევლის მამულის რეაბილიტაციის გაგრძელება;

საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა.

8.5

**სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 34 03)**

საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორებისთვის, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულთათვის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისთვის, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრებისთვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისა და პერსპექტიული სპორტსმენებისთვის ყოველთვიური სტიპენდიების გაცემა;

ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა;

მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა.

8.6 **ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 33 07)**

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფრასტრუქტურის განვითარება, რეაბილიტაცია/მშენებლობა/აღჭურვა.

8.7 **საქართველოს საპატრიარქო (პროგრამული კოდი 45 00)**

ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში) საქართველოს საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაციის დაფინანსება.

8.8 **ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 08)**

ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ინიციატივების მხარდაჭერა;

ახალგაზრდულ თემატიკაზე და ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტების/პირების განვითარების ხელშეწყობა;

ახალგაზრდული ცენტრების/სივრცეების მოწყობისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა; ახალგაზრდული ბანაკების განხორციელება;

მრავალფეროვანი ახალგაზრდული ღონისძიებების (მათ შორის, ფესტივალები, მონახალისეობრივი პროექტები, ფორუმები, ინსპირაციული შეხვედრები, კონკურსები და სხვა) ორგანიზება და ახალგაზრდების ჩართვის ხელშეწყობა;

საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით.

8.9 **კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)**

საქართველოს კულტურის სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

კულტურის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა;

ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში კულტურის სფეროს პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეფექტიანი პოლიტიკის გატარება, ამ სფეროს განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

8.10 **სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 34 04)**

საქართველოს სპორტის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის განვითარება;

სპორტის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია.

8.11 **სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (პროგრამული კოდი 50 00)**

საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

8.12 **საქართველოს სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)**

საქართველოს სპორტის სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

სპორტის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა;

ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში სპორტის სფეროს პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეფექტიანი პოლიტიკის გატარება, ამ სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

8.13 **სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და ლაურეატების სტიპენდიები და სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 33 06)**

სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისა და ხელოვნების მუშაკებისთვის სოციალური დახმარებების გაცემა.

9 **საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია**

საქართველოს მთავრობის ხედვა საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის მიმართულებით ორიენტირებულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენისა და სუვერენიტეტის განმტკიცებაზე, რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასა და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე;

2020–2024 წლები უპრეცედენტო საერთაშორისო ტურბულენტობით აღინიშნა. რუსეთ-უკრაინის ომმა საფუძვლიანად შეარყია საერთაშორისო წესრიგი და როგორც ევროპულ, ისე გლობალურ უსაფრთხოებას ეგზისტენციალური საფრთხე შეუქმნა;

ასეთ კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს საგარეო პოლიტიკა სიმტკიცითა და თანამიმდევრულობით გამოირჩეოდა და ემყარებოდა როგორც ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფუნდამენტურ ღირებულებებსა და ფასეულობებს, ისე საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპებისადმი საქართველოს ერთგულებას;

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ურყეობა გარანტირებული იქნება მომდევნო წლებშიც; საქართველო გააგრძელებს მტკიცე, პრაგმატული და შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას;

საქართველოს მთავრობისთვის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა; ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო დღის წესრიგში საკითხის მაღალი დონის შენარჩუნება და მხარდაჭერის გაძლიერება;

საქართველოს ხელისუფლება აქტიურ მუშაობას გააგრძელებს და ყველა შესაძლო დიპლომატიურ და სამართლებრივ ბერკეტს გამოიყენებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის, რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯების აღკვეთის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის, საოკუპაციო ხაზით გაყოფილი მოსახლეობის შერიგებისა და ნდობის აღდგენის მიმართულებებით საერთაშორისო მხარდაჭერისა და ძალისხმევის უზრუნველყოფისათვის, რაც უმნიშვნელოვანესია რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემოს ფონზე;

აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება როგორც ცალკეულ ქვეყნებთან, ისე შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგსა და ყველა შესაბამის ფორმატში აქტიურად იდგეს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხები და ზემოხსენებული ამოცანების შესასრულებლად გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები;

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილება ე. წ. განგრძობადი ოკუპაციის საქმეზე აქტიურად იქნება გამოყენებული ყველა შესაძლო სამართლებრივ და პოლიტიკურ ფორმატებში სახელმწიფო სუვერენიტეტის განსამტკიცებლად და დევნილთა საცხოვრებელ ადგილებზე დასაბრუნებლად. საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვა სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოებში გაგრძელდება;

საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მოგებული სახელმწიფოთაშორისი დავების აღსრულების ღონისძიებების ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში გაგრძელება;

საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის გაგრძელებისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისკენ. ამასთანავე, ამ პროცესის გასაძლიერებლად და ხელშესახები შედეგის მისაღწევად უფრო აქტიური მუშაობა გაგრძელდება. თანათავმჯდომარე ორგანიზაციებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ასევე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა გაგრძელდება, დეოკუპაციის პროცესის უფრო ქმედითი მხარდაჭერისთვის;

საქართველოს მთავრობა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე ჰუმანიტარული საკითხებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით საერთაშორისო მხარდაჭერისა და ძალისხმევის

უზრუნველყოფის მიზნით აქტიურ მუშაობას გააგრძელებს;

ევროკავშირისთვის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრულად განსახორციელებლად, განსაკუთრებული პრიორიტეტია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე წვდომის უზრუნველყოფა. ამასთანავე, გაგრძელდება საქმიანობა ადგილზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების დაშვებისთვის;

აქტიურად გაგრძელდება არაღიარების პოლიტიკის შემდგომი განმტკიცება საერთაშორისო არენაზე, რათა ეფექტიანად დავეუპირისპირდეთ რუსეთის ფედერაციის მცდელობებს, რომ ე. წ. აღიარებით მიაღწიოს საერთაშორისო დონეზე მისი საოკუპაციო რეჟიმების ლეგიტიმაციას და აირიდოს პასუხისმგებლობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციისა და ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის;

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე ოკუპაციით შექმნილი მძიმე რეალობისა და არსებული გამოწვევების მიუხედავად, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განუხრელი, პრაგმატული და თანამიმდევრული განხორციელების აქტიური გაგრძელება, რომლის ძირითადი დანიშნულება და მიზანია სტატუსნეიტრალური, ჰუმანიტარული ინსტრუმენტებისა და სამშვიდობო ინიციატივების გამოყენებით, კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდე, შეიქმნას წინაპირობები და მომზადდეს სათანადო საფუძველი ომით ხელოვნურად გაყოფილ ადამიანებს შორის, ისტორიულად დამკვიდრებული – ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე დამყარებული მშვიდობიანი თანაცხოვრების აღსადგენად ერთიან, ძლიერ, ქართულ სახელმწიფოში;

ამ კონტექსტში, გაგრძელდება ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ქმედითი ჩართულობის ხელშეწყობა;

ამასთანავე, 90-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, იდენტიფიცირებისა და ოჯახებისთვის გადაცემის სახელმწიფო პროგრამის გაგრძელება, რომელიც დაკარგულთა ნემტების მოძიების დადგენასა და მათი ხსოვნისადმი სათანადო პატივის მიგებას ემსახურება;

საქართველო, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისად, განაგრძობს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეუქცევად გზას. ამისათვის, საქართველო:

- განუხრელად განაგრძობს ასოცირების შეთანხმების განხორციელებას, ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ევროკავშირთან როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციური დაახლოებით; წარმართავს ევროკავშირთან თანამშრომლობას საქართველო-ევროკავშირის ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში (ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტები და ქვეკომიტეტები და სხვა);
- პროაქტიულად განახორციელებს ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტების იდენტიფიცირებასა და მათთან დაახლოების პროცესის მონიტორინგს; უზრუნველყოფს სამართლებრივი დაახლოების შესახებ ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღრიცხვას;
- შექმნის ევროკავშირის სამართლის ცენტრს, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესსა და ევროკავშირის სამართლის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას საგანმანათლებლო დაწესებულებების, დარგის ექსპერტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით;
- ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით აქტიურად გამოიყენებს როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში არსებულ ინსტრუმენტებსა და თანამშრომლობის ფორმატებს, ისე ევროკავშირის სხვა რეგიონალური პროექტებითა და პროგრამებით გათვალისწინებულ შესაძლებლობებს;
- გააგრძელებს ძალისხმევას ევროკავშირში გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად; გამოიყენებს ევროპელ პარტნიორებთან კომუნიკაციის ყველა საშუალებას და შეეცდება მათთან ერთად მოხსნას არსებული ხელის შემშლელი ხელოვნური ბარიერები;

- გააძლიერებს ძალისხმევას ევროკავშირში დაჩქარებული ინფრასტრუქტურული ინტეგრაციის მიმართულებით. აქტიურად იმუშავებს ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი საფლაგმანო ინიციატივების, უწინარესად, შავ ზღვაზე დაკავშირებადობის გაძლიერების პროექტების განსახორციელებლად, მათ შორის, ანაკლიის პორტისა და ამ პორტში როგორც სატვირთო ტერმინალების, ისე მგზავრების მომსახურების შესაძლებლობის მქონე საზღვაო ვაგზის მშენებლობის გზით; გააგრძელებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს ფიზიკური ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად ახალი ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული პროექტების მოსამზადებლად; ამ მიზნით შეეცდება „შუა დერეფნის“ მზარდი შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებას;
  - გაააქტიურებს ევროპის ერთიან ბაზარში ინტეგრაციისკენ მიმართულ ძალისხმევას; ამ მიმართულებებით შემდგომი პროგრესის მისაღწევად, განხორციელდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმები, გაგრძელდება მუშაობა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და ევროკავშირის სამსახურების მონაწილეობით შესაბამის ფორმატში;
  - გააგრძელებს ძალისხმევას გაფართოების პაკეტის შესაძლებლობების გამოყენებისა და ევროკავშირის სხვადასხვა თანამშრომლობის მექანიზმსა და ინიციატივებში ეტაპობრივად მონაწილეობისთვის;
  - გააგრძელებს ევროკავშირთან თანამშრომლობას მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობის ხელშეწყობისა და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე, განიხილავს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში სამშვიდობო მისიებში თავისი მონაწილეობის შესაძლებლობას;
  - გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას ევროკავშირის სხვა კანდიდატ ქვეყნებთან, ინტეგრაციის შემდგომი ეტაპებისთვის მაღალი მზადყოფნის უზრუნველყოფისა და შესაბამისი რეფორმების ეფექტიანად განხორციელების მიზნით;
  - გააგრძელებს ძალისხმევას ევროკავშირში გაწევრებისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად; ამ მიზნით საქართველო შეასრულებს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმას;
  - განაგრძობს ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატის, როგორც ალიანსთან პოლიტიკური დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტის, ეფექტიან გამოყენებას;
  - გააგრძელებს წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას;
  - განაგრძობს 2022 წლის მადრიდის სამიტზე მიღებული, საქართველოზე მორგებული დახმარების ღონისძიებათა (Tailored Support Measures) პაკეტის განხორციელებას, მათ შორის, განახლებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის გზით;
  - გააგრძელებს ალიანსთან თანამშრომლობას ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამის (ITTP – Individually Tailored Partnership Programme) ფარგლებში;
  - „გაძლიერებული შესაძლებლობის პარტნიორობის“ (EOP) სტატუსით განაგრძობს მონაწილეობას ალიანსში გამართულ სხვადასხვა მნიშვნელოვან ფორმატში;
  - იმუშავებს, რათა შესაბამის დონეზე იქნეს წარმოდგენილი ნატოს სამიტებში, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრიალებში;
  - განაგრძობს შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით ალიანსთან კონსულტაციებს, რეგიონში არსებული ვითარების ანალიზისა და ინფორმაციის გაზიარების გზით;
  - ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, ნატოს სტანდარტებთან კიდევ უფრო მიახლოებასა და მდგრადობის უზრუნველყოფას;
  - აქტიურ კონსულტაციებს გამართავს ალიანსის წევრ ქვეყნებთან მათი მხრიდან საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხზე, ორგანიზაციის პოლიტიკურ დოკუმენტებში ასახული გადაწყვეტილებების მხარდაჭერის მიზნით;
- საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის გათვალისწინებით, განსაკუთრებით პრიორიტეტულია ევროპის ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი განმტკიცება, პოლიტიკური დიალოგისა და დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, იუსტიციის, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის,

ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და კლიმატის, რეგიონული განვითარების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში არსებული სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატების აქტიური გამოყენება. ამ კონტექსტში გაერთიანებულ სამეფოსთან „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ და საფრანგეთთან „დიმიტრი ამილახვრის“ სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგის“ რეგულარული სხდომების გამართვა; უნგრეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაგრძელება, რუმინეთთან სტრატეგიული და იტალიასთან მაღალი დონის დიალოგების საინაუგურაციო სხდომების ჩატარება და მათი შემდგომი იმპლემენტაცია; „ქართულ-გერმანულ-ფრანგული“ სამკუთხედის ფარგლებში კონსულტაციების გაგრძელება; ურთიერთობების ფართო სპექტრის მქონე ქვეყნებთან დიალოგის ახალი პლატფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების რეგულარულად წარმართვა;

საქართველო კვლავაც ურყევად განაგრძობს უკრაინის ჰუმანიტარულ დახმარებას საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში და მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ დიპლომატიურ მხარდაჭერას;

საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა, სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული ყველა პრიორიტეტული მიმართულებით, რაც გულისხმობს ქარტიით გათვალისწინებული ოთხი სამუშაო ჯგუფისა (თავდაცვისა და უსაფრთხოების; ეკონომიკის, ენერჯეტიკისა და ვაჭრობის; დემოკრატიისა და მმართველობის; ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების) და ყოველწლიური შემაჯამებელი შეხვედრის („ომნიბუსშეხვედრის“) განახლებას. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს და მოელოა, რომ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პრიორიტეტები სათანადოდ აისახება თანამშრომლობის ყველა მიმართულებით. საქართველოს მთავრობის ამოცანაა, მიღწეულ იქნეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გადატვირთვა, რაც მოიაზრებს მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თანასწორ, სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთობების აღდგენას, ყველა მიმართულებით თანამშრომლობის სრული მოცულობით განახლებასა და განვითარებას;

მომდევნო წლებში საქართველოს სამეზობლო პოლიტიკა იწარმოებს დაბალანსებულად და დამყარებული იქნება ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, სუვერენიტეტის, კეთილმეზობლობის, უსაფრთხოების განმტკიცების, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის პრინციპებზე;

საქართველო ხელს შეუწყობს მეზობელ ქვეყნებს შორის დიალოგსა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას, რაც მთელი რეგიონის ინტერესში შედის. საქართველო კვლავ იქნება ადგილი ჩვენი მეზობლებისთვის, სადაც მხარეებს შეეძლებათ, განიხილონ ნებისმიერი აქტუალური საკითხი, როგორც ორმხრივ, ისე სამხრივ ფორმატში (საქართველო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა). აღნიშნული ძალისხმევა ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენასა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას;

გაგრძელდება თურქეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში მრავალგანზომილებიანი თანამშრომლობა, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობის პროექტების განსახორციელებლად. სამხრივი თანამშრომლობის პლატფორმა საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის დარჩება მნიშვნელოვან რეგიონულ ფორმატად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება აქტიური ინტერაქცია სექტორულ სამინისტროებს შორის. სომხეთის რესპუბლიკასთან ახალ ნიშნულზე გადასული სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა. არის მზაობა, სამივე ქვეყანასთან შენარჩუნებულ იქნეს უმაღლესი და მაღალი დონეების ვიზიტების უპრეცედენტოდ მაღალი დინამიკა, რაც ბოლო წლების განმავლობაში გვქონდა;

საქართველოს მთავრობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობას. შესაბამისად, გაგრძელდება: მაღალი/უმაღლესი

დონის ვიზიტების გაცვლა, ურთიერთობების გაღრმავება და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერება; ჩინეთსა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი სამართლებრივი ბაზის გაფართოება და მისი სრული გამოყენება სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობის განვითარების მიზნით; ორმხრივად შემოდებული უვიზო რეჟიმის გამოყენება ხალხთაშორის კონტაქტების, ტურისტული, კულტურული და ბიზნესკავშირების გასაღრმავებლად; ძალისხმევა საქართველოსთვის დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად ჩინეთსა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ფორმატში (China-CEEC, იგივე 14+1), რაც, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, წარმოადგენს ევროკავშირსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის დამატებითი, ეფექტიანი მექანიზმის გამოყენებას; თანამშრომლობის გაღრმავება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში, მათ შორის, მუშაობა ჩინეთის მხარესთან დიპლომატიის ორმხრივი აღიარების შესახებ შეთანხმების გაფორმების მიმართულებით;

განმტკიცდება საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობისა და განვითარებისთვის; გაძლიერდება საქართველოს ცნობადობა და გაღრმავდება დიპლომატიური ურთიერთობები მსოფლიოს ყველა რეგიონის – აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, აფრიკის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად:

- საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ციფრული სატრანზიტო მარშრუტების გაძლიერებისთვის (როგორც არის „ევროკავშირ-ჩინეთის დაკავშირებულობის პლატფორმა“, „ევროკავშირ-იაპონიის დაკავშირებულობის შეთანხმება“ და ევროკავშირის Global Gateway სტრატეგია), რომელთა მიზანია კავშირების გაღრმავება ციფრულ, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სექტორებში და ამისათვის ფიზიკური და ციფრული ინფრასტრუქტურის გამართვა; აქტიურად გაგრძელდება მუშაობა საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დაკავშირებადობის სტრატეგიისა და გეგმის მნიშვნელოვანი მონაწილე ქვეყნის, პოზიციონირების განსამტკიცებლად;

- გაგრძელდება მუშაობა აზიისა და ყურის ქვეყნებთან ორმხრივი სახელმწიფოებო ბაზის სრულყოფის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას; ასევე მთავრობა გააგრძელებს მუშაობას რეგიონის პარტნიორ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის მოპოვების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მეტი ხალხთაშორის, ბიზნესის და ჰუმანიტარული კონტაქტების დამყარებას;

- გაგრძელდება აქტიური მუშაობა პარტნიორ ქვეყნებთან (ლათინური ამერიკა, არაბული ქვეყნები, აზია, ოკეანეთი, აფრიკა) მაღალი/უმაღლესი დონის ვიზიტების გაცვლასთან დაკავშირებით, ურთიერთობების გაღრმავებისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით;

გაგრძელდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში ქართული მხარის აქტიური მონაწილეობა, ამ ორგანიზაციების ფარგლებში ქვეყნის ეროვნული ინტერესების რეალიზაციის, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხო ძალისხმევაში წვლილის შეტანისა და სხვადასხვა სფეროში საქართველოში გატარებული და მიმდინარე რეფორმებისა და ქვეყნის დადებითი იმიჯის საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესების მიზნით. გააქტიურდება მუშაობა საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მაღალი დონის საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობის მიმართულებით. გაგრძელდება განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლის, გაუფრცვლევლობის, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მექანიზმებთან დაკავშირებული რეჟიმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

საქართველო მონაწილეობას მიიღებს მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში. გაგრძელდება მუშაობა, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს, როგორც უძველესი ცივილიზაციის, მდიდარი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას, მისი ძლიერი ტრადიციების პოპულარიზაციას; ხელი შეეწყობა ქვეყნის საჯარო და კერძო სექტორების მონაწილეობას საერთაშორისო კულტურულ, სამეცნიერო თუ ეკონომიკურ ფორუმებში, საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებაში, სხვადასხვა გამოფენებსა და ფესტივალებში, მათ შორის, საკვები პროდუქტების, ღვინის, ტურისტული სახელმწიფო სერვისების თაობაზე მსოფლიო;

ცნობადობის კიდევ უფრო მეტად გასაზრდელად 2026 წლის ივნისში საქართველო უმასპინძლებს გაეროს საჯარო სერვისების ფორუმს;

გამლიერდება ქართული დიასპორის მიმართ ყურადღება და ხელშეწყობა. ამ მიზნით ამოქმედდება ოთხი ახალი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას, საზღვარგარეთ დაბადებული წარმატებული ქართველი მოზარდებისთვის საკუთარი სამშობლოს კულტურის, ტრადიციების გაცნობას, თანატოლებთან დაახლოებასა და სამშობლოსთან შემდგომი მყარი კავშირისთვის საფუძვლის შექმნას; დასრულების პროცესშია და უახლოეს მომავალში განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა პაკეტი, რომელიც განსაზღვრავს დიასპორასთან თანამშრომლობის ახალ მიმართულებებს და კიდევ უფრო განამტკიცებს დიასპორასთან ურთიერთობის სამართლებრივ საფუძვლებს; მომზადდება დიასპორის მონაცემთა ბაზის პროგრამა; გაიშვება დიასპორული ვებპორტალი; საზღვარგარეთ ქართველი ბავშვების საკვირაო სკოლებისთვის მომზადდება სახელმძღვანელოები, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადამზადდებიან საკვირაო სკოლის პედაგოგები;

გაიზრდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ქსელი, საკონსულო სერვისების მაღალი ხელმისაწვდომობისა და საკონსულო დაცვის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვასა და მათ მომსახურებას;

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის მაღალი ხარისხის, კვალიფიციური და კომფორტული საკონსულო მომსახურების გაწევის მიზნით ჩატარდება რეგულარული სამუშაოები საკონსულო საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შემდგომი განვითარებისა და საკონსულო თანამდებობის პირების პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესებისათვის.

9.1

#### **საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით ძალისხმევის განხორციელება და ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათ შორის აქტიური მუშაობა ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანი გამოყენება. საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის განხორციელება. საოკუპაციო ხაზით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა და ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის უზრუნველყოფა;

საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესის ხელშეწყობა; ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება; ევროკავშირთან გაფართოების პაკეტის ფარგლებში თანამშრომლობა და გაწევრებაზე მოლაპარაკებების დაწყების მხარდაჭერა; საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური და სექტორული დიალოგის, მათ შორის, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში თანამშრომლობა; სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით; ევროპაში სხვადასხვა რეგიონულ გაერთიანებებსა თუ თანამშრომლობის ფორმატებში, მათ შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა;

საქართველოს მიერ საბოლოო მიზნის – ნატოში გაწევრების მისაღწევად ყველა ინტეგრაციული მექანიზმის (ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი) ეფექტიანი გამოყენება; გაძლიერებული ნატო-

საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული პროექტების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა; ნატო-საქართველოს ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამით განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანებისა და თანამშრომლობის მიზნების იმპლემენტაცია; ნატოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით არსებული თანამშრომლობის გაღრმავება და ამ კონტექსტში მიღებული, ალიანსის შესაბამისი გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია; ნატოს სამიტებზე საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფა და სამიტის ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს საკითხის სათანადოდ ასახვაზე მუშაობის წარმართვა;

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების განახლება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში. მაღალი და უმაღლესი დონის პოლიტიკური დიალოგის შემდგომი გაძლიერება, უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების გაცვლა;

საქართველოსა და კანადას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის გამყარება პოლიტიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში; მჭიდრო თანამშრომლობა საპარლამენტო ურთიერთობების მიმართულებით. ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისება, კანადური ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოსა და კანადას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმების (FIPA) გაფორმებაზე მუშაობის გაგრძელება;

ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება, სტრატეგიული თანამშრომლობის არსებული ფორმატების ეფექტიანი გამოყენება და ურთიერთობების ფართო სპექტრის მქონე ქვეყნებთან ახალი მაღალი დონის პლატფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

აზიისა და ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა;

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი განვითარება და საქართველოსა და ამ პარტნიორობის ფარგლებში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. მაღალი/უმაღლესი დონის ვიზიტების გაცვლა. ორ ქვეყანას შორის ორმხრივი სამართლებრივი ბაზის განვითარება, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე სხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაფართოების მიზნით. საქართველოს მთავრობას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის „სარტყელისა და გზის“ პროექტის ფარგლებში გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის რეალიზაცია, რაც საქართველოსთვის აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ქვეყნის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია და ხელს უწყობს ტრანსკასპიური სატრანსპორტო კორიდორის განვითარებას;

რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის, აგრეთვე რეგიონის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით ქმედითი და დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მოიცავს ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერებას და ხელსაყრელი, უსაფრთხო, საინვესტიციო გარემოს შექმნას; სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის პრაქტიკული, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური ჩართულობა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად შესაბამისი პოლიტიკის გატარება/პოზიციონირება. საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების შეტანა და მათი მხარდაჭერის მობილიზება, ასევე საერთაშორისო

ორგანიზაციების დღის წესრიგში არსებული და სხვა მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების განხილვებში საქართველოს მონაწილეობის, საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით და მმართველ სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობა;

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა, მათ შორის, სახელშეკრულებო ბაზის გაღრმავებით, ქვეყნის ენერგო- და სატრანსპორტო სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენების გაძლიერების, ერთობლივ რეგიონულ და რეგიონთაშორის სატრანსპორტო პროექტებში აქტიური ჩართულობით დაკავშირებადობის განვითარების, ექსპორტის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვისათვის დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; აგრეთვე მთავრობათაშორის ეკონომიკურ კომისიებში მონაწილეობა, უცხო ქვეყნის რეგიონებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა, უცხოური ინვესტიციების და ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვა, ტურიზმის ხელშეწყობა, საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ახალი შესაძლებლობების გამოვლენა და ამ ორგანიზაციებში ყოველწლიურად არსებული ფინანსური ვალდებულებების მონიტორინგი და შესრულება;

საგარეო ურთიერთობებში კულტურული დიპლომატიის აქტიური გამოყენება; საქართველოს, როგორც სტაბილური, უსაფრთხო, ევროპული კულტურული იდენტობის მქონე, დემოკრატიული და წარმატებული ქვეყნის წარმოჩენა; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა;

საზღვარგარეთ საქართველოს შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, ასევე ქვეყნის მოსახლეობის მიერ საგარეო კურსის, მათ შორის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ პრიორიტეტების მიმართ მხარდაჭერის გაძლიერების უზრუნველსაყოფად თემატური საინფორმაციო კამპანიების განხორციელების გაგრძელება;

საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობისა და კავშირების ინტენსიფიკაცია, სისტემატიზაცია და შესაბამისი სტრატეგიით პრობლემების ერთიანი ძალისხმევით მოგვარება; საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, დიასპორის ჩართულობის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარების, საქართველოს პოპულარიზაციისა და მისი პოზიტიური იმიჯის განმტკიცების პროცესში;

საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებების დაფარვის არეალის გაფართოება; საკონსულო საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შემდგომი განვითარება; საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობის გაზრდა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების უკეთ რეალიზებისთვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მომზადება და გადამზადება, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის, სხვა სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ანალიტიკური და კვლევითი პროდუქტების შექმნა და მიწოდება.

9.1.1

**საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)**

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის ხელშეწყობა;

საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მობილიზება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ცალკეული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეგულარული ინფორმირება და მუშაობა რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციისა და დე-ფაქტო ანექსიის, ადგილზე არსებულ უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან, რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოხმაურების უზრუნველსაყოფად; ცალკეული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დეკლარაციებში, რეზოლუციებში, გადაწყვეტილებებში, ანგარიშებში, განცხადებებსა და პრეს-რელიზებში რუსეთის უკანონო ქმედებების დამგმობი და საქართველოს მხარდამჭერი ფორმულირებების ასახვა;

ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში საქართველოს დეოკუპაციის და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობის საკითხის გააქტიურება;

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტური გამოყენება რუსეთის მიერ ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თემებზე პროგრესის და რუსეთის ოკუპაციიდან მომდინარე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრის მიზნით;

ევროკავშირთან და მის წევრ ქვეყნებთან მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) შემდგომი გაძლიერებისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მისიის მანდატის განხორციელების მიზნით;

არალიარების პოლიტიკის მიმართულებით არსებული რისკების პრევენცია და ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირება;

საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესებში პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა;

საქართველოს, როგორც დონორი ქვეყნის როლის განსაზღვრა, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროგრესის გათვალისწინებით, რაც მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, გლობალური მდგრადი განვითარების ხელშეწყობასა და საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის, რეპუტაციის განმტკიცებას. საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების დახმარების პოლიტიკის დამკვიდრება, შესაძლებლობების განსაზღვრა და დახმარების გაწევა; არალიარების პოლიტიკის კონტექსტში, სამიზნე ქვეყნების იდენტიფიცირება და რისკებისა და მოწყვლადი ქვეყნების შეფასების შესაბამისად, მათ საჭიროებებზე მორგებული დახმარების კოორდინაციის ეფექტური განხორციელება;

საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო და სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები) მუშაობაში აქტიური ჩართულობა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად შესაბამისი პოლიტიკის გატარება/პოზიციონირება. საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების (უპირველეს ყოვლისა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული თემატიკის) დაყენება და მხარდაჭერის მობილიზება, მათ შორის, საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტების (გადაწყვეტილებების, რეზოლუციების,

განცხადებების, ანგარიშებისა და სხვ.) მიღების, გაკეთების/მომზადების, ასევე, საქართველოსთვის პრიორიტეტული საკითხების საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებში ასახვის უზრუნველყოფა. საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში არსებულ და სხვა მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებზე განხილვებში საქართველოს ჩართულობისა და შესაბამის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით და მმართველ სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდის ხელშეწყობა;

პარტნიორ სახელმწიფოებთან და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა, საერთაშორისო ფორუმებში აქტიური ჩართულობა;

ორმხრივი და მრავალმხრივი სახელშეკრულებო ბაზის განვითარების მიზნით, შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება;

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს ანგარიშების მომზადება/წარდგენის კოორდინაცია;

მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარების პროცესის კოორდინაცია; გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების წინაშე წარსადგენი საქართველოს პერიოდული ანგარიშების მომზადების კოორდინაცია;

კონსულტაციების გამართვა გაეროს დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად, არსებული საელჩოებიდან დიპლომატიური გადაფარვის გაგრძელება და გაფართოება;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელება და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიზნის მისაღწევად აუცილებელი პრიორიტეტების შესრულება; ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაში ჩართულობის, მათ შორის, ყოველწლიური გაფართოების ანგარიშების მომზადების კოორდინაცია; ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შემდგომი შესრულება და აღნიშნულ საკითხზე აქტიური თანამშრომლობა ევროკომისიასთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან; ევროკავშირთან ეფექტიანი დიალოგის წარმართვა, მათ შორის, არსებული ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში; ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ეტაპობრივი ინტეგრაციის, ასევე სექტორული ინტეგრაციის ხელშეწყობა და ამ მხრივ, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება; შავი ზღვის რეგიონის მიმართ ევროკავშირის სტრატეგიული მიდგომის შესახებ კომუნიკაციის განხორციელებაში საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა; კანდიდატ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება ევროინტეგრაციის საკითხებზე; ევროპაში სხვადასხვა რეგიონულ გაერთიანებასა თუ თანამშრომლობის ფორმატში მონაწილეობის ხელშეწყობა; ევროკავშირის დახმარების პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება; ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა; ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობასა და ევროპულ პოლიტიკურ გაერთიანებაში მონაწილეობის ხელშეწყობა; საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და განხორციელება, საზოგადოებრივი ცოდნისა და მართლშეგნების/ცნობიერების ამაღლება; საქართველოს ცნობადობის, ქვეყნის მიერ გაწეული ძალისხმევის და პოზიტიური იმიჯის განმტკიცების მიზნით, საკომუნიკაციო ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება;

საქართველოს მიერ საბოლოო მიზნის – ნატოში გაწევრიანების მისაღწევად ინტეგრაციული მექანიზმების, მათ შორის, ნატო - საქართველოს კომისია (NGC), წლიური ეროვნული პროგრამა (ANP), ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), საქართველოზე მორგებული დახმარების ღონისძიებათა პაკეტი (TS Measures), ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამა (ITPP) ეფექტიანი გამოყენება; ნატო-ში გაწევრიანების გზაზე პოლიტიკურ განზომილებაში პროგრესის დაფიქსირება; ალიანსთან შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება;

განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლის, გაუფრცვლებლობის, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მექანიზმებთან დაკავშირებული რეჟიმებით, საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და შესრულების ხელშეწყობა; ზემოხსენებულ საკითხებზე შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ინიციატივებთან, სახელმწიფოებთან (ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში) მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო ფორუმებში აქტიური ჩართულობა; მრავალმხრივი ინიციატივების ფარგლებში არსებული კიბერუსაფრთხოების, კონტრტერორიზმის და სხვა ჰიბრიდულ საფრთხეებთან, მათ შორის შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებულ თემატურ ჯგუფებში თანამშრომლობა; უსაფრთხოების გარემოს მონიტორინგი და მისი შეფასება/ანალიზი;

ამერიკის შეერთებულ შტატებთან მაღალი და უმაღლესი დონის პოლიტიკური დიალოგის გაძლიერება: აშშ-საქართველოს ურთიერთობების გადატვირთვისა და ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენისთვის საერთო ხედვის ჩამოყალიბება, ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო, ხელშესახებ შედეგებად გარდასაქმნელად; აშშ-ის როლის გაძლიერება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული რეგიონების არაღიარების, დეოკუპაციის, ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის საქმეში; ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივ ფორმატებში არსებული წარმატებული თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება; აშშ-ის კონგრესში საქართველოს ძლიერი ორპარტიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი პარტნიორობისა და თანამშრომლობის გაძლიერება საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის, მოკავშირეებთან თავსებადობის ამაღლების მიზნით, მათ შორის, ორმხრივი და მრავალმხრივი წარმატებული სამხედრო წვრთნების გზით; ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისთან, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებთან მუშაობის გაგრძელება, ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობის განხილვის კუთხით; მცირე და საშუალო ზომის, ასევე, მსხვილი ამერიკული კომპანიების დაინტერესება საქართველოს ბაზრითა და მზარდი შესაძლებლობებით; საქართველოში ამერიკული სავაჭრო მისიების ორგანიზება შუა დერეფნის ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების გაცნობის მიზნით; აშშ-ის პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოს საკითხის აქტუალობის შენარჩუნებისა და აშშ-ის საზოგადოებაში ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, აშშ-ის წამყვან აკადემიურ და ბიზნეს-წრეებთან, არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებთან, მედიასთან, საქართველოს მხარდამჭერ ჯგუფებთან, აშშ-ში ქართულ დიასპორასა და ახალგაზრდულ გაერთიანებებთან აქტიური თანამშრომლობა;

საქართველოსა და კანადას შორის ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მათ შორის, ერთობლივი წვრთნებისა და სამხედრო განათლების კუთხით. ორ ქვეყანას შორის მაღალ დონეზე პოლიტიკური დიალოგის წარმართვა. საქართველოსა და კანადას შორის ინვესტიციების

ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმებაზე (FIPA) მოლაპარაკებების დასრულება, რომელიც 2018 წელს დაიწყო. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული რეგიონების არადიარების, ასევე საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი კანადის მხარდაჭერის შენარჩუნება და განმტკიცება.

ევროპის ქვეყნებთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება. ევროპის ქვეყნებთან არსებული ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში; უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება; მაღალი დონის შეხვედრებისათვის საერთაშორისო მრავალმხრივი ფორუმების აქტიური გამოყენება; სტრატეგიული თანამშრომლობის არსებული ფორმატების ეფექტური გამოყენება და ფართო სპექტრის თანამშრომლობის მქონე ქვეყნებთან დიალოგის ახალი პლატფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის, ასევე რეგიონის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით, ქმედითი და დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მოიცავს პარტნიორული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაძლიერებას და საქართველოს როლის გაზრდას რეგიონში. საქართველო გააგრძელებს ურთიერთსასარგებლო და ეფექტური თანამშრომლობის ხელშეწყობას, მათ შორის კონსტრუქციული დიალოგისა და მოლაპარაკებების საქართველოში მასპინძლობის მზაობას. საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესის განახლება/გაგრძელება;

აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში. ტრადიციულ პარტნიორებთან არსებული ურთიერთობების განმტკიცება, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების ხელშეწყობა; თანამშრომლობის განვითარება და წახალისება აზიის და ოკეანეთის იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს შედარებით დაბალი ინტენსივობის ურთიერთობა გააჩნია; საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება, წარმატებული რეფორმების გაზიარება და პოპულარიზაცია და შედეგზე ორიენტირებული სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებების დაგეგმვა; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციასთან (ASEAN) საქართველოს თანამშრომლობის ინსტიტუციურ დონეზე გადაყვანა; ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის და აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოებთან, ასევე რეგიონულ ორგანიზაციებთან, მათ შორის, აფრიკის კავშირთან (AU), ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან (GCC) და არაბული სახელმწიფოების ლიგასთან (LAS); ყურის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატების ეფექტური გამოყენება და არსებული ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჰუმანიტარულ სფეროებში;

ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ ფორმატებში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაძლიერება. რეგიონის ქვეყნების მხრიდან საქართველოს მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერის გაძლიერება და არადიარების პოლიტიკის წარმოება; რეგიონულ ორგანიზაციებთან - ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციასთან (OAS), წყნაროკეანურ ალიანსთან (Pacific Alliance), კარიბის ქვეყნების გაერთიანებასთან (CARICOM) და ცენტრალური ამერიკის ინტეგრაციის სისტემასთან (SICA) თანამშრომლობის გაღრმავება და არსებული ფორმატების ეფექტიანი გამოყენება; საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება; უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების კუთხით თანამშრომლობის გაძლიერება; წარმატებული რეფორმების გაზიარება; რეგიონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებების გაფორმება;

საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენა და ტურისტული ვიზიტების გაცვლების ხელშეწყობა; საქართველოს, როგორც რეგიონული, ეკონომიკური და ლოგისტიკური ჰაბის წარმოჩენა ლათინური ამერიკის ქვეყნების პროდუქციის შემდგომი დისტრიბუციისთვის სხვადასხვა მიმართულებით;

პარტნიორ სახელმწიფოებთან და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საერთაშორისო ფორუმებში აქტიური ჩართულობა;

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი ჩაბმა და ამ პროცესებში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვა ქვეყანაში; დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით ადგილსამყოფელი/დაფარვის ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება; ენერგომომარაგების ალტერნატიული წყაროების განვითარების, ასევე, ენერგორესურსების იმპორტის დივერსიფიცირების უზრუნველყოფის და ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის განმტკიცების ხელშეწყობა; ერთობლივ რეგიონულ და რეგიონთაშორის სატრანსპორტო პროექტებზე მუშაობა; სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიების გამართვა; ტურიზმის, მათ შორის კონვენციური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება. ქართული სტარტაპების და ინოვაციური სექტორის ხელშეწყობა, საქართველოს რეგიონებსა და უცხო ქვეყნის რეგიონებს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა, შესაძლებლობების ფარგლებში უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვა და ქართული პროდუქციის ფალსიფიკაციისგან დაცვის ხელშეწყობა. საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, გააქტიურება და ახალი შესაძლებლობების გამოვლენა;

კულტურული დიპლომატიის აქტიური გამოყენება საგარეო ურთიერთობებში; საქართველოს, როგორც სტაბილური, უსაფრთხო, ევროპული კულტურული იდენტობის მქონე, დემოკრატიული და წარმატებული ქვეყნის წარმოჩენა; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; აქტიური თანამშრომლობა გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა;

საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ ცნობადობის ამაღლების მიზნით, თემატური საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, მათ შორის, ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების წარმოჩენა, რეგიონში მზარდი როლის ხაზგასმა, საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობების წარმოჩენა, ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება; აქტიური თანამშრომლობა მედია საშუალებებთან, ჟურნალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიურ და ანალიტიკურ ცენტრებთან. საინფორმაციო გარემოს აქტიური მონიტორინგი და კომპეტენციის ფარგლებში ყოველდღიური დაიჯესტების და ყოველკვირეული ანალიტიკური ბარათების მომზადება; ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების და უწყების საქმიანობის შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება, მაღალი დონის ვიზიტების გაშუქების, სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზების, უმაღლესი თანამდებობის პირების მედია აქტივობების დაგეგმვის, საინფორმაციო კამპანიების განხორციელების გზით; დიასპორასთან ურთიერთობისა და საკონსულო მომსახურების შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირების

უზრუნველყოფა;

საქართველოს საკონსულო დაწესებულებების დაფარვის არეალის გაფართოება; საკონსულო საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შემდგომი განვითარება; საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობების გაზრდა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების უკეთ რეალიზებისთვის, სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით, უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება; საკონსულო თანამდებობის პირების პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება; საზღვარგარეთ შესაძლო კრიზისულ სიტუაციებში სამოქმედოდ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მზადყოფნის გაუმჯობესება; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით, ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, პოტენციურ ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოება; შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების საკითხებზე პოტენციურ ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოება; უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მომზადება, გადამზადება და პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; სამინისტროს საჭიროების შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის განვითარება, მოქმედი და ახალი პროგრამების გადამუშავება და საჭიროების შემთხვევაში, ახალი პროგრამების/მოდულების შემუშავება.

9.1.2 **საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)**

საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ყოველწლიური ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა მრავალმხრივი დიპლომატიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

9.1.3 **საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)**

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა/დამოწმება;

სათარგმნი მასალის, სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრის სინქრონული თარგმნით მომსახურების და გასაფორმებელი კონტრაქტების რაოდენობების გაზრდა;

თარჯიმანთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების დონის ამაღლება; თარგმნის პროცესში წარმოქმნილი კონკრეტული უზუსტობებისა და სიძნელეების გასარკვევად მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარების მიზნით უცხოური ენის მცოდნე, სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტების მოწვევა, აგრეთვე, დიპლომატიის მოწვევა, რომლებიც უცხო ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობენ;

უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით თანამედროვე განმარტებითი და ტექნიკური ლექსიკონების, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურის, აგრეთვე, თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შექმნა;

საქართველოს სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისგან, აგრეთვე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან

ინფორმაციის მიღება იმ ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა/უნდა იქნეს დადებული, აგრეთვე, კონვენციებსა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთების თაობაზე, სავარაუდო დროისა და მოცულობის მითითებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მუშაობის კოორდინაციისა და ძალების უკეთ განაწილების მიზნით;

ოფიციალურ დოკუმენტებში იურიდიული და დარგობრივი ტერმინოლოგიის გამართული და თანმიმდევრული გამოყენების ხელშეწყობა.

9.1.4

#### **დიასპორული პოლიტიკა (პროგრამული კოდი 28 01 04)**

საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებთან მჭიდრო, სტრუქტურირებული კომუნიკაცია; ქვეყნის განვითარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს ინტერესების დასაცავად დიასპორის აქტიური მონაწილეობის, ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად მკაფიო და ეფექტური მექანიზმების არსებობა.

10

#### **სოფლის მეურნეობა**

ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის განვითარებას და, შესაბამისად, გაიზარდა ამ დარგის დაფინანსება. გაზრდილმა დაფინანსებამ და არაერთმა მიზნობრივმა სახელმწიფო პროგრამამ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდაც განაპირობა;

საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის ამაღლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდას;

საქართველოს მთავრობა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისკენ მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავს, რისთვისაც დაგეგმილია 3 მილიარდ ლარამდე ფინანსური მხარდაჭერის გაწევა. იგეგმება სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება, ასევე ფერმერებისა და მეწარმეების ცოდნის ამაღლება და მათთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, სერვისების ხელმისაწვდომობასა და ახალი სასოფლო-სამეურნეო პროექტების განვითარებას. ყურადღება გამახვილდება აგროდაზღვევის სისტემაზე, სამელიორაციო მომსახურების გაძლიერებასა და კლიმატგონივრული, გარემოსთან ადაპტირებული პრაქტიკის გავრცელებაზე, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასა და დარგის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას;

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების ხელშეწყობისთვის გაგრძელდება ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა. გაგრძელდება ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის ამაღლება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, გაფართოვდება დეფიციტური აგრარული პროფესიების მხარდამჭერი პროგრამები;

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის, რისკების შემცირების მიზნით, გაგრძელდება და დაიხვეწება აგროდაზღვევის პროგრამა; გაგრძელდება მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა და შედეგად, 2028 წლისთვის, თანამედროვე ინტენსიური ბაღების საერთო ფართობი 35 000 ჰექტარს მიაღწევს; გაგრძელდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების (ინფრასტრუქტურის) შექმნა და თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით აღჭურვა; აგროწარმოების ხელშეწყობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გაგრძელდება ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოების ხელშეწყობა; წახალისდება ერთწლიანი კულტურების წარმოებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და სასათბურე მეურნეობების განვითარება;

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიქმნება ფერმერული მეურნეობების ინტეგრირებული ადმინისტრირების სისტემა, მათ შორის, ფერმერული მეურნეობების რეესტრი და მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციის სისტემა; საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდება საძოვრების მდგრადი მართვა; გაგრძელდება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მათ შორის, მოსავლის ამღები) თანადაფინანსება; დაინერგება ფერმერთა კოოპერირების ახალი, მოქნილი მექანიზმები ფერმერებისა და მწარმოებელი ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის სტიმულირებისთვის; განხორციელდება ქალ ფერმერთა და მეწარმეთა განვითარების ღონისძიებები;

გაფართოვდება ქართული ღვინისა და სხვა აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ამალგებისა და პოპულარიზაციის მიზნით განსაზღვრული მარკეტინგული აქტივობები და ბაზრების დივერსიფიკაციისკენ მიმართული პროგრამები;

2028 წლისთვის დასრულდება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. გაგრძელდება აქტიური მუშაობა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის, რაც მომხმარებლისათვის უვნებელი სურსათის მიწოდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია;

გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ღონისძიებები;

წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების მოდერნიზებისა და რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება 1 მილიარდ ლარს მიაღწევს და, შედეგად, 50 000 ჰექტარზე მეტ ფართობზე 70 000 ფერმერული მეურნეობისათვის გაუმჯობესდება სამელიორაციო მომსახურება, რაც მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის ზრდას ხელს შეუწყობს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დაიწყება მდინარე ილტოზე საირიგაციო დანიშნულების წყალსაცავის პროექტირება და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული წყალსაცავი კახეთში 40 000 ჰექტარზე მეტ მიწის ფართობზე გარანტირებულად გაზრდის წყალუზრუნველყოფის ხარისხს, რაც სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული 50 ათასზე მეტი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს გააუმჯობესებს;

მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება აკვაკულტურის განვითარების ხელშეწყობაზე. აკვაკულტურის განვითარების არსებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის ხელშეწყობას. შავ ზღვაში აკვაკულტურის განვითარებისთვის დამტკიცებული ზონების ბიზნესისთვის საინვესტიციოდ შეთავაზება წარმოშობს როგორც საზღვაო, ისე შიდა წყლების აკვაკულტურის განვითარებისა და ქვეყანაში ათასობით ტონა აკვაკულტურის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას;

ხელი შეეწყობა გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელებასა და ბიოწარმოების განვითარებას;

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგად 2028 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო გამოშვება 24 მილიარდ ლარს მიაღწევს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 2,3 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს.

## 10.1

### **ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი 31 05)**

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის განმახორციელებელი საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;

აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნებისა და რისკების შემცირების ხელშეწყობა;

სანერგე მეურნეობების მოწყობისა და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტიანი კოოპერაციის ჩამოყალიბება/ხელშეწყობა და მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების ხელშეწყობა;

იმპორტის ჩამანაცვლებელი პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების (ინფრასტრუქტურის) შექმნა და თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით აღჭურვა;

ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ერთიანი სისტემის მოსაწესრიგებლად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის სრულყოფა;

სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მათ შორის მოსავლის ამღები) თანადაფინანსება;

პროექტების ტექნიკური მხარდაჭერა;

მწარმოებელი კოოპერატივების შემნახველი/სამაცივრე ინფრასტრუქტურის შექმნა კენკროვანი და ბოსტნეული კულტურებისა და ადგილობრივი ხორბლის წარმოების ხელშეწყობის მიზნით

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია;

იმერეთის აგროზონის ტერიტორიის განვითარება;

**10.1.1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 31 05 01)**

სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება.

**10.1.2 შეღავათიანი აგროდაფინანსების პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 02)**

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის განმახორციელებელი საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;

სანერგე მეურნეობების მოწყობისა და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტიანი კოოპერაციის ჩამოყალიბება/ხელშეწყობა და მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების ხელშეწყობა;

იმპორტის ჩამანაცვლებელი პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების (ინფრასტრუქტურის) შექმნა და თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით აღჭურვა;

მწარმოებელი კოოპერატივების შემნახველი/სამაცივრე ინფრასტრუქტურის შექმნა კენკროვანი და ბოსტნეული კულტურებისა და ადგილობრივი ხორბლის წარმოების ხელშეწყობის მიზნით;

იმერეთის აგროზონის ტერიტორიის განვითარება;

10.1.3 **აგროდაზღვევა (პროგრამული კოდი 31 05 03)**

აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევას ახორციელებენ სადაზღვევო კომპანიები, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.1.4 **ფერმათა/ფერმერთა რეესტრაციის პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 04)**

ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ერთიანი სისტემის მოსაწესრიგებლად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა, რის შედეგადაც სახელმწიფოს ექნება სტატისტიკური ინფორმაცია სამიზნე ჯგუფების სწორად შესარჩევად და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტის/პროგრამის საჭიროებისამებრ დასაგეგმად და განსახორციელებლად.

10.1.5 **პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 05 05)**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროექტების/პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული/დასაფინანსებელი პოტენციური ბენეფიციარების მხარდაჭერა თანადაფინანსების ან/და საკონსულტაციო მომსახურების ან/და ტრენინგის ჩატარების გზით;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროგრამებით/პროექტებით გათვალისწინებული დარგებისა და მიმართულებების გაძლიერება, სრულყოფა და მხარდაჭერა.

10.1.6 **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 06)**

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსავლის ამდები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის საგრანტო თანადაფინანსებით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.1.7 **ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 31 05 07)**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა;

საქართველოში და საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების მიერ ორგანიზებული, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღებები, ყველისა და კულინარიის ფესტივალი, ჩაისა და თაფლის ფესტივალი, თევზისა და ზღვის პროდუქტების, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენები.

10.1.8 **აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 31 05 08)**

იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში რძის მწარმოებელი მცირე ზომის შინამეურნეობების, მერძევეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელი ცენტრებისა და რძის გადამამუშავებლების (განსაკუთრებით – ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის) ხელშეწყობა;

რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა;

გრანტების გაცემა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოების, რძის შემგროვებელი პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად;

შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCAP-ის სტანდარტებში, ფერმერთა მიერ რძის ხარისხის ევრორეგულაციების შესაბამისად გაუმჯობესების, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში;

მერძევეობის სექტორში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა;

სამოვრებთან დაკავშირებული და დარგისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

10.1.8.1

**მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA)  
(პროგრამული კოდი 31 05 08 01)**

იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში რძის მწარმოებელი მცირე ზომის შინამეურნეობების, მერძევეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელი ცენტრებისა და რძის გადამამუშავებლების (განსაკუთრებით – ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის) ხელშეწყობა;

რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა;

გრანტების გაცემა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოების, რძის შემგროვებელი პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად;

შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCAP-ის სტანდარტებში, ფერმერთა მიერ რძის ხარისხის ევრორეგულაციების შესაბამისად გაუმჯობესების, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში;

მერძევეობის სექტორში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა;

სამოვრებთან დაკავშირებული და დარგისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

10.2

**სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსამედობა  
(პროგრამული კოდი 31 02)**

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;

ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური, იძულებითი ღონისძიებებისა და ლაბორატორიული კვლევების განხორციელება;

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებში ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება;

მიმოქცევაში მყოფი ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი;

ცხოველებში ვეტპრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების არსებობის კონტროლი;

საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება;

პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა;

ქვეყნის ტერიტორიის მონიტორინგის (მავნებლის გამოჩენისა და მისი რიცხოვნობის დაფიქსირება ფერომონიანი ხაფანგების საშუალებით) საფუძველზე, თანამედროვე, სპეციფიკური შესასხურებელი ტექნიკის გამოყენებით, აზიური ფაროსანას პოპულაციის რიცხოვნობის შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია;

ცხოველებში ჰიპერპოპულაციის მართვა, დაავადების გადაცემის პრევენცია, ასევე, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

10.3

**მევენახეობა -მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 31 03)**

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და პრესტურების მოწყობა;

სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისთვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და მათი გამოქვეყნება;

სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა;

ალკოჰოლიანი სასმელების სასერტიფიკაციო ნიმუშების ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

ვენახეების კადასტრის დანერგვა;

ვენახეების ფართობების აღრიცხვა;

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებისა და მერქნის მოლეკულური გენეტიკის ამპლოგრაფიის მეთოდებით შესწავლის ხელშეწყობა და წიპწების მოსაპოვებლად არქეოლოგიურ გათხრებში თანამონაწილეობა;

მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა;

ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობა და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნების დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

10.4 **სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 31 06)**

წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა;

მიწის აღდგენის სამუშაოების განხორციელება;

სამელიორაციო სისტემების ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა.

10.4.1 **საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (პროგრამული კოდი 31 06 01)**

პროექტით განსაზღვრულ ტერიტორიებზე კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი დაგეგმვისთვის სარწყავი და სადრენაჟო მომსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება, ეროვნული ირიგაციისა და მიწის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;

შერჩეული ირიგაციისა და დრენაჟის სქემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;

მიწის ადმინისტრირების სერვისების გაძლიერება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

10.4.2 **საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 06 02)**

მაგისტრალური არხის განახლება;

კომბინირებული (დია არხისა და დახურული მილსადენის სისტემა) გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა;

წყლის ნაკადების მონიტორინგისა და რეგულირებისთვის საზედამხედველო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება;

სარწყავი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიების მოდერნიზაციისა და გაუმჯობესებისათვის ფერმერების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ფერმერთა სწავლების ხელშეწყობა;

ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია.

10.4.2.1 **კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 31 06 02 01)**

ქვემო სამგორის მარხცენა მაგისტრალური და შიდა გამანაწილებელი

ქსელის დეტალური დიზაინის მომზადება;

არსებული სამელიორაციო ქსელი რეაბილიტაცია მოდერნიზაცია;

გამანაწილებელი ქსელების მოდერნიზაცია.

სარწყავი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიების მოდერნიზაციისა და გაუმჯობესებისთვის ფერმერების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

10.4.2.2

**საქართველო - ზემო სამგორის ირიგაციის პროექტი (EIB) (პროგრამული კოდი 31 06 02 02)**

ზემო სამგორის ირიგაციის სისტემის რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია.

ფერმერების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ფერმერთა სწავლების ხელშეწყობა.

10.4.2.3

**საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (AFD) (პროგრამული კოდი 31 06 02 03)**

ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია.

ფერმერების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენების პოპულარიზაცია;

10.4.2.4

**მდგრადი და ინკლუზიური სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი (AFD) (პროგრამული კოდი 31 06 02 04)**

ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია.

ფერმერების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენების პოპულარიზაცია;

10.5

**სოფლის მეურნეობის მიმართულებით ლაბორატორიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 31 14)**

სტანდარტის – ISO 17025:2017/2018-ის მოთხოვნების შესაბამისად:

ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; სურსათის/ცხოველის საკვების ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების განსაზღვრა, სასმელი წყლის კვლევა; მცენარეთა მავნე ორგანიზმების კვლევა;

საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად სახელმწიფო კონტროლის პროგრამაში მონაწილეობა;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ქვეყანაში არსებული საჭიროებების მიხედვით ახალი სტანდარტების დანერგვა, კერძოდ, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაძლიერება, კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად განხორციელება.

10.6

**სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო - კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 31 04)**

საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების

ტიპური სულადობების მოძიება, შესწავლა, გაუმჯობესება, გენეტიკური რესურსების გავრცელების ხელშეწყობა;

ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების კოლექციების შექმნა, ადგილობრივი ჯიშების მოძიება და აღდგენა, ex-situ და in-situ კოლექციების შექმნა, გენეტიკური ბანკის ჩამოყალიბება და საქართველოს პირობებში ინტროდუციული ჯიშების ადაპტაციის შესწავლა;

თელისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემების შექმნა და დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების აპრობაცია და მათი ფერმერებში გავრცელების ხელშეწყობა;

საქართველოს ნიადაგის მდგომარეობის კვლევა, შესწავლა და რუკების შექმნა;

შექმნილი საფრთხეების სურსათისმიერი, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული რისკების შეფასება.

10.7

**მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 31 15)**

CORINE-ს კლასიფიკატორის მეშვეობით მიწის საფრისა (Land Cover) და მიწათსარგებლობის (Land Use) გეომონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

მიწის ბალანსის შედგენა;

მიწის საინფორმაციო სისტემის განვითარება და მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდება;

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება;

ქარსაფარი ზოლის აღდგენის, გაშენებისა და მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება;

სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სამოვრების იდენტიფიკაცია, კატეგორიზაცია, რეგისტრაცია, ზონირება და სარგებლობის რეჟიმების განსაზღვრა.

11

**გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა**

საქართველოს მთავრობის გარემოსდაცვითი პოლიტიკა ორიენტირებულია ქვეყნის ბუნებრივი რესურსების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფაზე, რაც ქვეყნის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს. მომდევნო წლებში დაგეგმილი ქმედებები გარემოს დაცვის პოლიტიკის შემდგომ წარმატებას უზრუნველყოფს;

გარემოსდაცვითი სტანდარტები სრულად დაუახლოვდება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

სტიქიური მოვლენების საფრთხის ქვეშ მყოფი დასახლებებისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაგრძელდება ადრეული შეტყობინების სისტემების გაუმჯობესების სამუშაოები; დაინერგება თანამედროვე საინფორმაციო სისტემები, რაც ამინდის პროგნოზისა და მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებების თანამედროვე ტექნოლოგიებით გავრცელებას შეუწყობს ხელს. ასევე გაგრძელდება წყალდიდობის პროგნოზირებისა და გეოლოგიური მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესების სამუშაოები;

წყლის რესურსების რაციონალური მართვის მოდელის დასაწერად განხორციელდება წყლის

რესურსების მართვის რეფორმა და ქვეყანა მდინარეთა სააუზო მართვის ევროპულ მოდელზე გადავა;

გარემოს დაბინძურების არსებული მდგომარეობის შეფასებისათვის გაგრძელდება წყლის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების სამუშაოები. ამოქმედდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურები. 2026 წლისთვის ქვეყანას ექნება ევროპული სტანდარტების შესაბამისი წყლისა და ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემები. სამრეწველო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად 2026 წლიდან ამოქმედდება ახალი სტანდარტები, მათ შორის, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ახალი მოთხოვნები დადგინდება. დაიხვეწება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურები და გარემოსდაცვითი ნებართვები გაიცემა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით. ავტომობილებისთვის უკვე დადგენილი ევრო 5 სტანდარტი ამოქმედდება იმპორტირებული სატვირთო ავტომობილებისა და ავტომუსებისთვის. ასევე გაგრძელდება და გაფართოვდება საწვავის ხარისხის კონტროლის ღონისძიებები;

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის დაცული ტერიტორიების გაფართოებისა (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) და განვითარების მიმართულებით განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება. 2028 წლისათვის დაცული ტერიტორიების ფართობი დამატებით 100 000 ჰექტრით გაიზრდება;

ტყისთვის საჭირო ღონისძიებების გრძელვადიანი დაგეგმვისა და ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით გაგრძელდება ტყის აღრიცხვის სამუშაოები. ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების მასშტაბები გაიზრდება. ტყის აღდგენის ღონისძიებები 2030 წლისთვის დამატებით 20 000 ჰექტარ ფართობზე განხორციელდება; ტყის რესურსებზე, განსაკუთრებით სათბობ შეშაზე მოსახლეობისა და კერძო სექტორის ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით გაგრძელდება სატყეო ინფრასტრუქტურის მოწყობა „საქმიანი ეზოებისა“ და სატყეო გზების სახით;

გაგრძელდება ქვეყნის მასშტაბით სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების სეპარირებული სისტემის დანერგვა და გაფართოვდება სეპარირებული შეგროვებისადმი დაქვემდებარებული სპეციფიკური ნარჩენების ჩამონათვალი; შეიქმნება სპეციფიკური ნარჩენების სეპარირების ცენტრები; წახალისდება ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა; მოეწყობა სახიფათო ნარჩენების მართვის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა ლენტეხისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, რაც საბოლოოდ მოაწესრიგებს დარიშხანის ნარჩენებით ისტორიულად დაბინძურებულ ტერიტორიებს;

ნარჩენების მართვის ევროპული სტანდარტების შესაბამისად განხორციელებისათვის მომდევნო წლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც დასრულდება ევროპული სტანდარტების შესაბამისი 2 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა (სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებისთვის) და ამ მიმართულებით გაგრძელდება შემდგომი მუშაობა; შესაბამისად, აღნიშნული ობიექტების მშენებლობის დასრულების კვალდაკვალ, დაიხურება რეგიონის ნაგავსაყრელები; აგრეთვე ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დასანერგად, ობიექტების მშენებლობის პარალელურად, აშენდება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურები და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობის გაძლიერებისთვის შესყიდული იქნება ნარჩენების მართვისთვის საჭირო ტექნიკა, ურნები და ინვენტარი;

გაფართოვდება დეფიციტური გარემოსდაცვითი პროფესიების მხარდამჭერი პროგრამები; გაგრძელდება სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხების ინტეგრირება და ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება;

გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების პრევენციის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით

გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გაძლიერება; ასევე დაინერგება რისკების მართვაზე დაფუძნებული ელექტრონული სისტემა.

11.1

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 31 07)**

გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას;

კანონდარღვევათა შემაკავებელი ეფექტიანი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობით შესრულების სათანადო დონის მიღწევა;

რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კონტროლი;

გარემოსთვის მიყენებული ზიანის ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასება;

გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან სანაცვლო ღონისძიებების განხორციელების კონტროლი.

11.2

**გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი (პროგრამული კოდი 31 13)**

ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული გაფრთხილებების მომზადება/გავრცელება, აგრეთვე კლიმატური, აგრომეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური საინფორმაციო პროდუქტებით მომსახურება;

გეოლოგიური მონიტორინგი (გაზაფხულსა და შემოდგომაზე) და ფორსმაჟორულ სიტუაციაში სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის შედგენა/განახლება და მონიტორინგი;

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი;

სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა (გეოლოგიური აგეგმვა);

გარემოს დაბინძურების დონის შეფასებისთვის ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება;

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგის ჩატარება, შესაბამისი საინფორმაციო მასალების (ბიულეტენების, წელიწადეულების, ანგარიშების) მომზადება და გავრცელება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და რეგიონული ინფრასტრუქტურის მოწყობა, დაკვირვებების ქსელის გაზრდა;

საქართველოს საზღვაო სივრცესა და შიგა წყალსატევებში გავრცელებული ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების რესურსების შეფასება და სარეწაო პროგნოზირება; საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი და გარემოს მდგომარეობის შეფასება;

სტრატეგიულ დოკუმენტებში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების ინტეგრირება;

ინტეგრირებული სანებართვო სისტემის შემოღება;

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 11.6 ამოცანის შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ახალი ავტომატური სადგურების შექმნა და დამონტაჟება;

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 14.4 ამოცანის შესაბამისად, საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიული წყლების, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და შიდა წყალსატევების სარეწაო ობიექტების პოპულაციათა მარაგების შეფასება, სარეწაო პროგნოზირება და კვოტების განსაზღვრა;

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და შიდა წყალსატევებში თევზჭერის სტატისტიკური ანალიზის, ბიოლოგიური კვლევისა და მონიტორინგის განხორციელება და მათი გარემოსდაცვითი სტატუსის განსაზღვრა;

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 14.4 ამოცანის შესაბამისად, თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების კონსერვაციული სტატუსის შეფასება; აკვაკულტურის, მარიკულტურისა და მდგრადი მეთევზეობის დანერგვის ხელშეწყობა.

11.3

**გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 31 01)**

ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;

აგრარული და გარემოს დაცვის სექტორების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა;

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესაბამისად, ნაციონალიზაციის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტის გათვალისწინება.

11.3.1

**გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 31 01 01)**

ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესაბამისად, ნაციონალიზაციის პროცესში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტის გათვალისწინება.

11.3.2 **ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 01 02)**  
ფრინველთა, მცენარეთა სახეობების (მათ შორის, ინვაზიური) პოპულაციების კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, აგრეთვე მოპოვებისთვის მათი ოდენობების (კვოტების) განსაზღვრა;

საქართველოს „წითელი ნუსხის“ განახლების მიზნით პრიორიტეტულ სახეობათა გამოვლენა და პოპულაციების შეფასება.

11.3.3 **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 31 01 03)**  
სამინისტროს აპარატის, მისი ტერიტორიული ორგანოების და სისტემაში შემავალი უწყებების ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა.

11.3.4 **გარემოსდაცვითი პროგრამა (პროგრამული კოდი 31 01 04)**  
გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენცია;

დაზიანებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის ხელშეწყობა;

გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს კვლევა.

11.3.5 **დაცული ლანდშაფტების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 01 05)**

დაცული ლანდშაფტების, როგორც საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილის, ფუნქციონირება და შესაბამისი დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ კანონების აღსრულება, დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

11.4 **დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 08)**  
დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება – დაცული ტერიტორიების განვითარება და გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

დაცული ტერიტორიების სისტემის მართვა, დაცვა და მონიტორინგი – დაცული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, მეთვალყურეობა, არსებული ინფრასტრუქტურული ელემენტებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოვლა და შენარჩუნება;

დაცული ტერიტორიების ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება – დაზიანებული ფართობების აღდგენა და შესაბამისი მეთოდებით მავნებლებთან ბრძოლა;

დაცული ტერიტორიების დაცვა, ხანძრის პრევენცია – საჭირო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძრის გავრცელების საშიშროების აღკვეთა, საზოგადოებისთვის დაცულ ტერიტორიებზე გადაადგილებისა და ქცევის წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა – ტყეების ინვენტარიზაცია და მათი მართვის გეგმების შემუშავება;

დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

ეკოტურიზმის განვითარება – ეკოტურისტული სერვისების დანერგვა და განვითარება, ვიზიტორების მოზიდვა და დაინტერესება.

11.5

**სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 09)**

ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა;

მდგრადი ტყითსარგებლობის სისტემის ჩამოყალიბება;

ხეტყის დამზადებისთვის შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა, მერქნულ რესურსზე (მათ შორის, სათბობ შეშაზე) მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა);

ტყის მოვლის (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული), აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

11.6

**ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა (პროგრამული კოდი 31 12)**

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განხორციელება;

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია;

რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის განახლება და წარმოება;

ბირთვული და რადიაციული ავარიებისა და ინციდენტების, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, აგრეთვე სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგამის შემთხვევებზე რეაგირება;

რადიოაქტიური ნარჩენების მართვა;

საქართველოში არსებული გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგი და კონტროლი;

ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;

დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსების ადგილების (სოფლები – ცანა და ურავი) უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამ სოფლების ტერიტორიაზე დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსების ადგილების სისტემური მართვა, მოვლა-პატრონობა, ფიზიკური დაცვის კომპლექსური სისტემების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

11.7

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 11)**

მოსახლეობის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით განათლების მიღების ხელშეწყობა, შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად;

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა;

საჯარო განხილვების გამართვის ორგანიზებით ორჰუსის კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა.

11.8

**ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 10)**

პილოტურ რეჟიმში ფაუნის მსხვილი სახეობების, მათ შორის კეთილშობილი ირემის შესწავლა და გამრავლება;

ნადირობის შესახებ კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მომზადება და მათი პრაქტიკაში დანერგვა, უკანონო ნადირობის (ბრაკონიერობა) შემცირება;

საპილოტე რეჟიმში ფაუნის მსხვილი სახეობების შესწავლა;

ქათმისებრთა ოჯახის ენდემური (ადგილობრივი) იშვიათი სახეობების რაოდენობის ყოველწლიური გაზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

იქთიოფაუნის ერთ-ერთი იშვიათი წარმომადგენლის – ნაკადულის კალმახის ბუნებრივ პირობებში გაშვების მიზნით მისი თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ საკალმახეში გამრავლება;

უნებაში საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობების რაოდენობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება;

ჰაბიტატების აღდგენისა და აღწარმოების ღონისძიებებისათვის ხელის შეწყობა.

თავი VI

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 16. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
<b>00 00</b>	<b>სულ ჯამი</b>	<b>25,946,342.9</b>	<b>27,941,729.4</b>	<b>30,881,358.0</b>	<b>29,521,958.0</b>	<b>86,300.0</b>	<b>1,273,100.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	115,339.0	117,004.0	117,170.0	117,170.0	0.0	0.0
	ხარჯები	20,048,532.1	21,841,973.8	23,267,605.3	23,050,987.3	59,700.0	156,918.0
	შრომის ანაზღაურება	2,585,978.5	3,034,999.8	3,420,284.5	3,419,584.5	700.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,242,546.6	4,258,922.6	4,043,991.7	3,533,759.7	26,600.0	483,632.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	365,262.0	424,100.0	650,000.0	17,450.0	0.0	632,550.0
	ვალდებულებების კლება	1,290,002.1	1,416,733.0	2,919,761.0	2,919,761.0	0.0	0.0
<b>01 00</b>	<b>საქართველოს პარლამენტი</b>	<b>69,192.7</b>	<b>92,956.5</b>	<b>91,544.0</b>	<b>91,544.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	722.0	722.0	708.0	708.0	0.0	0.0
	ხარჯები	59,067.6	84,053.5	84,844.0	84,844.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	28,803.8	48,916.0	46,235.0	46,235.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,125.1	8,903.0	6,700.0	6,700.0	0.0	0.0
<b>01 01</b>	<b>საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა</b>	<b>19,681.3</b>	<b>38,392.0</b>	<b>35,213.0</b>	<b>35,213.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	437.0	449.0	447.0	447.0	0.0	0.0
	ხარჯები	19,681.3	38,392.0	35,213.0	35,213.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	16,371.0	33,697.0	30,433.0	30,433.0	0.0	0.0
<b>01 02</b>	<b>საპარლამენტო ფრაქციების, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფებისა და ოლქების დელეგატების ბიუროების საქმიანობა</b>	<b>8,612.9</b>	<b>10,972.0</b>	<b>12,120.0</b>	<b>12,120.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	8,612.9	10,972.0	12,120.0	12,120.0	0.0	0.0
<b>01 03</b>	<b>საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა</b>	<b>40,898.5</b>	<b>43,592.5</b>	<b>44,211.0</b>	<b>44,211.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	285.0	273.0	261.0	261.0	0.0	0.0
	ხარჯები	30,773.4	34,689.5	37,511.0	37,511.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	12,432.8	15,219.0	15,802.0	15,802.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,125.1	8,903.0	6,700.0	6,700.0	0.0	0.0
<b>02 00</b>	<b>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია</b>	<b>9,157.6</b>	<b>10,000.0</b>	<b>10,500.0</b>	<b>10,500.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	69.0	69.0	69.0	69.0	0.0	0.0
	ხარჯები	8,826.4	9,975.8	9,992.0	9,992.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
	შრომის ანაზღაურება	3,875.2	4,365.3	4,670.0	4,670.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	331.2	24.2	508.0	508.0	0.0	0.0
<b>03 00</b>	<b>სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი</b>	<b>686.5</b>	<b>745.0</b>	<b>930.0</b>	<b>930.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	15.0	15.0	15.0	15.0	0.0	0.0
	ხარჯები	674.7	740.0	920.0	920.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	367.2	471.3	645.0	645.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11.8	5.0	10.0	10.0	0.0	0.0
<b>04 00</b>	<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>	<b>51,502.4</b>	<b>29,000.0</b>	<b>30,000.0</b>	<b>30,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	227.0	227.0	227.0	227.0	0.0	0.0
	ხარჯები	47,937.9	28,106.0	29,230.0	29,230.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	10,727.5	13,369.1	15,400.0	15,400.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,564.5	894.0	770.0	770.0	0.0	0.0
<b>05 00</b>	<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</b>	<b>22,613.1</b>	<b>25,279.0</b>	<b>40,690.0</b>	<b>40,690.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	341.0	341.0	441.0	441.0	0.0	0.0
	ხარჯები	21,265.1	24,561.0	39,643.0	39,643.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	17,925.6	20,395.0	33,005.0	33,005.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,348.1	718.0	1,047.0	1,047.0	0.0	0.0
<b>06 00</b>	<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>183,298.7</b>	<b>129,118.0</b>	<b>46,240.0</b>	<b>46,240.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	529.0	527.0	506.0	506.0	0.0	0.0
	ხარჯები	116,315.0	123,733.0	46,006.0	46,006.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	47,372.0	50,983.0	19,277.0	19,277.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	66,983.7	5,385.0	234.0	234.0	0.0	0.0
<b>06 01</b>	<b>საარჩევნო გარემოს განვითარება</b>	<b>28,031.6</b>	<b>33,266.0</b>	<b>35,448.0</b>	<b>35,448.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	503.0	502.0	481.0	481.0	0.0	0.0
	ხარჯები	26,677.9	32,885.0	35,218.0	35,218.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	15,599.4	18,775.0	17,962.0	17,962.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,353.7	381.0	230.0	230.0	0.0	0.0
<b>06 02</b>	<b>საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა</b>	<b>1,940.9</b>	<b>2,319.0</b>	<b>1,820.0</b>	<b>1,820.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	26.0	25.0	25.0	25.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,940.9	2,314.0	1,816.0	1,816.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	1,149.4	1,289.0	1,315.0	1,315.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	5.0	4.0	4.0	0.0	0.0
<b>06 03</b>	<b>პოლიტიკური პარტიების დაფინანსება</b>	<b>12,665.1</b>	<b>12,743.0</b>	<b>8,972.0</b>	<b>8,972.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	12,665.1	12,743.0	8,972.0	8,972.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
<b>06 04</b>	<b>არჩვენების ჩატარების ღონისძიებები</b>	<b>140,661.1</b>	<b>80,790.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	75,031.1	75,791.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	30,623.2	30,919.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	65,630.0	4,999.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>07 00</b>	<b>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო</b>	<b>5,370.8</b>	<b>6,800.0</b>	<b>7,860.0</b>	<b>7,860.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	83.0	83.0	83.0	83.0	0.0	0.0
	ხარჯები	5,350.0	6,650.0	7,710.0	7,710.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	4,006.6	4,500.0	5,517.0	5,517.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.8	150.0	150.0	150.0	0.0	0.0
<b>08 00</b>	<b>საქართველოს უზენაესი სასამართლო</b>	<b>17,101.3</b>	<b>20,800.0</b>	<b>22,300.0</b>	<b>22,300.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	225.0	225.0	225.0	225.0	0.0	0.0
	ხარჯები	16,925.4	19,745.0	21,865.0	21,865.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	12,884.3	14,720.0	17,000.0	17,000.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	175.8	1,055.0	435.0	435.0	0.0	0.0
<b>09 00</b>	<b>საერთო სასამართლოები</b>	<b>108,295.0</b>	<b>164,500.0</b>	<b>180,290.0</b>	<b>180,290.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,949.0	1,949.0	1,954.0	1,954.0	0.0	0.0
	ხარჯები	106,468.6	129,104.0	168,140.0	168,140.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	79,191.1	95,659.0	127,360.0	127,360.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,826.4	35,396.0	12,150.0	12,150.0	0.0	0.0
<b>09 01</b>	<b>საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა</b>	<b>105,707.7</b>	<b>160,030.0</b>	<b>175,450.0</b>	<b>175,450.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,906.0	1,906.0	1,906.0	1,906.0	0.0	0.0
	ხარჯები	103,917.3	125,650.0	163,840.0	163,840.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	78,199.2	94,250.0	125,370.0	125,370.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,790.4	34,380.0	11,610.0	11,610.0	0.0	0.0
<b>09 02</b>	<b>მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება -გადამზადება</b>	<b>2,587.3</b>	<b>4,470.0</b>	<b>4,840.0</b>	<b>4,840.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43.0	43.0	48.0	48.0	0.0	0.0
	ხარჯები	2,551.3	3,454.0	4,300.0	4,300.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	991.9	1,409.0	1,990.0	1,990.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	36.1	1,016.0	540.0	540.0	0.0	0.0
<b>10 00</b>	<b>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო</b>	<b>6,327.4</b>	<b>12,600.0</b>	<b>13,000.0</b>	<b>13,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	99.0	99.0	99.0	99.0	0.0	0.0
	ხარჯები	6,042.9	9,500.0	11,025.0	11,025.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	3,290.7	5,500.0	6,300.0	6,300.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	284.5	3,100.0	1,975.0	1,975.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
<b>11 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1,208.1</b>	<b>1,450.0</b>	<b>1,500.0</b>	<b>1,500.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0	30.0	30.0	30.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,148.7	1,443.0	1,493.0	1,493.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	758.9	952.3	1,039.0	1,039.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	59.4	7.0	7.0	7.0	0.0	0.0
<b>12 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1,106.6</b>	<b>1,220.0</b>	<b>1,300.0</b>	<b>1,300.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	27.0	27.0	27.0	27.0	0.0	0.0
	ხარჯები	968.9	1,217.4	1,296.7	1,296.7	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	669.1	790.1	870.0	870.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	137.7	2.6	3.3	3.3	0.0	0.0
<b>13 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყებულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1,393.0</b>	<b>1,450.0</b>	<b>1,500.0</b>	<b>1,500.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	31.0	31.0	31.0	31.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,310.0	1,394.0	1,459.0	1,459.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	863.8	931.6	1,015.0	1,015.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	83.0	56.0	41.0	41.0	0.0	0.0
<b>14 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1,111.8</b>	<b>1,250.0</b>	<b>1,400.0</b>	<b>1,400.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24.0	24.0	24.0	24.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,035.0	1,228.0	1,384.0	1,384.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	742.9	837.0	919.0	919.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	76.7	22.0	16.0	16.0	0.0	0.0
<b>15 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>950.6</b>	<b>1,180.0</b>	<b>1,275.0</b>	<b>1,275.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0	30.0	30.0	30.0	0.0	0.0
	ხარჯები	895.3	1,175.0	1,271.0	1,271.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	604.7	838.4	905.0	905.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	55.3	5.0	4.0	4.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
<b>16 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1,158.8</b>	<b>1,235.0</b>	<b>1,320.0</b>	<b>1,320.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	31.0	30.0	30.0	30.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,105.6	1,217.0	1,305.0	1,305.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	767.3	850.0	930.0	930.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	53.2	18.0	15.0	15.0	0.0	0.0
<b>17 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1,068.7</b>	<b>1,120.0</b>	<b>1,200.0</b>	<b>1,200.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	25.0	25.0	25.0	25.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,021.3	1,114.0	1,194.0	1,194.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	723.7	778.0	850.6	850.6	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	47.4	6.0	6.0	6.0	0.0	0.0
<b>18 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1,312.7</b>	<b>1,550.0</b>	<b>1,600.0</b>	<b>1,600.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0	30.0	30.0	30.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,272.5	1,510.0	1,590.9	1,590.9	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	776.7	931.0	1,018.9	1,018.9	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40.1	40.0	9.1	9.1	0.0	0.0
<b>19 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1,060.6</b>	<b>1,150.0</b>	<b>1,220.0</b>	<b>1,220.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	29.0	29.0	29.0	29.0	0.0	0.0
	ხარჯები	967.6	1,138.0	1,215.0	1,215.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	687.5	836.0	880.0	880.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	93.0	12.0	5.0	5.0	0.0	0.0
<b>20 00</b>	<b>საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური</b>	<b>235,474.4</b>	<b>251,500.0</b>	<b>380,000.0</b>	<b>380,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3,850.0	3,850.0	3,850.0	3,850.0	0.0	0.0
	ხარჯები	206,124.7	229,267.0	321,179.0	321,179.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	125,634.8	138,690.0	205,370.0	205,370.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	29,349.7	22,233.0	58,821.0	58,821.0	0.0	0.0
<b>20 01</b>	<b>სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა</b>	<b>163,607.5</b>	<b>174,000.0</b>	<b>279,098.0</b>	<b>279,098.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3,421.0	3,421.0	3,421.0	3,421.0	0.0	0.0
	ხარჯები	152,184.8	165,730.0	239,250.0	239,250.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	108,513.1	119,900.0	177,070.0	177,070.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,422.7	8,270.0	39,848.0	39,848.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
<b>20 02</b>	<b>ოპერატიულ - ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა</b>	<b>47,775.9</b>	<b>48,400.0</b>	<b>66,357.0</b>	<b>66,357.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	398.0	398.0	398.0	398.0	0.0	0.0
	ხარჯები	30,736.7	35,355.0	47,759.0	47,759.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	15,954.8	17,500.0	23,500.0	23,500.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17,039.3	13,045.0	18,598.0	18,598.0	0.0	0.0
<b>20 03</b>	<b>უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება</b>	<b>3,091.0</b>	<b>3,600.0</b>	<b>6,545.0</b>	<b>6,545.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	31.0	31.0	31.0	31.0	0.0	0.0
	ხარჯები	2,203.3	2,682.0	6,170.0	6,170.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	1,167.0	1,290.0	4,800.0	4,800.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	887.7	918.0	375.0	375.0	0.0	0.0
<b>20 04</b>	<b>სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველყოფა</b>	<b>21,000.0</b>	<b>25,500.0</b>	<b>28,000.0</b>	<b>28,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	21,000.0	25,500.0	28,000.0	28,000.0	0.0	0.0
<b>21 00</b>	<b>საქართველოს პროკურატურა</b>	<b>62,987.2</b>	<b>70,750.0</b>	<b>98,700.0</b>	<b>98,700.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	874.0	874.0	1,024.0	1,024.0	0.0	0.0
	ხარჯები	59,639.5	68,273.0	92,260.0	92,260.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	44,153.6	51,526.0	70,051.0	70,051.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,347.6	2,477.0	6,440.0	6,440.0	0.0	0.0
<b>22 00</b>	<b>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>	<b>4,385.5</b>	<b>4,700.0</b>	<b>5,200.0</b>	<b>5,200.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
<b>54 12</b>	<b>საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში</b>	<b>17,050.0</b>	<b>30,000.0</b>	<b>20,000.0</b>	<b>20,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	17,050.0	30,000.0	20,000.0	20,000.0	0.0	0.0
<b>54 13</b>	<b>სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა</b>	<b>0.0</b>	<b>20,000.0</b>	<b>2,000.0</b>	<b>2,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	0.0	20,000.0	2,000.0	2,000.0	0.0	0.0
<b>54 14</b>	<b>დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები</b>	<b>66,278.9</b>	<b>165,000.0</b>	<b>331,230.0</b>	<b>34,780.0</b>	<b>29,950.0</b>	<b>266,500.0</b>
	ხარჯები	21,197.5	39,800.0	81,230.0	34,780.0	29,950.0	16,500.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	2,500.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	45,081.4	122,700.0	250,000.0	0.0	0.0	250,000.0
<b>54 14 01</b>	<b>აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (E5P, EBRD)</b>	<b>6,275.5</b>	<b>5,000.0</b>	<b>8,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>3,000.0</b>	<b>5,000.0</b>
	ხარჯები	0.0	0.0	3,000.0	0.0	3,000.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	6,275.5	5,000.0	5,000.0	0.0	0.0	5,000.0
<b>54 14 02</b>	<b>თბილისის მყარი ნარჩენების მართვა</b>	<b>31,447.0</b>	<b>25,000.0</b>	<b>10,000.0</b>	<b>1,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>9,000.0</b>
	ხარჯები	4,668.8	3,500.0	1,000.0	1,000.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	26,778.2	21,500.0	9,000.0	0.0	0.0	9,000.0
<b>54 14 03</b>	<b>აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW)</b>	<b>13,696.4</b>	<b>20,000.0</b>	<b>54,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>9,000.0</b>	<b>45,000.0</b>
	ხარჯები	6,849.5	7,000.0	9,000.0	0.0	9,000.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	6,846.9	13,000.0	45,000.0	0.0	0.0	45,000.0
<b>54 14 04</b>	<b>საცხოვრებლად ვარგისი ქსაქების საინვესტიციო პროგრამა</b>	<b>5,410.7</b>	<b>15,000.0</b>	<b>13,780.0</b>	<b>2,280.0</b>	<b>0.0</b>	<b>11,500.0</b>
	ხარჯები	3,742.8	7,000.0	13,780.0	2,280.0	0.0	11,500.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	1,667.9	8,000.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>54 14 05</b>	<b>მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)</b>	<b>1,862.8</b>	<b>30,000.0</b>	<b>22,000.0</b>	<b>2,000.0</b>	<b>2,000.0</b>	<b>18,000.0</b>
	ხარჯები	199.3	6,000.0	4,000.0	2,000.0	2,000.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	1,663.5	24,000.0	18,000.0	0.0	0.0	18,000.0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
54 14 06	საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტი (ეროვნული ბანკის კომპონენტი) (WB)	0.0	1,000.0	5,000.0	0.0	0.0	5,000.0
	ხარჯები	0.0	1,000.0	5,000.0	0.0	0.0	5,000.0
54 14 07	ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)	562.3	5,000.0	10,000.0	0.0	10,000.0	0.0
	ხარჯები	562.3	5,000.0	10,000.0	0.0	10,000.0	0.0
54 14 08	ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V) (KfW)	2,535.4	10,000.0	45,000.0	4,300.0	700.0	40,000.0
	ხარჯები	1,040.2	500.0	5,000.0	4,300.0	700.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	1,495.1	9,500.0	40,000.0	0.0	0.0	40,000.0
54 14 09	თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი	0.0	34,000.0	102,200.0	17,200.0	0.0	85,000.0
	ხარჯები	0.0	300.0	17,200.0	17,200.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	33,700.0	85,000.0	0.0	0.0	85,000.0
54 14 10	ენერგოეფექტურობის ღონისძიებები და შენობების ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სტანდარტებთან მიახლოება (ბათუმის საბავშვო ბაღები) (KfW)	4,134.6	5,000.0	5,000.0	0.0	5,000.0	0.0
	ხარჯები	4,134.6	5,000.0	5,000.0	0.0	5,000.0	0.0
54 14 11	თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD)	354.3	10,000.0	53,000.0	8,000.0	0.0	45,000.0
	ხარჯები	0.0	2,000.0	8,000.0	8,000.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	354.3	8,000.0	45,000.0	0.0	0.0	45,000.0
54 14 12	მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში (KfW)	0.0	5,000.0	3,250.0	0.0	250.0	3,000.0
	ხარჯები	0.0	2,500.0	250.0	0.0	250.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	2,500.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	3,000.0	0.0	0.0	3,000.0
55 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	779.4	950.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	13.0	13.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	774.0	940.5	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	629.2	738.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.4	9.5	0.0	0.0	0.0	0.0
56 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2,808.8	3,100.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	75.0	75.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	2,787.4	3,070.0	0.0	0.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი			
				სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
	შრომის ანაზღაურება	1,819.0	2,034.7	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21.4	30.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>57 00</b>	<b>სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო</b>	<b>1,897.6</b>	<b>2,700.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	36.0	36.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,875.5	2,175.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	1,386.8	1,623.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22.1	525.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>58 00</b>	<b>სპეციალური საგამომიებო სამსახური</b>	<b>15,444.9</b>	<b>19,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	150.0	150.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	10,330.4	13,100.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	7,211.6	9,680.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,114.5	5,900.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>59 00</b>	<b>ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი</b>	<b>3,885.8</b>	<b>5,100.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	61.0	61.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	3,529.6	5,075.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	2,809.8	4,000.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	356.3	25.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>60 00</b>	<b>ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის</b>	<b>145.9</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	145.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>61 00</b>	<b>სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი</b>	<b>1,824.5</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	1,824.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	1,183.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>62 00</b>	<b>ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი</b>	<b>63.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
	ხარჯები	63.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

**თავი VII**

**ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები**

**მუხლი 17. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები**

ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვროს 742,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) სპეციალური ტრანსფერი:

ა.ა) ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სპეციალური ტრანსფერი განისაზღვროს 735,500.0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების დასახელება	სპეციალური ტრანსფერი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	22,000.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	630,000.0
აჭარის მუნიციპალიტეტი	2,050.0
ქურთის მუნიციპალიტეტი	3,700.0
ერედვის მუნიციპალიტეტი	3,550.0
თილვის მუნიციპალიტეტი	3,150.0
ახალგორის მუნიციპალიტეტი	5,150.0
<b>სხვადასხვა მუნიციპალიტეტები</b>	<b>65,900.0</b>
<b>სულ</b>	<b>735,500.0</b>

ათას ლარებში

ა.ბ) სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხელშეწყობის მიზნით ამ მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სხვადასხვა მუნიციპალიტეტისათვის სპეციალური ტრანსფერის სახით განსაზღვრული 65,900.0 ათასი ლარის განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი:

ბ.ა) დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვროს 6,500.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

ბ.ბ) დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებით, ბავშვის უფლებათა კოდექსით და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება;

ბ.გ) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტებისთვის შესაბამისი თანხის გამოყოფა.

ბ.დ) გარდა „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებებისა, 2026 წელს შესაძლებელია განხორციელდეს:

ბ.დ.ა) საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში:

ბ.დ.ა.ა) მუნიციპალიტეტებისათვის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირება „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი - 35 02) პროგრამიდან;

ბ.დ.ა.ბ) მუნიციპალიტეტებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის უფლებამოსილების დელეგირება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 35 03) პროგრამიდან;

ბ.დ.ა.გ) მუნიციპალიტეტებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოვლა-პატრონობის უფლებამოსილების დელეგირება „საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 35 04) პროგრამიდან;

ბ.დ.ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებების (27 02 03 - სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა) ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის უფლებამოსილების დელეგირება;

ბ.ე) ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო თანხის გამოყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა უნდა მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

**მუხლი 18. მუნიციპალიტეტის კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების წესი**

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 114<sup>5</sup> მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 2026 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შედეგად თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მოცულობის წინა წელთან შედარებით ზრდის მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი განისაზღვროს 25%-ით.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 71-ე და 114<sup>5</sup> მუხლების თანახმად თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი განისაზღვროს შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	30.76%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	3.59%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1.80%

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილება
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1.28%
ქედის მუნიციპალიტეტი	0.94%
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.81%
ხულოს მუნიციპალიტეტი	0.86%
ახმეტის მუნიციპალიტეტი	1.09%
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1.35%
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0.69%
თელავის მუნიციპალიტეტი	1.42%
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1.04%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1.42%
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0.82%
ყვარელის მუნიციპალიტეტი	0.75%
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3.48%
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	1.17%
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0.52%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1.34%
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0.56%
ვანის მუნიციპალიტეტი	0.58%
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1.34%
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0.81%
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	1.11%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1.21%
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0.54%
ხონის მუნიციპალიტეტი	0.56%
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0.86%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2.42%
აბაშის მუნიციპალიტეტი	0.51%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0.81%
მესტიის მუნიციპალიტეტი	0.80%
სენაკის მუნიციპალიტეტი	0.92%
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0.55%
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0.63%

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული განწილება
ხოზის მუნიციპალიტეტი	0.74%
გორის მუნიციპალიტეტი	3.45%
კასპის მუნიციპალიტეტი	1.11%
ქარელის მუნიციპალიტეტი	1.06%
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1.33%
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2.98%
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0.86%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0.86%
დმანისის მუნიციპალიტეტი	1.02%
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	0.81%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	2.60%
წალკის მუნიციპალიტეტი	0.86%
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0.74%
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1.45%
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0.53%
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0.78%
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0.61%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0.86%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1.34%
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0.86%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0.86%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	1.07%
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0.56%
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0.92%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0.35%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0.65%
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0.38%
ონის მუნიციპალიტეტი	0.45%
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0.57%

## თავი VIII

### მარეგულირებელი ნორმები

#### **მუხლი 19. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განკარგვა**

1. ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების – „54 01 – საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „54 02 – საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „54 03 – საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები“, „54 04 – ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“, „54 09 – საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა“, „54 10 – საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება“, „54 12 – საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში“, „54 13 – სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა“ და „54 14 – დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“ – პროგრამების საბიუჯეტო სახსრების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

2. ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების – „54 12 – საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში“ და „54 13 – სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა“ – პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

#### **მუხლი 20. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი 90,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 760,000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს მთავრობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში ამტკიცებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და მისი განკარგვის წესს.

4. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული მუნიციპალური და რეგიონული პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხა გამოიყოფა მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსების შემთხვევაში.

5. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი განისაზღვროს 20,000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განისაზღვროს 20,000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იძულებით ჩამოჭრილი თანხები ასახოს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდით გათვალისწინებულ ასიგნებებში.

7. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე წინადადებებს საბიუჯეტო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების

შესაბამისი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ან საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

### **მუხლი 21. დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება**

ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელის – „54 11 – დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება“ – პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

### **მუხლი 22. დავალიანებების დაფარვა**

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2026 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაგროვდება ახალი დავალიანება, რისთვისაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

### **მუხლი 23. სახელმწიფო ვალი**

1. საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3,643,000.0 ათასი ლარი:

ა) ძირითადი თანხის დაფარვისათვის – 2,875,000.0 ათასი ლარი, მათ შორის:

ა.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 448,500.0 ათასი ლარი;

ა.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 1,076,500.0 ათასი ლარი;

ა.გ) სახელმწიფოს მიერ საგარეო ფასიანი ქაღალდების დაფარვისთვის – 1,350,000.0 ათასი ლარი.

ბ) პროცენტის გადახდისათვის – 768,000.0 ათასი ლარი, მათ შორის:

ბ.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 91,900.0 ათასი ლარი;

ბ.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 609,300.0 ათასი ლარი;

ბ.გ) სახელმწიფოს მიერ საგარეო ფასიანი ქაღალდების მომსახურებისათვის – 66,800.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიეცეს უფლება, ამ კანონით საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, კრედიტორი ქვეყნის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით განხორციელოს საქართველოს იურიდიული პირებისათვის აღნიშნული სახსრებიდან თანხების ანაზღაურება ან შესაბამისი პროგრამების დაფინანსება ამ იურიდიული პირების მიერ კრედიტორი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისათვის და მომსახურების გაწევისათვის.

3. საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვროს 2026 წელს დასაფარავი სუვერენული ევრობონდის რეფინანსირებისათვის არანაკლებ 500 000.0 ათასი აშშ დოლარის მოცულობის ახალი ევრობონდის გამოშვება, ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობის ფარგლებში.

4. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასახდელი პროცენტის მოცულობა განისაზღვროს 15,000.0 ათასი ლარით, ხოლო დასაფარავი ძირითადი თანხის მოცულობა – 40,000.0 ათასი ლარით.

5. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვროს 1,800,000.0 ათასი ლარით. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განხორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს

ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების დაფარვის აღრიცხვა განახორციელოს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი მუხლის შემცირებით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების ნაცვლად გამოიყენოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთი. ამასთანავე, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრების წმინდა მოცულობა და მათი გამოშვების ნაცვლად ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს საშინაო ვალდებულებების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელს.

#### **მუხლი 24. საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება**

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის განმკარგავ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1,600 ლარის ოდენობით.

3. 2026 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, ამ კანონის 26-ე მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

4. 2026 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით, არაუმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

#### **მუხლი 25. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვა**

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში – შესაბამის ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებით.

3. არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებას, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობის 1%-ს აღემატება და 5 ერთეულზე მეტია.

**მუხლი 26. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები და შეზღუდვები**

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დაცვის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 155<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით:

ა) საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს საქართველოს სამინისტროებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში გადახდის განხორციელება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდექსისა და მუხლების მიხედვით, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონით მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში გადატანის თაობაზე;

ბ) საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV) კოდექსის მიხედვით კლასიფიკატორის კოდექსი, რომელთა ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას საჭიროებს;

გ) საქართველოს სამინისტროებმა ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ამ კანონით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შესახებ. საქართველოს სამინისტროების მიერ ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების საკითხი საჭიროებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენება ხდება იმავე პროგრამული კოდის ფარგლებში, შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV) იმავე კოდით;

დ) საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯილდოს და დანამატის გაცემა, გარდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 5<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე დაწესებული დანამატებისა;

ე) ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვის შესახებ წინადადებებს საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**მუხლი 27. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შემოსულობათა ხარჯვა**

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების ხარჯვა განხორციელდეს ადგილზე, ამ კანონით შესაბამისი წარმომადგენლობისა და დაწესებულებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

## **მუხლი 28. საქართველოს პარლამენტის მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება**

საქართველოს პარლამენტს მიეცეს უფლება, პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში დააფინანსოს დაკრძალვასა და სასაფლაოს მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება.

## **მუხლი 29. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიეცეს უფლება, 2025 წელს „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებებით შესრულებული სამუშაოების/საქონლის/მომსახურების დაფინანსება, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია თავდაცვის ძალების აღმშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, განახორციელოს ამ კანონით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევაში და დაწესებული ლიმიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების (ერთეულების) მიერ შესასყიდ საქონელზე, სამუშაოსა და მომსახურებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის იმავე აქტით განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფები (ერთეულები) ითვლებიან შემსყიდველ ორგანიზაციებად და აქვთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

## **მუხლი 30. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

1. ამ კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელ ცალკეულ ღონისძიებებში გაგრძელდეს და, აუცილებლობის შემთხვევაში, შემოღებულ იქნეს ღონისძიებათა ნაწილის ანაზღაურება მოსახლეობის მიერ თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის წესს, ფორმასა და მოცულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. ამ კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამებისათვის – „მოსახლეობის სოციალური დაცვა“, „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“, „სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამის“ ფარგლებში ქვეპროგრამებისათვის „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და კონტროლი“ და „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი“, პროგრამის „სამინისტროს სისტემაში შემავალი სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ ფარგლებში ქვეპროგრამისათვის „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“, „დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამის“ ფარგლებში ქვეპროგრამებისათვის „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება“, „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება“, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა“ და „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობა“ – გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა დაფინანსების, თანადაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესებსა და ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის“ ფარგლებში გაიცეს სახელმწიფო პენსია და სახელმწიფო კომპენსაცია.

4. 2026 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო პენსიის ოდენობა განისაზღვროს:

ა) 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის – 370 ლარით;

ბ) 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერისათვის – 495 ლარით.

5. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 22<sup>1</sup> მუხლის მე-2 და 2<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად:

ა) სახელმწიფო კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ზედა ზღვრის ოდენობა განისაზღვროს 1,080 ლარით;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო კომპენსაციის მიმღებ პირებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის ზედა ზღვრის ოდენობა განისაზღვროს 1,280 ლარით.

6. „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების“ ფარგლებში:

ა) გაიცეს სოციალური პაკეტი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ შესაბამისად;

ბ) გაიცეს საყოფაცხოვრებო სუბსიდია „სოციალური შედეგათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების შესაბამისად;

გ) გაგრძელდეს საარსებო შემწეობის გაცემა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპების, რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობის, მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობის, სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობის, სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის დაფინანსების წესის“ შესაბამისად;

დ) გაგრძელდეს დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების გაცემა: ერთ დევნილზე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობის ოდენობა განისაზღვროს 45 ლარით;

ე) გაგრძელდეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებების გაცემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;

ვ) დაფინანსდეს დახმარება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით განსაზღვრული წესითა და პირობებით;

ზ) დაფინანსდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიება;

თ) დაფინანსდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა ღონისძიებები.

7. საქართველოს მთავრობას მიეცეს უფლება, განსაზღვროს 2025 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ის სახელმწიფო პროგრამები/მათი ღონისძიებები/მოცულობები, რომელთა განხორციელებაც უწყვეტად გაგრძელდება 2026 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2025 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე და ამ პროგრამებით გათვალისწინებული მიმწოდებლების გამოვლენამდე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ან ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით.

8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მათი კომპონენტების დამტკიცებამდე ან/და

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე გაგრძელდეს 2025 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ის ღონისძიებები, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, და ხელშეკრულებები გაფორმდეს იმავე მიმწოდებლებთან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ იქნა განსაზღვრული. ამასთანავე, აღნიშნულის შესახებ ეცნობოთ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2025 წელს შესრულებული სამუშაოები დაფინანსდეს ამ კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2024 წელს გაცემული ვაუჩერები (შესაბამისი ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით) და „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ვერ დაფინანსდა 2025 წელს, დაფინანსდეს ამ კანონით შესაბამისი პროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

11. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამების „27 03 02 02 – იმუნიზაცია“, „27 03 02 03 – ეპიდზედამხედველობა“ და „27 03 02 11 – ჰეპატიტის მართვა“ ფარგლებში ვაქცინების, შპრიცების, პარაზიტული და ვირუსული დაავადებების (მალარია, ლეიშმანიოზი, დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო და სხვა) სამკურნალო მედიკამენტების „ცივი ჯაჭვის“ აღჭურვილობებისა და ჰეპატიტით დაავადებული პაციენტებისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვა განხორციელდეს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, გამარტივებული შესყიდვით, ხოლო იმ ვაქცინების, შპრიცების, პარაზიტული და ვირუსული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების „ცივი ჯაჭვის“ აღჭურვილობებისა და ჰეპატიტით დაავადებული პაციენტებისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

12. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამის „27 03 02 06 – ტუბერკულოზის მართვა“ ფარგლებში, მათ შორის, „საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება – ტუბერკულოზის კომპონენტის“ (GEO-C-NCDC) ღონისძიებებისათვის, და პროგრამის „27 03 02 07 – აივ ინფექციის/შიდსის მართვა“ ფარგლებში, მათ შორის, „საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება – შიდსის კომპონენტის“ (GEO-C-NCDC) ღონისძიებებისათვის, ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესყიდვა, მათ შორის, აივ ინფექციის/შიდსის და ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის და მეორე რიგის მედიკამენტების შემენა, ამ კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განხორციელდეს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ განსაზღვრული გაერთიანებული საერთაშორისო შესყიდვების მექანიზმისა და აგენტების, მათ შორის, შესყიდვის ელექტრონული პლატფორმის, გამოყენებით, ხოლო იმ ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ განსაზღვრული გაერთიანებული საერთაშორისო შესყიდვის მექანიზმისა და აგენტების საშუალებით, – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამის „27 03 02 06 – ტუბერკულოზის მართვა“ ფარგლებში საქართველოს მოქალაქეები ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის რეჟიმის დაცვაში ხელშეწყობის მიზნით, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის რეჟიმის დაცვის შემთხვევაში, ამბულატორიული მკურნალობის მთელი კურსის განმავლობაში იღებენ სოციალურ დახმარებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

14. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართობის (სადაც დევნილი სახელმწიფოს მიერ იქნა განსახლებული და რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული იყო, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი, აგრეთვე სადაც სამინისტრო ახორციელებდა ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების (მათ შორის, ობიექტებში განსახლებულ დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, განსახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯების) ანაზღაურებას) ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება ერთ დევნილზე განისაზღვროს თვეში 2 ლარით. აღნიშნული დაფინანსება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელშეკრულების პირობებს და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

### **მუხლი 31. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება**

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯადმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის (აბონენტებისათვის) ბუნებრივი აირის მოხმარებაზე 2025 წლის 1 დეკემბრიდან 2026 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2026 წლის 15 ოქტომბრიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში განისაზღვროს შეღავათი თითოეულ აბონენტზე თვეში 700 მ<sup>3</sup>-ის (მაისსა და ოქტომბერში – 350 მ<sup>3</sup>-ის) ოდენობით. ამასთანავე, აბონენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული პერიოდების შესაბამის საანგარიშო თვეში გამოუყენებელი შეღავათით ისარგებლონ მომდევნო თვეში, კერძოდ, 2025 წლის 1 დეკემბრიდან გამოუყენებელი შეღავათი გამოყენებულ იქნეს 2026 წლის 15 მაისის ჩათვლით პერიოდში, ხოლო რიცხული შეღავათი გაუქმდეს 2026 წლის 16 მაისს, 2026 წლის 15 ოქტომბრიდან გამოუყენებელი შეღავათი გამოყენებულ იქნეს 2027 წლის 15 მაისის ჩათვლით პერიოდში, ხოლო რიცხული შეღავათი გაუქმდეს 2027 წლის 16 მაისს.

2. ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შეღავათით მოსარგებლე აბონენტების სააღრიცხვო ბარათებზე ყოველი თვის დასაწყისში ასახოს შეღავათის შესაბამისი ლიმიტი და შესაბამის საანგარიშო პერიოდში გამოუყენებელი შეღავათი.

3. ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ანგარიშების მიხედვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ანაზღაუროს 2025 წლის 1 დეკემბრიდან 2026 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2026 წლის 15 ოქტომბრიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯადმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (აბონენტების) მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ლიმიტისა და შესაბამის საანგარიშო პერიოდში გამოუყენებელი შეღავათის ფარგლებში ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება.

**მუხლი 32.** ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

2026 წლის განმავლობაში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ამ კანონით ადმინისტრაციისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე გასცეს ერთჯერადი დახმარებები.

**მუხლი 33.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიეცეს უფლება, პროგრამის „26 02 02 – ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში 2025 წელს მიღებული საქონლისა და მომსახურების დაფინანსება განახორციელოს ამ კანონით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიეცეს უფლება, ამ კანონით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით იურიდიული კომპანიებისაგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, შესაბამისი საარბიტრაჟო და სასამართლო ხარჯების, მოწმეებისა და უცხოელი ექსპერტების საარბიტრაჟო და სასამართლო პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კომპლექსურ საქმეებზე დავების საწარმოებლად იურიდიული მომსახურების შესყიდვის, არასრულწლოვანი საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყანაში არამართლზომიერად გადაადგილებისა და დაკავების საქმეების უცხო ქვეყანაში წარმოებისა და ბავშვების საქართველოში დაბრუნების, საქართველოს მოქალაქეების ჰუმანიტარული საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებული სხვა, გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით მათთან დაკავშირებული გადასახადების დაფინანსება, მათ შორის, ამ კანონის ამოქმედებამდე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

**მუხლი 34.** საქართველოს საერთო სასამართლოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

ამ კანონის მე-16 მუხლით საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა არ ზღუდავს კანონით დადგენილი წესით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისა და მათთან დაკავშირებული თანამშრომლების (თანაშემწე, რეფერენტი და სხვა) დანიშვნას.

**მუხლი 35.** ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა მის მიერ 2026 წელს მობილიზებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების არანაკლებ 10% მიმართოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით შესაბამისმა უწყებამ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მიმართვა განახორციელოს ყოველი კვარტალის ბოლო სამუშაო დღეს, გადარიცხვის დღისათვის კვარტალში მიღებული შემოსავლის არანაკლებ 10%-ის ოდენობით.

3. ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებულ გრანტებზე, აგრეთვე იმ შემოსავლებზე, რომლებსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იღებს მისი კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემაში შემავალი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან.

4. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2<sup>2</sup> პუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს ის საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრების გარდა, მათ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილს მიმართავენ სახელმწიფო ბიუჯეტში ან/და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციის დასაფინანსებლად.

## თავი IX

### დასკვნითი დებულებანი

#### მუხლი 36. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს 2024 წლის 10 დეკემბრის კანონი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 28.12.2024, სარეგისტრაციო კოდი: 190020010.05.001.102394).

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ ყაველაშვილი

თბილისი,  
2025 წლის .....დეკემბერი.  
№